პარლამენტი - უდისკვალიფიკაციისა და დაუდევრობის ექსპერტი A3
ქალური ისტორიები მერიის ფონზე A6
ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
სამშაბათი, 8 ოქტომბერი, 2002 წელი. №128
ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

ტერიტორიული მოწყობის თემით სამხრეთ კავკასიელი მეცნიერები დაინტერესდნენ...

ავტონომიების სტატუსი და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილების თემა, ხშირად ხდება პოლიტიკური ვაჭრობისა და პოლიტიკური შანტაჟის საგანი.

A3 გვერდზე

ეკონომიკა

ქონების მართვის სამინისტრომ „ფოთის გემთსაშენის" გაყიდვაში მთავარი დამნაშავე იპოვა

კვლავ უცნობი რჩება "ფოთის გემთსაშენის" აქციათა 47-პროცენტიანი პაკეტის მფლობელის ვინაობა, რომელმაც იგი გასულ კვირას თბილისის საფონდო ბირჟაზე შეიძინა. სამაგიეროდ, თავად შეძენის ფაქტმა სამთავრობო წრეებში დიდი ხმაური გამოიწვია. "ფოთის გემთსაშენის" პრივატიზების კანონიერების საქმეს გენერალური პროკურატურაც სწავლობს.

A4 გვერდიდან

უცხოეთი

უსამა ბინ ლადენი კვლავ გამოჩნდა

კვირას ერთბაშად ორი წყაროდან გახდა ცნობილი, რომ უსამა ბინ ლადენი კვლავ ცოცხალია და შეერთებულ შტატებზე თავდასხმების სერიის გაგრძელებას აპირებს.

A5 გვერდზე

სამართალი

"AES თელასით" პოლიცია დაინტერესდა

"AES თელასი", რომელიც ბოლო ხანებში სერიოზულ პრეტენზიებს უყენებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მათი კომპანიისა თუ თანამშრომელთა მიმართ გახშირებულ დანაშაულთა ვერგახსნის გამო, ამჯერად თავად გახდა პრეტენზიების ობიექტი.

A7 გვერდზე

კომენტარი

კიშინიოვის შეხვედრას ქართველი პოლიტიკოსები სხვადასხვანაირად აფასებენ

"შევარდნაძე შუა საუკუნეების ლოგიკით ხელმძღვანელობს"... "რუსეთთან ერთი ეტაპი მოვიგეთ, ეს შევარდნაძისა და ამერიკის დამსახურებაა", - კიშინიოვის სამიტს ქართულ პოლიტიკურ წრეებში მკვეთრად განსხვავებული რეაქციები მოჰყვა.

A8 გვერდზე

ამინდი

თბილისი	26
ქუთაისი	26
ბათუმი	24
სოხუმი	23
ფოთი	24
თელავი	24
ზუგდიდი	25
გორი	22

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1750
ევრო	2.1267
გირვანქა სტერლინგი	3.3876
რუბლი	0.0688

ხალხი იმსახურებს, რომ იცოდეს სიმართლე

"თუ პუტინი და შევარდნაძე კიშინიოვში რამეზე მაინც შეთანხმდნენ, რუსეთის პროკურატურაც მოხსნის ბერინგის ზღვის გაყიდვის ბრალდებას და სერგეი ივანოვიც სხვა მელოდიაზე ამღერდება"

სად ძევს ზღვარი ინფორმაციასა და პროპაგანდას შორის? - გუშინდელ შეხვედრაზე ვალერი ჩხეიძეს ოლეგ პანფილოვისა და სხვა მოსკოველი ჟურნალისტების ბევრ მწვავე შეკითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა.

პაატა ვეშაპიძე

საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ, სოროსის ფონდის ფინანსური ხელშეწყობით, საქართველოში ვიზიტით იმყოფება მოსკოველი ჟურნალისტების ერთი ჯგუფი. ლიკანში, ქართველ კოლეგებთან ერთად მოწყობილ კონფერენციაზე, განიხილებოდა ერთობლივი საინფორმაციო ინტერნეტ-გვერდის შექმნის შესაძლებლობა და ამ იდეის ხორცშესხმის საორგანიზაციო პრობლემები. ეს, თავისთავად, ძალზე მნიშვნელოვანი წამოწყებაა, მაგრამ ამ შეხვედრათა მთავარი შედეგი, მაინც ე.წ. კულუარული ინფორმაციის გაცვლა და ქართველ და რუს კოლეგათა პირდაპირი დიალოგი გახლდათ.

ინფორმაცია და პროპაგანდა

"არსებობს ინფორმაცია და არსებობს პროპაგანდა. ეს ძალზე განსხვავებული ცნებებია. რასაც დღეს რუსეთის ტელეარხების და გამოცემების უმეტესობა აკეთებს, პროპაგანდაა. მასისთვის პროპაგანდა, შეიძლება, უფრო მოსახერხებელიცაა, ფიქრი არ სჭირდება. ჟურნალისტისთვისაც იოლია, გადამოწმება არ უნდა, ცოტას წაიზარმაცებს. მაგრამ ხალხი მაინც იმსახურებს, რომ იცოდეს სიმართლე. ამიტომ, მოდით, ერთმანეთს ინფორმაცია მივაწოდოთ", - თქვა ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა ოლეგ პანფილოვმა, როცა საღამოს ლიკანის ფიჭვებქვეშ მოსეირნე ქართველი და რუსი კოლეგების საუბარი მტყუან-მართლის გარჩევისკენ გადაიხარა.

გაგრძელება A8 გვერდზე

შევარდნაძე პუტინს დაჰპირდა იმას, რასაც ვერ შეუსრულებს

ზაზა წულაძე

"11 სექტემბრის განცხადებები, იმედი მაქვს, არ იქნება რეალიზებული, თუ შესრულდება ჩვენი შეთანხმებები ედუარდ ამბროსის ძესთან. ვიმედოვნებ, რომ ჩვენს მიერ მიღწეული შეთანხმებების შესრულება ქართული მხარისთვის პრობლემა არ უნდა იყოს," *– ეს გახლდათ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ბოლო სიტყვები, რომელიც მან გუშინ კიშინიოვში, დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა სამიტის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე წარმოთქვა. პუტინისა და შევარდნაძის ოთხპუნქტიანი შეთანხმების პაკეტიდან (საზღვრის ერთობლივი პატრულირება, დარჩენილი ჩეჩნების გადაცემა, სპეცსამსახურებს შორის ინფორმაციის გაცვლა და სპეცწარმომადგენლების დანიშვნა), რუსული მხარე ყველაზე დიდ მნიშვნელობას რუსი და ქართველი მესაზღვრეების მიერ*

გაგრძელება A2 გვერდზე

კიშინიოვის შეთანხმება - წუთშესვენება მორიგი რაუნდის წინ

შევარდნაძისა და პუტინის შეხვედრა კიშინიოვში ორივე ლიდერს დროის მოგების საშუალებას აძლევს. ვინ როგორ გამოიყენებს კიშინიოვის "დროებით ზავს"?

გიორგი ხელაშვილი

როგორც "24 საათის" გუშინდელ ნომერში ვწერდით, საქართველომ და რუსეთმა მხოლოდ დროებით ზავს მიაღწიეს, რომელიც ამ ეტაპზე ხელს აძლევს როგორც თბილისს, ისე მოსკოვს და, ალბათ, ვაშინგტონსაც. შევარდნაძემ და პუტინმა კიშინიოვში ტაიმ-აუტი აიღეს, რომელსაც ორივე მხარე ძალის მოკრებისათვის გამოიყენებს. სხვა მხრივ,პრეზიდენტების შეხვედრაზე რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ გადაწყვეტილა.

გაგრძელება A5 გვერდზე

„იტერა-ჯორჯიას" შექმნის ეპოპეა ლოგიკურად დასრულდა

ხელისუფლება თამამ გადაწყვეტილებას იღებს და "თბილგაზს" სახელმწიფო საკუთრებაში ტოვებს

"იტერასთან" ერთობლივი საწარმოს შექმნის სახელისუფლებო გეგმა ოფიციალურად ჩაშლილად გამოცხადდა. "ამ ეტაპზე, "იტერას" გენერალურ დირექტორთან პოზიციათა შეჯერება არ მოხერხდა. "უკეთესი იქნებოდა, ერთობლივი საწარმო რომ ჩამოყალიბებულიყო. ახლა კიდევ ერთი ზამთარი წვალებით უნდა გადავაგოროთ," – მიიჩნევს "იტერას" წარმომადგენელი საქართველოში თამაზ პატარიძე.

მაია ურუშაძე

და მაინც: რამ გამოიწვია ესოდენ აჟიტირებული გადაწყვეტილების შეცვლა ხელისუფლების მხრიდან ან დარჩება თუ არა ქართული მხარე წაგებული ამ შეთანხმების ჩაშლით?

გიორგი ისაკაძე და დავით მირცხულავა შეთანხმების ჩაშლის მთავარ მიზეზად "იტერას" მიერ იმ საგადასახადო შეღავათების მოთხოვნას ასახელებენ, რომელთა მინიჭებაც ხელისუფლებამ გამორიცხულად მიიჩნია. ისაკაძის განცხადებით, შეთანხმების მიღწევას იმანაც შეუშალა ხელი, რომ "იტერამ" ქართულ მხარეს, თავისი 49 პროცენტის ფარგლებში, ერთობლივი საწარმოს სუბსიდირება მოსთხოვა.

გაგრძელება A4 გვერდზე

მიხეილ სააკაშვილი: დამტკიცდა, რომ საქართველოს არ ჰყავს ძლიერი ხელმძღვანელი

საქართველოს პრეზიდენტი ჯერ კიდევ მოლდოვის მიწაზე იმყოფებოდა, როცა გუშინ "ნაციონალური მოძრაობის" ოფისში მის არათანმიმდევრულ პოლიტიკას სპეცპრესკონფერენცია მიუძღვნეს.

სოფო ბუკია

ერთადერთი დასკვნა, რომელიც "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა კიშინიოვის სამიტიდან გამოიტანა, ასეთია: "საქართველოს ჰყავს გუნდის კაპიტანი, რომელიც თამაშობს მხოლოდ ერთ კარში და ისიც საკუთარში."

"პუტინმა ხუთიანზე შეასრულა დაკისრებული მოვალეობა და დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა სამიტზე შევარდნაძის საქციელი მიხეილ სააკაშვილმა უპრინციპო პოლიტიკად მონათლა.

გაგრძელება A3 გვერდზე

საპროტესტო აქცია გენერალურ პროკურატურასთან.

გრიგოლ აბაშიძის ფოტო

საქართველოში დარჩენილი რვა ჩეჩნის ვინაობა და მომავალი გაურკვეველია

ჩეჩენ ლტოლვილთა საპროტესტო აქციამ მე-5 საპყრობილიდან გენერალურ პროკურატურასთან გადაინაცვლა. აქციის მონაწილეებს, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ქალები წარმოადგენენ, მოთხოვნები არ შეუცვლიათ. ხუთი ჩეჩენი პატიმრის რუსეთში ექსტრადირების ფაქტის გაპროტესტებასთან ერთად, ისინი საპყრობილეში დარჩენილი რვა თანამემამულის საქართველოში გასამართლებას ითხოვენ. გენერალური პროკურატურა კი დარჩენილთა ვინაობის დადგენას ელის.

სოფიკო ჩხაიძე

მანამდე, სანამ საქართველოში კვლავ გრძელდება მსჯელობა ხუთი ჩეჩნის რუსეთში ექსტრადირების სამართლიანობაზე, რუსეთის ოფიციალური წყაროები, მათ შორის, თვით პრეზიდენტი პუტინი, დარჩენილი რვა პატიმრის უახლოეს დღეებში გადაცემის იმედს გამოთქვამენ.

თუმცა, საქართველოს გენერალური პროკურატურის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი პაატა მსხილიძე უახლოეს მომავალში ექსტრადირების პროცედურის განმეორებას, ფაქტობრივად, გამორიცხავს.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა
B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 დიასპორა B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

მოკლედ

თბილისი. პანკისის ხეობაში, როგორც რუსეთისა და საქართველოს, ასევე აშშ-ს ინტერესებიც ვლინდება, ამიტომაც, დღეისათვის ამ ტერიტორიაზე სამივე მხარე წარმოდგენილია, - განაცხადა სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა. "საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო თანამშრომლობის ინტენსიფიკაციისა და პოლიტიკური განცხადებების სპეცსამსახურების დონეზე განხორციელების წინააღმდეგი არაა", - აღნიშნა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. იჩქერიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთისათვის 5 ჩეჩნის გადაცემას შეცდომა უწოდა. მასხადოვი თავის განცხადებაში მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ მომავალი ნაბიჯებისგან თავი შეიკავოს, რამაც, შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ქართულ-ჩეჩნურ ურთიერთობებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. სარწმუნო წყაროს ცნობით, თემურ ხაჩიშვილი რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. თავად ხაჩიშვილმა არც უარყო და არც დაადასტურა ეს ინფორმაცია და განაცხადა, რომ არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

ახალქალაქი. ჯავახეთში მოქმედი სომხური პოლიტიკური ორგანიზაცია "ვირქის" ლიდერი დავით რსტაკიანი დარწმუნებულია, რომ რუსეთის სამხედრო ბაზა, რომელიც ახალქალაქშია დისლოცირებული, სამუდამოდ დარჩება, რადგან, რუსეთის სამხედრო დასწრება საქართველოში არამარტო ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის, არამედ ქართველი ერის ინტერესებშიცაა.

რსტაკიანის განცხადებით, ახალქალაქის ბაზა რეგიონის უსაფრთხოების გარანტიაა, რამდენადაც მოსახლეობაში არ წაშლილა "ისტორიული მეხსიერება", რომელიც 1918 წელს თურქეთის მიერ "საქართველოს გამყიდველ მენშევიკურ მთავრობასთან ბინძური გარიგებით" ამ რეგიონში სომხების გენოციდის მოწყობას ეხება. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება დიდად არ განსხვავდება მენშევიკური მთავრობისაგან, - თქვა რსტაკიანმა. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ, რუსეთის ვერტმფრენებმა მანევრების შესრულებისას დარიალის ხეობის მხრიდან საქართველოს საჰაერო სივრცე ოთხჯერ - 00.05, 00.20, 00.25 და 10.20 წუთზე დაარღვიეს, - გვაცნობეს საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტიდან. მანევრების შემდეგ ვერტმფრენები რუსეთის მიმართულებით ბრუნდებოდნენ, - აღნიშნეს სასაზღვრო უწყებაში. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. მერიის კულტურის სამსახური პროტესტს გამოთქვამს კერძო კლუბებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ქართული კულტურის მოღვაწეთა ვარსკვლავების გახსნის გამო, რაც ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა და თვითნებურადაც ხდება. სამსახურის ცნობით, მსგავსი ფაქტები ეწინააღმდეგება არამარტო ეთიკურ ნორმებს, არამედ საქართველოს მთავრობისა და თბილისის მერიის გადაწყვეტილებებს, სადაც აღნიშნულია, რომ მხოლოდ თბილისის მერიას და კულტურის საქალაქო სამსახურს აქვს სახელობითი ვარსკვლავის გახსნის უფლება, ვინაიდან ვარსკვლავის გახსნის იდეა მოდის 2000 წლის მაისიდან და უკავშირდება უშუალოდ კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის სახელს. თუკი უახლოეს მომავალში არ აღიკვეთება თვითნებურად სახელობითი ვარსკვლავების გახსნის ღონისძიებები, მერიის კულტურის სამსახური კანონიერების აღდგენას სასამართლო წესით მოითხოვს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

ერევანი. მოსკოვი და თბილისი "ინტენსიურ მოლაპარაკებებს" აწარმოებენ აფხაზეთის მონაკვეთის გავლით, რუსეთსა და სომხეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით, - იტყობინება საინფორმაციო სააგენტო მედიამაქსი.

ამასთან, რუსული მასმედიის მონაცემებით, ამის შესახებ რუსეთის მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრმა ილია კლებანოვმა განაცხადა მოსკოვში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომლის ორგანიზატორია რუსეთის სომეხთა კავშირი. მისი თქმით, ასეთი მოლაპარაკებები საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლებს შორის წელიწადში 4-5-ჯერ იმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გაწეული ხარჯებიდან საბიუჯეტო ორგანიზაციების სექტემბრის თვის შრომის ანაზღაურება 8.737.300 ლარია, სექტემბრის თვის კვების ხარჯები - 1.728.500 ლარი. თანხა ძირითადად, ძალოვან უწყებებზე მოდის, ასევე სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლებზე, რომელთათვის 219.500 ლარია გადარიცხული. საპენსიო ტრანსფერი - 2.400.000 ლარი, უმწეო ოჯახების დახმარება - 1.000.000 ლარი, რეგრესული პენსიები – 65.000 ლარი. საქართველოს ტელე და რადიომაუწყებლობის სუბსიდია - 775.000 ლარი. საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების შენახვის ხარჯები - 1.445.300 ლარი, განათლების სამინისტროს მიზნობრივი პროგრამები - 40.000 ლარი. განათლების სამინისტროს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამისათვის გაიცა 125.000 ათასი ლარი. კულტურის სამინისტრომ თეატრალური ხელოვნების განვითარების პროგრამების დასაფინანსებლად 50.000 ლარი მიიღო. კოდორის ხეობაში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატს ხეობაში მოსახლეობის დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დამატებითი ღონისძიებების გასატარებლად 250.000 ლარი გადაირიცხა; საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატს იმერეთის მხარეში - 18.000 ათასი ლარი და სხვა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ანტიკორუფციულ ღონისძიებათა ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა განკარგულება, რომლის საფუძველზე ანტიკორუფციული კომისიის დასაფინანსებლად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან გამოეყო 15 ათასი ლარი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

სოხუმი. ქართული მხარე ვალდებულებას იღებს, რომ კოდორის ხეობის სოფელ ჩხალთიდან საბრძოლო მასალებს გაიტანს, რომლებიც საწყობად გადაკეთებულ ადგილობრივი სკოლის შენობაში ინახებოდა, - განაცხადა სოხუმის ე.წ. თავდაცვის მინისტრის პრეს-მდივანმა ლეონ გალუსტოვმა. მისი თქმით, სოხუმში ეჭვობენ, რომ თბილისი "მორიგ პროპაგანდისტულ ტრიუკს ახორციელებს". "საქმე ისაა, რომ აფხაზეთის წარმომადგენლებს უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო კოდორის ხეობაში არსებული სიტუაციის შემოწმების საშუალება არ მიეცათ, სადაც, აფხაზური მხარის მტკიცებით, შეთანხმებების დარღვევით შეიარაღებული პირები იმყოფებიან", - თქვა ლევონ გალუსტოვმა. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

ფოთი. გემთმშენებელი ქარხანა მსოფლიოში პირველი ჩქაროსნული ბორანის მშენებლობას იწყებს, - განაცხადეს ფოთის გემთმშენებლი ქარხნის ადმინისტრაციაში.

ფოთის გემთმშენებელმა ქარხანამ ბერძნულ კომპანიასთან უკვე გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ქარხანა დაიწყებს 2,5 მილიონი დოლარის ღირებულების 150-კაციანი გემის მშენებლობას. პროექტი სანკტ-პეტერბურგის საკონსტრუქციო-საპროექტო ორგანიზაცია "აგატში" დამზადდა. ამჟამად კიდევ მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე პროექტზე უცხოელ კომპანიებთან. ერთ-ერთმა კომპანიამ უკვე გამოთქვა ხუთი 250-ადგილიანი ჩქაროსნული ბორანის შეძენის სურვილი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

სტამბოლი. ევრაზიის მეხუთე ეკონომიკურ სამიტზე საქართველოს მხარემ დაადასტურა ევროპასა და აზიას შორის სატრანსპორტო დერეფნის როლი და გამოთქვა მზადყოფნა, აქტიურად ჩაერთოს რეგიონში მიმდინარე გლობალურ მოვლენებში, მათ შორის სამიტის მონაწილე ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისა და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლისათვის. საქართველო, ევროკავშირის მხარდაჭერით, უამრავ გლობალურ-რეგიონულ პროექტში მონაწილეობს. (ტრასეკა, ბაქო-თბილის-ჯეიჰანის პროექტი), რაც შესაძლებლობას აძლევს ჩვენს ქვეყანას, გახდეს სატრანსპორტო კორიდორი ევროპასა და აზიას შორის. სტამბოლში დასრულებულ ევრაზიის მეხუთე ეკონომიკურ სამიტში მონაწილეობდნენ მაღალი რანგის თანამდებობის პირები 30 ქვეყნიდან. მათ, ეკონომიკური თანამშრომლობის გარდა, განიხილეს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებიც. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

მოსკოვი. ჩეჩენი ბოევიკები კავკასიაში მთიანი უღელტეხილების დახურვამდე კვლავ შეეცდებიან საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე გაჭრას, - განაცხადეს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის 58-ე არმიის შტაბიდან. "ზუსტად ორ კვირაში., 20 ოქტომბრისთვის მთის უღელტეხილები დაიკეტება და მანამდე ბანდჯგუფები შეეცდებიან რუსეთის ტერიტორიაზე გაჭრას," - აღნიშნეს სამხედროებმა. ჩეჩენ ბოევიკთა გაჭრას, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ლაგოდეხის ნაკრძალიდან, საიდანაც საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთამდე დაახლოებით 30 კმ-ია. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

მოსკოვი. რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილე სერგეი ფრიდინსკი ამტკიცებს, რომ საქართველოს მიერ რუსეთისთვის გადაცემული ხუთი ჩეჩენიდან ერთმა მთლიანად აღიარა თავის დანაშაული. კიდევ სამმა ბოევიკმა აღიარა დანაშაული ნაწილობრივ, ერთი კი თავის ბრალეულობას მთლიანად უარყოფს.

ფრიდინსკიმ აღნიშნა, რომ ამ ხუთ ბოევიკს, იმ 13 შეიარაღებული ჩეჩენიდან, რომლებიც აგვისტოში საზღვარზე დააკავა ქართულმა მხარემ, გასულ შაბათს რუსეთის პროკურატურამ წაუყენა სისხლის სამართლის რამდენიმე ბრალდება, მათ შორის, თავდასხმა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებზე, საზღვრის უკანონო გადალახვა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარება. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

მოსკოვი. საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების შემთხვევაში, რუსეთი ადეკვატურ ზომებს მიიღებს, - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ლოშჩინინმა და აღნიშნა, რომ ეს არის არა მუქარა, არამედ რუსეთის უფლება, დაიცვას თავისი ეროვნული ინტერესები. "რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია სუვერენულ სახელმწიფოს, მათ შორის, საქართველოს დავუშალოთ ამა თუ იმ ორგანიზაციაში შესვლა, მაგრამ, თუ რაიმე გადაწყვეტილება შეეხება რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს, იძულებულნი ვიქნებით, ადეკვატური ზომები მივიღოთ," - განაცხადა მან. **კავკას-პრესი.**

შევარდნაძე პუტინს დაჰპირდა იმას, რასაც ვერ შეუსრულებს

პირველი გვერდიდან

სახელმწიფო საზღვრის ერთობლივი პატრულირების შესახებ სიტყვიერ შეთანხმებას ანიჭებს. რუსეთის პოლიტიკურ წრეებში შევარდნაძის სიტყვიერი თანხმობა ცალსახად აღქმულია, როგორც მნიშვნელოვანი დათმობა საქართველოს მხრიდან. თუმცა, გუშინვე, მოსკოველ ჟურნალისტებთან ვალერი ჩხეიძის შეხვედრისას, გამოჩნდა, რომ საქართველო, რუსეთისგან განსხვავებით, ერთობლივი პატრულირების შესახებ გადაწყვეტილებას სულ სხვაგვარად ხედავს.

კიშინიოვური შეთანხმების შემდეგ, რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის მთავარი შტაბის უფროსი ნიკოლაი რეზნიჩენკო სასწრაფოდ გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონულ სამმართველოში, რათა ადგილზე შეიმუშაოს საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტთან ერთობლივი მოქმედებების გეგმა. ორი ქვეყნის პრეზიდენტების ამ შეთანხმებას "მნიშვნელოვანი" უწოდა რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერმა სერგეი მირონოვმა. **"ამ შეთანხმების შემდეგ, ჩვენს ურთიერთობაში გარკვეულ ძვრებს უნდა ველოდოთ,"** – აღნიშნა სპიკერმა. ასეთივე ოპტიმისტური განცხადებით გამოვიდა რუსეთის დუმის გავლენიანი ფრაქცია "ედინსტვოს" ერთ-ერთი ლიდერი ნიკოლაი რეზნიკი. **"შევარდნაძემ, ამ თანხმობით, საზღვარზე ორი ქვეყნის მესაზღვრეების ეფექტური თანამშრომლობის პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო. მე დუმაში ყველაფერს გავაკეთებ, რათა ამ ერთობლივი ღონისძიებებისათვის ფინანსები გამოინახოს"**.

ჯერჯერობით, ხმამაღლა არავინ საუბრობს, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ რუსეთში პრეზიდენტების სიტყვიერ შეთანხმებას რუსეთისა და საქართველოს მესაზღვრეების მიერ ჩეჩნური ჯგუფების წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო ოპერაციის განხორციელების წინაპირობად განიხილავენ, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზეც. ამის დასტურია გუშინ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების უპრეცედენტო დათბობა. სამიტის მიმდინარეობისას რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა ხმამაღლა განაცხადა, რომ **"საქართველოსთან სახელმწიფო საზღვარზე სრული სიწყნარეა",** ხოლო რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ საღამოს გამოაცხადა, რომ **"ვერ იპოვნა ედუარდ შევარდნაძის დანაშაულის ნიშნები საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის ბერინგის სრუტის საზღვაო სივრცის გადანაწილებაში".**

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ - ვალერი ჩხეიძემ გუშინვე კატეგორიულად განაცხადა, რომ **"ეს შეთანხმება არ ითვალისწინებს რუსი მესაზღვრეების გადმოსვლას საქართველოს ტერიტორიაზე, ამის საჭიროება არ არსებობს. თანაც, ასეთ გადაწყვეტილებას პარლამენტის თანხმობა სჭირდება და ეს საკითხი ასე იოლად არ წყდება".** ჩხეიძემ "24 საათთან" საუბარში ასევე აღნიშნა, რომ მას, მინიმუმ, სამ დღეში შეუძლია, პრეზიდენტ შევარდნაძეს სახელმწიფო საზღვრის ერთობლივი პატრულირების მისეული ხედვა მაგიდაზე დაუდოს. **"ერთობლივი პატრულირება გულისხმობს ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლას, ოპერატიულ და შეთანხმებულ მოქმედებებს საზღვრის ორივე მხარეს. არ არის გამორიცხული ნეიტრალურ ზონაში ერთობლივი საგუშაგოების გახსნაც. თუმცა, ასეთი სახის პატრულირება შესაძლებელია იქ, სადაც ალპური ზონაა, ანუ, დაახლოებით, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე და ქვემოთ, უფრო ზევით ამის გაკეთება, ურთულესი რელიეფისა და კლიმატური პირობების გამო, თითქმის შეუძლებელია,"** – გვითხრა ჩხეიძემ. **"არავითარი შეთანხმება ჩეჩნურ რაზმებთან ერთობლივი ბრძოლის შესახებ პრეზიდენტ შევარდნაძეს არ დაუდია,"** – დაუდასტურა "24 საათს" საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატმა.

რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარი 897,7 კილომეტრს შეადგენს, აქედან 105 კილომეტრია - დაღესტნის მონაკვეთი, 61 – ინგუშეთის და 81,4 – ჩეჩნეთის. დანარჩენი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე მოდის, სადაც ქართველი მესაზღვრეები (კოდორის მონაკვეთის გარდა) ვერ შედიან. **"ერთობლივი მოქმედებების შემუშავების დროს მე აუცილებლად დავაყენებ საკითხს, რომ ქართველი მესაზღვრეები ამ უკონტროლო მონაკვეთებზეც დაუშვან,"** – ვალერი ჩხეიძის ეს განცხადება უკვე მიანიშნებს, რომ მოლაპარაკება ერთობლივი პატრულირების შესახებ მეტად რთული იქნება და, საეჭვოა, ახლო მომავალში, საერთოდ, რაიმე რეალური შედეგით დასრულდეს. მით უმეტეს, რომ სადღაც 25 ოქტობრიდან სახელმწიფო საზღვრის ყველაზე რთულ მონაკვეთებს თოვლი ჩაკეტავს და ეს პრობლემა გაზაფხულამდე ავტომატურად მოიხსნება.

ოთხპუნქტიანი შეთანხმების პაკეტიდან ასევე პრობლემატურია თბილისში დარჩენილი რვა ჩეჩენი მებრძოლის სწრაფი (ხუთ-ექვს დღეში) გადაცემის საკითხიც. საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად ეცდება, ეს პროცესი მაქსიმალურად გაწელოს, რათა ქართულ-ჩეჩნური ურთიერთობა საბოლოოდ არ შევიდეს ჩიხში. ხუთი ბოევიკის ექსტრადიციის შემდეგ ამის საშიშროება ნამდვილად არსებობს. გენერალურმა პროკურატურამ გუშინვე განაცხადა, რომ **"ჩეჩნების ექსტრადიციის საქმე, ევროსასამართლოს რეკომენდაციის გამო, დროებით შეჩერებულია, დამატებითი დეტალების გარკვევამდე".**

კიშინიოვში მიღწეული შეთანხმებებიდან ყველაზე ადვილად გადასაწყვეტი საკითხი კიშინიოვშივე გადაწყდა, თავის სპეცწარმომადგენლად შევარდნაძემ უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია დანიშნა, პუტინმა კი - ფედერალური უშიშროების სამსახურის დირექტორი ნიკოლაი პატრუშევი. გუშინვე ხაბურძანიამ და პატრუშევმა მოსკოვში, დახურულ კარს მიღმა დაიწყეს ერთობლივ ღონისძიებათა გეგმის შემუშავება, რომელმაც რუსეთიდან პანკისის ხეობაში ბოევიკების გადაადგილება უნდა გამორიცხოს.

კიშინიოვის სამიტზე საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის შედეგების დახასიათება ერთი რუსული გამოთქმით შეიძლება – "Хотели как лучше, а получилось как всегда".

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

მიხეილ სააკაშვილი: დამტკიცდა, რომ საქართველოს არ ჰყავს ძლიერი ხელმძღვანელი

პირველი გვერდიდან

იმ შეთანხმების სცენარი კი, რაც სამიტზე პუტინსა და შევარდნაძეს შორის იქნა მიღებული, სააკაშვილის აზრით, კრემლის კედლებში შეიქმნა და არავითარ შემთხვევაში არ პასუხობს საქართველოს ინტერესებს. მისი თქმით, შევარდნაძე რაღაც გაურკვეველი ილეთებით მანევრირებს, ის, რაც ცოტა ხნის წინ მისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო, კიშინიოვის ცის ქვეშ, რატომღაც, მისაღები გახდა...პუტინმა შესანიშნავად დაიცვა საკუთარი ერის ინტერესები... მაგრამ, რა დავაშავეთ ჩვენ, როდესაც ჩვენმა პრეზიდენტმა, ამდენი ბაქიბუქისა და რიტორიკის შემდეგ, ყველაფერი დათმო და სანაცვლოდ არაფერი მოითხოვა? სად მიგვიყვანს მსგავსი თამაში, რომელსაც პოლიტიკას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავარქმევ? საქართველომ რუსეთთან, ფაქტობრივად, ცალმხრივი შეთანხმება დადო და ვალდებულებები იკისრა. ბუნებრივია, მოსკოვი აიძულებს თბილისს, შეთანხმება შეასრულოს," – აცხადებს სააკაშვილი.

მიხეილ სააკაშვილი აღშფოთებულია.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე "ნაციონალების" ლიდერმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დასარეგულირებლად ირინა ხაკამადასთან ერთად შემუშავებული საკუთარი გეგმა გაიხსენა და პუტინ-შევარდნაძის სამიტზე მიღებულ შეთანხმებას შეადარა.

ხაკამადა-სააკაშვილის გეგმის მიხედვით, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების "დათბობა" სამმხრივი შეთანხმების – საქართველო-ამერიკა-რუსეთის საფუძველზე უნდა მომხდარიყო. საქართველოს რუსეთისთვის ძებნილი ბოევიკები უნდა გადაეცა, სანაცვლოდ კი რუსეთიდან უნდა გადმოსცემოდა ძებნილები, მათ შორის - უშიშროების ყოფილი შეფი იგორ გიორგაძეც. გეგმაში ინფორმაციის ურთიერთგაცვლაზეცაა ლაპარაკი. ხაკამადა-სააკაშვილის მოდელის მიხედვით, საქართველო იმ შემთხვევაში გააუქმებდა ჩეჩნეთის წარმომადგენლობას, თუ რუსეთი იმავეს განახორციელებდა აფხაზეთის წარმომადგენლობის მიმართ.

საკუთარი გეგმის პარალელურად, სააკაშვილმა პუტინ-შევარდნაძის კიშინიოვისეული შეთანხმება განიხილა. **"საქართველომ გადასცა რუსეთს ძებნილები, ინფორმაცია; დაწყებულია სერიოზული კამპანია ხიზრი ალდამოვის წინააღმდეგ და მას სულ მალე მეხუთე იზოლატორის გზას გაუყენებენ, რაც ჩეჩნეთის წარმომადგენლობის დახურვის წინაპირობაა; და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კიშინიოვში პუტინისა და შევარდნაძის შეხვედრისას გაიჟღერა ფრაზამ "ერთობლივი პატრულირება". მე ორი წელი საბჭოთა ჯარში ვმსახურობდი და კარგად ვიცი ამ ტერმინის მნიშვნელობა. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსებს შეუძლიათ, თავისუფლად შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და აქ სამხედრო ოპერაციები აწარმოონ. და ამ ყველაფრის სანაცვლოდ საქართველოს პრეზიდენტმა არაფერი მოითხოვა,"** – აცხადებს სააკაშვილი.

პრესკონფერენციის კიდევ ერთ მთავარ თემად რუსულ "იტერასთან" საბოლოოდ ჩაშლილი ხელშეკრულება იქცა. ამ **"ანტიეროვნული კონტრაქტის"** "არდადებას" სააკაშვილი საკუთარ თავს მიანერს. მისი თქმით, "იტერა", რომელიც საქართველოში შევარდნაძე-ჯოხთაბერიძის ოჯახური ბიზნესის გასაძლიერებლად უნდა შემოსულიყო, სააკაშვილმა უკრაინის ოპოზიციისა და ვაშინგტონელი მეგობრების დახმარებით "დაამარცხა". "ნაციონალების" ლიდერის ბოლო ვოიაჟი აშშ-ში სწორედ "იტერას" უკავშირდებოდა.

"პირდაპირ გაოცებული ვუყურებდი დღეს ტელევიზორს. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები პირზე დუჟმომდგარი ირწმუნებოდნენ, რომ "იტერა" საქართველოს არ სჭირდება. ვერ ვიცანი, ეს ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები იყვნენ თუ კობა დავითაშვილი... იგივე სიტყვები, ტერმინოლოგია, რასაც ჩვენ ვამბობდით და პრეზიდენტი ძალიან პათეტიკური ტონით, კატეგორიულად უარყოფდა," – უკვირს სააკაშვილს.

"ნაციონალების" ლიდერს, რა თქმა უნდა, არაფერი აქვს, საზოგადოდ, ბუნებრივი აირის საწინააღმდეგო, თუნდაც - რუსულის, მაგრამ მის სიტყვებს რომ დავესესხოთ, "თბილგაზის" პრივატიზაცია უნდა მოხდეს არა ოჯახური ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ სერიოზული საერთაშორისო ტენდერით, რაც, მისივე თქმით, წელს ვერ მოხერხდება.

სააკაშვილმა მთავრობა ასე დააკვალიანა: **"კეთილი ინებონ და როგორც უნდათ, ისე გაათბონ თბილისი. მოიტანონ უკან ის თანხები, რაც დედაქალაქის ბიუჯეტს მოპარეს. ან საირმის გორაზე ორი სახლი გაყიდონ, ეს თანხა დედაქალაქის გაზით მომარაგებას ერთი წელი ეყოფა".** "ნაციონალების" ლიდერი იძლევა პირობას, რომ ხელისუფლებას აიძულებს, "თბილგაზი" ღირსეულ ინვესტორს ჩააბაროს.

სანამ პოლიტიკოსები დუმან, ტერიტორიული მოწყობის თემით სამხრეთ კავკასიელი მეცნიერები დაინტერესდნენ...

პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვის შესაბამისად, საქართველოში ზოგჯერ გუბერნატორების ინსტიტუტის გაუქმების სურვილი უჩნდებათ, ზოგჯერ - რაიონების გაუქმების და გუბერნიების (მხარეების) ჩამოყალიბების. ქვეყნის შესაძლო ტერიტორიული მოწყობის საკითხი, ისევე, როგორც ავტონომიების სტატუსი და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილების თემა, ხშირად ხდება პოლიტიკური ვაჭრობისა და პოლიტიკური შანტაჟის საგანი.

თამარ ხორბალაძე

ამ ზაფხულში მიღებული გადაწყვეტილებით უნდა შექმნილიყო საკონსტიტუციო ცვლილებების მოსამზადებლად სპეციალური კომისია, რომელიც უახლოეს პერიოდში შეიმუშავებდა საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საფუძვლებს, მომზადებული დოკუმენტი კი მომავალში არსებული პრობლემების გადაწყვეტის წინაპირობა გახდებოდა. თუმცა, ამ თემის უკანა პლანზე გადასვლა რუსეთ-საქართველოს შორის უკიდურესად დაძაბული ურთიერთობის "წყალობით" წარმატებით მოხერხდა და ხელისუფლებამ, როგორც მთლიანად პოლიტიკურმა სპექტრმა, აღნიშნული საკითხისთვის ისევ ვერ მოიცალა.

სამაგიეროდ, გუშინ თბილისში ამ საკითხზე – კერძოდ, სამხრეთ კავკასიაში ფედერალიზმისა და რეგიონალიზმის პერსპექტივებზე - ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მეცნიერები მსჯელობდნენ. განხილვის ერთ-ერთი ძირითადი საგანი იყო ფედერალიზმის, როგორც ეთნიკური კონფლიქტების დარეგულირების საშუალების გამოყენება.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საკონსტიტუციო სასამართლოს, პარლამენტის წარმომადგენლები.

კონფერენციის ორგანიზატორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი ხუბუამ "24 საათს" განუცხადა, რომ შეხვედრის მთავარი მიზანი ამ საკითხებზე დისკუსიის განახლებაა.

"-ეს სამეცნიერო პოლემიკა, იმედია, მალე გადავა პოლიტიკური დისკუსიის რანგში.

ამ მხრივ საქართველოში საკმაოდ გაურკვეველი სიტუაციაა. კონსტიტუციური ცვლილებები წარმატებულად ვერ დავიწყეთ. მაგალითად, აჭარის ავტონომიასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა განსაზღვრა მხოლოდ ტერიტორიული მოწყობის ფორმა, შინაარსი კი - არა. ასეთი სიტუაცია ბათუმსა და თბილისს იურიდიული თვითნებობის კარგ საშუალებას აძლევს.

საერთოდ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფედერალიზმი არის მმართველობის რთული ფორმა. ნებისმიერმა ფედერალურმა სახელმწიფომ ფედერალიზმი აირჩია, როგორც გარკვეული პრობლემების დაძლევის საშუალება.

- თქვენ თვლით, რომ ფედერალური მოწყობა საქართველოს ტერიტორიული პრობლემების მოგვარებას გაუადვილებს?

სემინარი სასტუმრო "მარიოტში".

- ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ შეუძლია - გაანეიტრალოს ეს კონფლიქტები. უფრო სწორად, ვთვლი, რომ აფხაზეთს მომავალში შეუძლია იყოს საქართველოში ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექტი.

- მხოლოდ აფხაზეთზე და აჭარაზეა საუბარი, თუ საქართველოს სხვა მხარეებზეც?

- ვფიქრობ, ორსუბიექტიანი ფედერაცია უფრო დიდი საფრთხის შემცველია, ვიდრე მთლიანად ფედერალურ საფუძველზე მოწყობილი ქვეყანა. ამიტომ, რაღაცნაირად, ეს საშიშროება რომ გავანეიტრალოთ, დანარჩენი ნაწილები მოწყობილი უნდა იყოს არა ისტორიული მხარეების მიხედვით, არამედ მხოლოდ მართვის ოპტიმალურობიდან გამომდინარე.

თუ ქართველი მეცნიერები ქვეყნის ფედერალურ მოწყობას ტერიტორიული კონფლიქტების თავიდან აცილების ერთ-ერთ წინაპირობად ასახელებდნენ, აზერბაიჯანის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მათ ქვეყანაში ეს საკითხი საერთოდ არ არის აქტუალური. **"ჩვენთან საუბარი მიდის ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების გაზრდასა და ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნაზე. რაც შეეხება ფედერალიზმს, ეს იდეა აბსოლუტურად არ არის აქტუალური,"** - განაცხადა ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ერკინ გადიროვმა. მისი თქმით, იმედი იმისა, რომ ყარაბაღის კონფლიქტი ტერიტორიული მოწყობის პრინციპის შეცვლით შეიძლება მოგვარდეს, ილუზიაა.

თავის მხრივ, სემინარის მონაწილემ, სომხეთის სახელმწიფო მართვის აკადემიის რექტორმა არმენ გარუტუნიანმა "24 საათთან" საუბარში მინიშნება გააკეთა იმაზე, რომ ქვეყანაში, სადაც არსებობს კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ჯგუფები და ეს ქვეყანა ფედერალური არ არის, ტერიტორიული კონფლიქტები გარდაუვალია. ეს განმარტება მან აზერბაიჯანთან დაკავშირებით გააკეთა, თუმცა ისიც თქვა, რომ საქართველო ფედერალიზმს სრული სერიოზულობით უნდა მიუდგეს:

- ფედერალიზმი საკმაოდ სერიოზული თემაა, ეს არის ხელისუფლების ორგანიზების საკითხი, რომელიც არ უნდა დავიყვანოთ მხოლოდ დღეს არსებული ეთნიკური პრობლემების გადაწყვეტამდე. ფედერალიზმი არ არის აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის მთავარი ბერკეტი. საქართველო საკმაოდ დიდი ქვეყანაა და ხელისუფლების ორგანიზების საკითხი გაცილებით ფართოა, ვიდრე მხოლოდ აფხაზეთის რეინტეგრაციის პრობლემა...

- მაგრამ, შეიძლება თუ არა ფედერალური მოწყობა დაეხმაროს ქვეყანას ტერიტორიული კონფლიქტების დარეგულირებაში?

- როგორც ელემენტი, იგი შეიძლება გამოყენებული იქნას აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტაში...

მაგრამ, აფხაზეთის გარდა, საქართველოს აქვს სხვა რეგიონები, მაგალითად აჭარა, სამხრეთ ოსეთი, არის რეგიონები, სადაც ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ, მაგალითად, სამეგრელოში, იმერეთში. თითოეულ რეგიონს თავისი პრობლემა აქვს და თითოეულ მათგანს უნდა მიუდგეთ რეგიონალიზმის პრინციპების მიხედვით, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე...

- აზერბაიჯანის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათთან ფედერალიზმი არ არის აქტუალური. თქვენთან ეს საკითხი აქტუალურია? ცხადია, რომ სომხეთს ეთნიკური პრობლემების მოსაგვარებლად იგი არ დასჭირდება...

- მართალია, ამიტომ ჩვენ ფედერალიზმს განვიხილავთ, როგორც მხოლოდ ხელისუფლების მოწყობის ერთ-ერთ ფორმას. გერმანიაში ფედერაცია ეთნიკურ საფუძველზე არ გახლავთ აშენებული. იმან, რომ აზერბაიჯანში არ არის აქტუალური ფედერალიზმი, თავის დროზე მიგვიყვანა კიდეც ყარაბაღის პრობლემამდე. მე არ გამიკვირდება, რომ ანალოგიური პრობლემები შეექმნათ მათ იმ ტერიტორიებზე, სადაც სხვა ეთნოსები, მაგალითად, ლეკები ცხოვრობენ კომპაქტურად. ფედერალიზმი არ შეიძლება, არ იყოს აქტუალური ზოგადად. იგი გაცილებით დემოკრატიული ფორმაა სახელმწიფოს მოწყობისა, რომელიც ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობებს ჰარმონიულად არეგულირებს.

კონფერენციაზე, რომელიც დღეს დასრულდება, ამ ურთულესი თემის ამოწურვა, რა თქმა უნდა, ვერ მოხერხდება. გუშინდელმა დისკუსიამაც ცხადყო, რომ ვერც საერთო პოზიციამდე მისვლა იქნება ადვილი. თუმცა, კონფერენციის ორგანიზატორმა ქართულმა მხარემ, გიორგი ხუბუამ გუშინ "24 საათს" მაინც "გაუმხილა" თავისი ხედვა, რომელიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შემდგომ ინტეგრაციასთან არის დაკავშირებული: **"რეგიონულმა ინტეგრაციამ, შესაძლოა, აქტუალობა დაუკარგოს რეგიონულ კონფლიქტებს. შეიძლება, დღეს ეს ძალიან არარეალურად ჩანდეს, მაგრამ ყველანაირი პარამეტრებით ამ ქვეყნებს აქვთ პოტენცია და ისინი იძულებულიც იქნებიან, მომავალში ამ გზით წავიდნენ."**

ყოფილი თანამოაზრენი ერთმანეთს უპირისპირდებიან

გუშინ საარჩევნო დარღვევების მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე, სოციალისტი ზაქარია ქუცნაშვილი მორიგ სკანდალში გაეხვა. ამჯერად თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაში იგი მისმა ყოფილმა თანამოაზრეებმა – "ტრადიციონალისტმა" ალექსანდრე შალამბერიძემ და ფრაქცია "აღორძინების" ერთ-ერთმა ლიდერმა ვალერი გელბახიანმა დაადანაშაულეს. მათი აზრით, ქუცნაშვილი თავის ნაბიჯებს კომისიის წევრებს არ უთანხმებს.

ამ დაპირისპირებას ორი მიზეზი აქვს. პირველი: ქუთაისის საკრებულო და მეორე: ზაქარია ქუცნაშვილისა და ვახტანგ ხმალაძის მიერ შემუშავებული კანონპროექტი, რომელიც არჩევნების შედეგების გასაჩივრების ახალ ვადებსა და პროცედურას ეხება. როგორც ირკვევა, ორივე საკითხის თაობაზე, ცალკე - კომისიის ხელმძღვანელობას და ცალკე - მის წევრებს რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.

ზაქარია ქუცნაშვილი მიიჩნევს, რომ ქუთაისის საკრებულოს შემადგენლობაში მხოლოდ ერთი წევრი უნდა შეიცვალოს და აღნიშნავს, რომ, მისი და ხმალაძის მიერ მომზადებული კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, დაზარალებულ კანდიდატს, რომელიც არჩევნების გაყალბების გამო საკრებულოს მიღმა დარჩა, უფლება ექნება, თავისი პოზიცია დაიცვას, რადგან ახალი კანონი სასამართლოში გასაჩივრების ვადას სამი დღიდან ექვს თვემდე ზრდის. მისი მოწინააღმდეგენი კი აცხადებენ, რომ ქუთაისში საკრებულო მთლიანად დასაშლელია, როგორც უკანონოდ არჩეული, ხოლო რაც შეეხება კანონპროექტს, იგი ხარვეზებით სავსეა და დახვეწას მოითხოვს. ვალერი გელბახიანი და ალექსანდრე შალამბერიძე ამტკიცებენ, რომ ზაქარია ქუცნაშვილმა და ვახტანგ ხმალაძემ იგი ისე შეიმუშავეს, რომ კომისიის დანარჩენი წევრები საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ. რაც შეეხება გუშინდელ სკანდალს: იგი ზაქარია ქუცნაშვილის მიერ გამართული პრესკონფერენციის მსვლელობისას მოხდა. სწორედ მაშინ, როდესაც კომისიის თავმჯდომარე ჟურნალისტებს ქუთაისის საკრებულოს არჩევნების შედეგების გადამოწმებისას მიღებულ სურათს აცნობდა და ახალი საკანონმდებლო ინიციატივის აუცილებლობაზე საუბრობდა, დარბაზში მისი პოლიტიკური ოპონენტები შემოვიდნენ და ქუცნაშვილს საქმე ჟურნალისტების წინაშე გაურჩიეს.

"ქუთაისის საკრებულოს არჩევნებისას გამოვლენილი დარღვევის ხარისხი იმდენად სერიოზულია, რომ ის მთლიანად ახდენს გავლენას შედეგებზე. იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და საუბარი არ უნდა იყოს საკრებულოს შემადგენლობიდან ერთი პიროვნების გამოყვანასა და მეორის შეყვანაზე", - განაცხადა ვალერი გელბახიანმა და იქვე დასძინა, რომ ზაქარია ქუცნაშვილმა პრესკონფერენცია, კომისიის სახელით, ისე მოიწვია, მისი წევრები საქმის კურსშიც კი არ ჩაუყენებია.

ზაქარია ქუცნაშვილის აზრით კი, მის მოწინააღმდეგეებს **"არ სურთ ქუთაისის არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნება, რადგან პარტიებთან ვაჭრობა ჯერ არ დაუსრულებიათ."** იგი ასევე ამტკიცებს, რომ კომისიის წევრთა ნაწილი კანონპროექტის მიღების წინააღმდეგი იმიტომაა, რომ არ სურთ საქართველოში სამართლიანი არჩევნების ჩატარება, რადგან, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, მომავალი არჩევნები გაცილებით სამართლიანად გაიმართება და მისი გაყალბების ალბათობა შემცირდება, რაც იმავე "ტრადიციონალისტებისა" და "აღორძინების" ინტერესში არ შედის.

"24 საათი"

პარლამენტი - უდისკვალიფიკაციისა და დაუდევრობის ეპიცენტრი

პარლამენტის ბიუროს გუშინდელმა სხდომამ შედარებით მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, რაიმე ექსცესებს ან სენსაციურ განცხადებებს ადგილი არ ჰქონია. თუმცა, ნახსენები "სიმშვიდე" საკმაოდ პირობითია და იგი, ძირითადად, შეკრების პოლიტიკურ მხარეს ეხება. წესრიგისა და დისციპლინის მხრივ კი, გუშინ ყველაფერი ძველებურად იყო: დეპუტატები კოლეგებს საუბარს არ აცდიდნენ, ერთმანეთში ხმამაღლა საუბრობდნენ და სხდომის ნორმალურად წარმართვას აფერხებდნენ. ნინო ბურჯანაძის არყოფნაში სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიგი წერეთელმა სპიკერის ჩაქუჩით ლამის მაგიდა დაამტვრია, მაგრამ ამით ბევრი არაფერი შეცვლილა. მეტიც: საერთო კაკაფონია უფრო მრავალხმოვანი გახდა.

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, სავარაუდოდ, დღეს ისევ მიუბრუნდება ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ 12 სექტემბერს მიღებულ საიდუმლო დოკუმენტს. პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე, ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" მოთხოვნით, დღის წესრიგში შევიდა დადგენილების პროექტი "საქართველოს პარლამენტის წევრთა შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ".

ფრაქციის თავმჯდომარის გიორგი ბარამიძის თქმით, **"რაც აღმასრულებელ ხელისუფლებას მალულად უნდა გაეკეთებინა, სჯობს, ღიად და საჯაროდ გაკეთდეს".**

დადგენილების პროექტის მიხედვით, გენერალურმა პროკურატურამ ამ თვის ბოლომდე პარლამენტში უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია იმ დეპუტატების შესახებ, რომლებზეც საგამოძიებო ორგანოებს აქვთ მტკიცებულებები, რომ ისინი წარსულში (ან ამჟამად) დანაშაულებრივ ქმედებებს ახორციელებდნენ. პარლამენტი აპირებს, იქით მოსთხოვოს პასუხი სამართალდამცავებს - მათ უნდა ახსნან, თუ რატომ არ იღებდნენ აქამდე ადეკვატურ ზომებს კანონდამრღვევი პარლამენტარების მიმართ.

"გაერთიანებული დემოკრატების" საკანონმდებლო ინიციატივას გუშინ ბიუროს ყველა წევრმა დაუჭირა მხარი. თუმცა, ფრიად საეჭვოა, რომ პლენარულ სხდომაზე საკითხი უმტკივნეულოდ გადაწყდეს. აუცილებლად გამოჩნდებიან ცალკეული დეპუტატები ან დეპუტატთა ჯგუფები, რომლებიც შეეცდებიან, მათი მაკომპრომეტირებელი მასალები ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ გახდეს.

■ ■ ■

პარლამენტარი ლევან პირველი დამოუკიდებელი დეპუტატების რიგებიდან "მრეწველთა" ფრაქციაში გადავიდა. ამის შესახებ მან გუშინ ოფიციალურად აცნობა პარლამენტის ბიუროს სხდომის მონაწილეებს.

სკანდალურ ისტორიებში არაერთხელ გახვეულმა დეპუტატმა კოლეგებს ერთი საინტერესო ინფორმაციაც მიაწოდა. ლევან პირველის თქმით, გენერალურმა პროკურატურამ შეადგინა დასკვნა, რომლის თანახმადაც ამ გახმაურებულ ამბებში ის უდანაშაულოდ არის ცნობილი და ეს დოკუმენტი შესაბამის საპარლამენტო სტრუქტურასაც გადაუგზავნა, მაგრამ როსტომ დოლიძის საპროცედურო საკითხთა კომიტეტი მისი გამომზეურებისგან დღემდე თავს იკავებს.

ლევან პირველი გენერალური პროკურატურის დასკვნის დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას ითხოვს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, "მრეწველთა" ფრაქციას, მისი შესვლის გამო, შესაძლოა, ჩირქი მოეცხოს.

■ ■ ■

სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს: კანონპროექტი "საქართველოს კონსტიტუციაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ", რომელიც ქვეყნის ძირითად კანონში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის დაფიქსირებას შეეხება, 8-11 ოქტომბრის პარლამენტის პლენარული სხდომების დღის წესრიგში შეტანილია ... ბოლო, 38-ე საკითხად!

აფხაზეთის საკითხისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ პარლამენტის ბიუროს სხდომის მონაწილეთა აღშფოთება გამოიწვია. ისინი ითხოვდნენ, კანონპროექტი ან საერთოდ მოხსნილიყო მიმდინარე კვირის დღის წესრიგიდან და ამ მტკივნეულ თემას მოგვიანებით მიბრუნებოდნენ, ან "წინა რიგებში", "გამოსაჩენ ადგილზე" ჩამჯდარიყო.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ, თითქოს, მეორე მოსაზრებამ გაიმარჯვა, მაგრამ ბოლო მომენტში კიდევ ერთხელ წარმოჩინდა საკანონმდებლო ორგანოს "ღირსება": მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტი, თებერვლიდან მოყოლებული, მუდმივად ფიგურირებს პარლამენტის პლენარული სხდომების დღის წესრიგში, გუშინდელი ბიუროს სხდომაზე გამოირკვა, რომ მის შესახებ იურიდიული კომიტეტის დასკვნა ... არ არსებობს!

აღნიშნული კომიტეტის ამჟამინდელი ხელმძღვანელი გოჩა პაიჭაძე ამ ფაქტს "საკითხის სირთულით" ხსნის და დასძენს, რომ აფხაზეთის სტატუსის თაობაზე მისი კომიტეტის წევრები საერთო აზრამდე ვერ მივიდნენ, რის გამოც დასკვნა აღარ დაიწერა.

„ეი-ი-ეს თელასისა" და საბითუმო ბაზრის მოლაპარაკებები გრძელდება

დღეს "ეი-ი-ეს თელასი" და საბითუმო ბაზარი ვალების გადახდის ფორმაზე შეთანხმდებიან. გუშინ კი მხარეებმა კიდევ ერთხელ გადახედეს საკუთარ მოთხოვნებს. საქმე ეხება "ეი-ი-ეს თელასის" დავალიანებას, რომელიც 26 მილიონ ლარს შეადგენს. "ეი-ი-ეს თელასი" თანახმაა ვალის გადახდაზე, მაგრამ სანაცვლოდ იგი საბითუმო ბაზრისგან მითხოვს, რომ გადახდილი ვალი ბაზარმა ექვსი თვით "გაყინოს". "თელასში" ამ მოთხოვნას იმით ხსნიან, რომ საბითუმო ბაზარმა ეს თანხა "ეი-ი-ეს მტკვრის" ვალების ჩასათვლელად არ გამოიყენოს.

სოფიკო ოხანაშვილი

მოლაპარაკებებში ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიაც (სემეკი) მონაწილეობს. მან "ეი-ი-ეს თელასსა" და საბითუმო ბაზარს შეთანხმების მისაღწევად შესთავაზა ვალების გადახდის სამი ვარიანტი: პირველი ვარიანტი გულისხმობს ერთმანეთისთვის ვალების ჩათვლას; მეორე ვარიანტის მიხედვით, მხარეებმა ვალები ნაღდი ანგარიშსწორებით უნდა გაისტუმრონ და მესამე ვარიანტის თანახმად, ვალების გადახდა კომბინირებული მეთოდით უნდა განხორციელდეს – ვალის ნაწილს მხარეები გადაიხდიან ნაღდი ანგარიშსწორებით, ნაწილი კი გაიქვითება.

სემეკის ხელმძღვანელის ელიზბარ ერისთავის თქმით, მთავარია შედარების აქტის ხელმოწერა. რაც შეეხება ვალების გასტუმრების ვადებს, **"ეს საკითხი ნებისმიერ შემთხვევაში გაზაფხულისთვის უნდა მოგვარდეს"**.

საბითუმო ბაზრის პრესსამსახურის ინფორმაციით, სემეკის მიერ შეთავაზებული წინადადებებიდან ორივე მხარისთვის ყველაზე მისაღები მესამე ვარიანტია. თუმცა, ასევე აღნიშნავენ, რომ დათმობაზე წასვლას არ აპირებენ. **"თანხის გაყინვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია"**, - "ეი-ი-ეს თელასის" ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს საბითუმო ბაზრის პრესსამსახურში.

საბითუმო ბაზრისა და "ეი-ი-ეს თელასის" ხელმძღვანელობისგან განსხვავებით, რომლებმაც არ იციან, მოლაპარაკებები რა შედეგით დასრულდება, სათბობ-ენერგეტიკის დღევანდელ მოლაპარაკებებს მინისტრი ოპტიმისტურად უყურებს და დარწმუნებულია, რომ მხარეები აუცილებლად შეთანხმდებიან. **"მჯერა, რომ დღეს ან ხვალ საბითუმო ბაზარი და "ეი-ი-ეს თელასი" შეთანხმებას მიაღწევენ და ხელს მოაწერენ შედარების აქტს. ეს ასეც უნდა მოხდეს, რადგან საქართველოს ენერგოსისტემა ვერ იარსებებს მათი თანამშრომლობის გარეშე"**, - აცხადებს დავით მირცხულავა; თუმცა, იგი არ გამორიცხავს მოვლენების სხვაგვარად წარმართვის შესაძლებლობასაც.

მოკლედ

რუსთავი. რუსთავი ელექტროენერგიის გათიშვას გადაურჩა. როგორც "კავკას-პრესს" საბითუმო ბაზრის პრესცენტრში განუცხადეს, რუსთავის "რელასმა" დავალიანების ნაწილი დაფარა.

შეგახსენებთ, რომ საბითუმო ბაზრის დირექტორი ალბერტო სოლისი რუსთავის ენერგოგამანაწილებელ კომპანია "რელასს" ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტით ემუქრებოდა და აცხადებდა, რომ "რელასმა" დაარღვია სამმხრივი მემორანდუმის პირობები. ელექტროგამანაწილებელ კომპანიას საბითუმო ბაზრის მიმართ მიმდინარე წლის 187 ათასი ლარის, ხოლო ძველი დავალიანებიდან 9 მილიონი ლარი დაუგროვდა. ამასთან დაკავშირებით სოლისმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ, დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, რუსთავისათვის ელექტროენერგიის მიწოდება შეენყვიტა.

პრესცენტრის ინფორმაციით, "რელასმა" დღეს დავალიანების ნაწილი - 35 ათასი ლარი გადაიხადა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. საქართველო და რუსეთი ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ რუსეთსა და სომხეთს შორის, აფხაზეთის გავლით, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე. ამის შესახებ განაცხადა რუსეთის მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრმა ილია კლებანოვმა, დღეს "რუსეთის სომეხთა კავშირის" მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსვლისას.

კლებანოვის თქმით, ამგვარი მოლაპარაკებები რუსეთის და საქართველოს წარმომადგენელთა შორის წელიწადში 4-5-ჯერ ტარდება. როგორც კლებანოვმა აღნიშნა, საკითხის მოგვარება დამოკიდებულია საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე, რუსეთი, თავის მხრივ, მიმოსვლის აღდგენისათვის მზადაა. ეს კი, მინისტრის თქმით, სომხეთის ბლოკადის დასრულების მაუწყებელი იქნებოდა.

კლებანოვის ცნობით, ქართული მხარის თხოვნით, რუსმა ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს აფხაზეთის რკინიგზა. მათი დასკვნით, რკინიგზა ნებისმიერ მომენტში მზადაა, მუშაობას შეუდგეს. ილია კლებანოვის განცხადებით, მისმა ბოლო შეხვედრამ საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან დაადასტურა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით თბილისსა და მოსკოვს შორის დიალოგი სავსებით შესაძლებელია. "ვიმედოვნებ, რომ საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების გუშინდელი შეხვედრა ამ საკითხს ახალ იმპულსს შესძენს," - აღნიშნა კლებანოვმა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში წყლის საფასურს მოსახლეობის მხოლოდ 44 პროცენტი იხდის.

ასეთია "თბილწყალკანალის" საინფორმაციო ცენტრის მიერ დედაქალაქში ჩატარებული გამოკითხვის შედეგი.

როგორც "ინტერ-პრესს" «თბილწყალკანალში" განუცხადეს, გამოკითხულთა 43 პროცენტი წყლის საფასურს იმ მოტივით არ იხდის, რომ წყალს არარეგულარულად იღებს. რესპოდენტთა 41 პროცენტი წყლის საფასურის გადახდისას შესაბამის ქვითარს არ იღებს, რაც იმის საფუძველი ხდება, რომ გადახდილი თანხა ხშირ შემთხვევაში «თბილწყალკანალამდე" ვერ აღწევს. გამოკითხულთა 49 პროცენტი წყლის საფასურის ყოველთვიურად გადახდის მომხრეა, რასაც რესპოდენტთა 24 პროცენტი ეწინააღმდეგება და მიიჩნევს, რომ საფასურს კვარტალში ერთხელ უნდა იხდიდეს.

აღნიშნული გამოკითხვა "თბილწყალკანალმა" 26 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე ჩაატარა. საინფორმაციო ცენტრმა 860 ადამიანი «თბილწყალკანალის" მიერ მოსახლეობიდან წყლის საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებლის მიზეზების გასარკვევად გამოკითხა. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს რკინიგზის" მიერ სააქციო საზოგადოება "აზოტისთვის" ვაგონების მიუწოდებლობის გამო, საწარმოში ძირითადი წარმოება გაჩერებულია. ამის შესახებ "ინტერ-პრესს" საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცნობეს.

სამსახურის ინფორმაციით, თვის დასაწყისიდან საწარმოში 83 ათასი ლარის პროდუქციაა წარმოებული. რაც შეეხება ასორტიმენტს, მას, ძირითადად, ციანმარილები, თხევადი ჟანგბადი და კოსმეტიკური ფანქრები შეადგენს. **"ინტერ-პრესი"**

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 1 - 8 ოქტომბრის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები		UK£	US$	€uro	¥en
	UK£		0.6397	0.626	0.0052
	US$	1.563		0.9784	0.0081
	€uro	1.5975	1.022		0.0082
	¥en	194.07	124.18	121.5	

2002 წლის 8 ოქტომბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

ევრო	1	2.1267	ლარი
დიდი ბრიტანეთის ბირვანქა სტერლინგი	1	3.3876	ლარი
შვეიცარიული ფრანკი	1	1.4501	ლარი
აშშ დოლარი	1	2.1750	ლარი
თურქული ლირა	1 000 000	1.3150	ლარი
იაპონური იენი	10	0.1778	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0688	ლარი
აზერბაიჯანული მანათი	1 000	0.4441	ლარი
სომხური დრამი	100	0.3749	ლარი
უკრაინული გრივნა	10	4.0817	ლარი

ქონების მართვის სამინისტრომ „ფოთის გემთსაშენის" გაყიდვაში მთავარი დამნაშავე ივოვა

კვლავ უცნობი რჩება "ფოთის გემთსაშენის" აქციათა 47-პროცენტიანი პაკეტის მფლობელის ვინაობა, რომელმაც იგი გასულ კვირას თბილისის საფონდო ბირჟაზე შეიძინა. სამაგიეროდ, თავად შეძენის ფაქტმა სამთავრობო წრეებში დიდი ხმაური გამოიწვია და არაერთ ვერსიას დაუდო სათავე. ყველაზე გავრცელებული ვერსიის მიხედვით, აქციები იმ ფინანსურმა ჯგუფმა შეიძინა, რომელიც დღეს ჯერ კიდევ "გემთსაშენის" ინვესტორად ითვლება. ასევე, კვლავ გაუცემელი რჩება პასუხი კითხვაზე, ჰქონდა თუ არა "გემთსაშენის" ინვესტორს - "დარლინგუორდ ლიმიტედს" ბირჟაზე აქციების გაყიდვის უფლება. ქონების მართვის სამინისტროში ცალსახად უარყოფითი პასუხი აქვთ. ეს უწყება "დარლინგუორთს" საინვესტიციო პროგრამის შეუსრულებლობაში სდებს ბრალს და მისთვის ქონების ჩამორთმევას სასამართლოს მეშვეობით აპირებს. პარალელურად, "ფოთის გემთსაშენის" პრივატიზების კანონიერების საქმეს გენერალური პროკურატურაც სწავლობს.

"ჰიუნდაის" გენერალური მენეჯერი უარყოფს მისი კომპანიის კავშირს "ფოთის გემთსაშენთან".

გიორგი კალანდაძე

ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ჯიბუტი "გემთსაშენის" აქციების გაყიდვის საქმეში დამნაშავეებად არც საფონდო ბირჟას მიიჩნევს და არც ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, რომელსაც "გემთსაშენის" აქციების რეესტრის წარმოება ევალებოდა. **"რეგისტრატორმა, "დარლინგუორდთან" დაკავშირებით, საკუთრების ცნობა ქონების მართვის სამინისტროდან ჯერ კიდევ 2001 წელს მიიღო. ვაჭრობისას დაცული იყო ყველა მოთხოვნა, რომელსაც საბირჟო ვაჭრობა ითვალისწინებს. მათ შორის, საჯაროობის მოთხოვნაც, რადგან "გემთსაშენის" აქციების ვაჭრობის შესახებ სწორედ ბირჟის მეშვეობით გახდა ცნობილი,"** – განაცხადა მიხეილ ჯიბუტმა.



HYUNDAI HEAVY INDUSTRIES CO., LTD. 現代重工業(株)

August 27, 2002

Mr. Vladimer Ugulava
Director
Anti-Corruption Bureau of Georgia
6, Orbeliani street
380014, Tbilisi, Georgia

Dear Mr. Ugulava,

The followings are the official responses on your letter dated in August 16, 2002.

1. Hyundai Heavy Industries Co, Ltd. is neither a founder of " Darlingworth Limited " nor an owner of Share Certificate Number 2 which was sent by you.

2. Our company, Hyundai Heavy Industries Co , Ltd, is not aware of any investment or technological projects in Poti Shipbuilding.

3. Under the Commercial Law of Korea, HHI is registered as "Hyundai Heavy Industries Co., Ltd " not as "Hyundai Heavy Industry". Therefore, the title of the company written in Share Certificate Number 2 does not represent our company at all.

Very truly yours,

J. B. Moon
General Manager
Finance Department

კომისიის თავმჯდომარის თქმით, როგორც ბირჟა, ასევე რეგისტრატორი მოქმედებენ ემიტენტის, ანუ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გამომტანი საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციით. **"თუ ემიტენტმა შეცდომაში შეიყვანა რეგისტრატორი, შემდეგ საფონდო ბირჟა და ინვესტორი, რომელსაც სხვისი აქციები შეასყიდა, ეს გარემოება დაექვემდებარება სამართლებრივ შეფასებას. გარდა ერთი შემთხვევისა, თუ რაიმე სიყალბე ჩაიდინა რეგისტრატორმა ან ბირჟამ,"** – აღნიშნა ჯიბუტმა და დასძინა, რომ, "გემთსაშენის" შემთხვევაში, ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

როგორც უკვე ითქვა, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა ქონების მართვის სამინისტროდან მიიღო "დარლინგუორდ ლიმიტედისთვის" ფოთის საწარმოს აქციების 99,39 პროცენტის ფლობის უფლების დამადასტურებელი ცნობა. თუმცა, როგორც სამინისტროს სახელშეკრულებო ანალიზისა და კონტროლის დეპარტამენტის თავმჯდომარე თემურ გოდერძიშვილი აცხადებს, 1998 წელს ქონების მართვის უწყებასა და "დარლინგუორდს" შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში მკაფიოდ ეწერა, რომ ეს უკანასკნელი "გემთსაშენის" მესაკუთრე მხოლოდ საინვესტიციო პირობების შესრულების შემდეგ გახდებოდა. ხელშეკრულების ვადა 2001 წლის ექვს აგვისტოს ამოიწურა. 2002 წლის მაისში კი ქონების მართვის სამინისტრომ "დარლინგუორდს," საინვესტიციო პირობების დარღვევისთვის, ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნით, სასამართლოში უჩივლა. დღეს საქმეს ქუთაისის საოლქო სასამართლო იხილავს.

"ხელშეკრულების მიხედვით, "დარლინგუორდს" არა აქვს უფლება, საწარმოს ქონება გაასხვისოს, იჯარით გასცეს და ა.შ. სანამ საინვესტიციო პირობებს არ შეასრულებს, მანამდე კომპანია საკუთრების უფლებას ვერ მიიღებს," – აღნიშნავს თემურ გოდერძიშვილი. იგი "გემთსაშენის" აქციების გაყიდვაზე პასუხისმგებლობას რეგისტრატორს აკისრებს.

"საქართველოს საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ" დებულების მიხედვით, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დროებით შეჩერებისა და ვაჭრობიდან მოხსნის პროცედურის საფუძველი შეიძლება იყოს ემიტენტის რეორგანიზაცია, გაკოტრება, ლიკვიდაცია ან მის მიერ საზოგადოების ან კომპანიების შეცდომაში შეყვანა ყალბი ინფორმაციის ჩვენებით.

უნდა ეცნობებინა თუ არა ქონების მართვის სამინისტროს, თუნდაც თბილისის საფონდო ბირჟისთვის, რომ მას შეეჩერებინა "გემთსაშენის" აქციების გაყიდვის პროცესი? **"რატომ უნდა გვეცნობებინა საფონდო ბირჟისთვის, რომ ჩვენ "დარლინგუორდის" წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ? როდესაც სარჩელი 29 მაისს სასამართლოში აღვძარით, ამის თაობაზე ვაცნობეთ ანტიკორუფციულ ბიუროს, პარლამენტის ანტიკორუფციულ კომისიას. ბუნებრივია, ეს მეორე მხარემ, "დარლინგუორდმაც" იცოდა,"** – აცხადებს თემურ გოდერძიშვილი.

ანტიკორუფციულმა ბიურომ "ფოთის გემთსაშენის" საქმე, დაახლოებით, ერთი თვის წინ გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა. პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი ზაზა ქაჩიბაია აცხადებს, რომ საქმე აღიძრა "გემთსაშენის" უკანონო პრივატიზების ფაქტზე. **"თუ წილის გასხვისება უკანონოდ მოხდა, ეს უნდა შეისწავლოს ქონების მართვის სამინისტრომ და, დარღვევის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირება მოახდინოს,"** – აღნიშნა ქაჩიბაიამ.

თავის დროზე, საქართველოს ქონების მართვის სამინისტროსთან არსებულმა სატენდერო კომისიამ, რომელიც "ფოთის გემთსაშენის" პრივატიზების საკითხს განიხილავდა, გადაწყვეტილება "დარლინგუორდის" სასარგებლოდ იმის გათვალისწინებითაც მიიღო, რომ, კომისიაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, "დარლინგუორდი" სამხრეთკორეული გიგანტის - "ჰიუნდაის" შვილობილი კომპანია იყო. გენერალურ პროკურატურას გააჩნია "ჰიუნდაის" გენერალური მენეჯერის წერილი, რომელშიც იგი კატეგორიულად გამორიცხავს კორეული მანქანათმშენებლობის კომპანიის რაიმე სახით მონაწილეობას "ფოთის გემთსაშენის" პროექტში და "ნათესაურ" კავშირებს "დარლინგუორდ ლიმიტედთან."

„იტერა-ჯორჯიას" შექმნის ეპოპეა ლოგიკურად დასრულდა

პირველი გვერდიდან

რატომ არ შედგა მოლაპარაკება

შეგახსენებთ, რომ "თბილგაზის" ყიდვის სურვილი პირველ ეტაპზე მხოლოდ რუსულმა "იტერამ" და "თელასის" მფლობელმა "ეი-ი-ესმა" გამოთქვეს. ორივე მათგანს ხელისუფლებამ უარი ერთი და იმავე მოტივით განუცხადა – მათთვის ქალაქის გაზგამანაწილებელი ქსელის გადაცემა სასიცოცხლო მნიშვნელობის სექტორის მონოპოლისტის ხელში აღმოჩენის საშიშროებას ქმნიდა. მაშინ "იტერა" საქართველოს ხელისუფლებას, "თბილგაზის" 75 პროცენტის გამოსასყიდად, მილიონნახევარ დოლარს სთავაზობდა და სოლიდური ოდენობის ქართული ვალების გადახედვისთვისაც მზად იყო.

მოგვიანებით, როცა "თბილგაზის" მიმართ ებრაული "ტაჰალის" ინტერესები დაფიქსირდა, "იტერამ" ბერკეტები აამოქმედა, დროებით მივიწყებული დავალიანება გაიხსენა და გაზის ვალები (90 მილიონ დოლარამდე) იმ საფრთხობელად აქცია, რომლის გამოც თბილისის გაზმომარაგების სისტემა უცხოელ ინვესტორთათვის არამიმზიდველი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ "იტერას" ინტერესები რეგიონის გაზგამანაწილებელი კომპანიისადმი ღიად გამოჩნდა, ხელისუფლებამ "იტერასთვის" ერთობლივ საწარმოში საკონტროლო პაკეტისა და მენეჯმენტის დათმობა მაინც უპირობოდ გადაწყვიტა. მაშინ "იტერამ" ვალების რესტრუქტურიზაციაზე დაწყებული საუბარი თაროზე შემოდო: რაც მეტია ვალი, მით მეტია აქტივი. სამაგიეროდ, "იტერას" პრეზიდენტმა იგორ მაკაროვმა საქართველოს ერთობლივი გაზგამანაწილებელი საწარმოს შექმნა და სააქციო საზოგადოება "აზოტის" პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემა მოსთხოვა, რის სანაცვლოდაც ის საქართველოს მთავრობას 20 მილიონი დოლარის ოდენობის დავალიანებას გაუქვითავდა. "იტერასგან" წამოსული წინადადება, ერთობლივი კომპანიის შექმნის შესახებ, ხმაურით აიტაცეს საქართველოს სამთავრობო წრეებში. მათ "იტერასგან" შემოთავაზებული სქემით თანამშრომლობა ლამის საქართველოს მოახლოებული ცივი ზამთრისგან გადარჩენის ერთადერთ გზად მიიჩნიეს. ისინი საჯარო გამოსვლებში მკაცრად აკრიტიკებდნენ ამ იდეის ნებისმიერ მოწინააღმდეგეს. დღეს კი სამთავრობო წრეები 180 გრადუსით შემოტრიალდნენ და დაიწყეს იმის მტკიცება, რომ "იტერასთან" ერთობლივი კომპანიის შექმნის თაობაზე მოლაპარაკების ჩაშლა კანონზომიერი მოვლენაა და თავის გასამართლებად იმ აჟიოტაჟს ასახელებენ, რომელიც "იტერას" სახელის ხსენებისთანავე ატყდა.

"იტერასთან" წარმოებული მოლაპარაკებების პარალელურად, პოლიტიკური და არასამთავრობო ჯგუფები ამ კომპანიის იმიჯის კვლევას შეუდგნენ. გაირკვა, რომ ამერიკულ კომპანიად რეგისტრირებული "იტერას" შიდა ურთიერთობები მსოფლიოს უდიდეს გაზის მაგნატ "გაზპრომთან," რუსული პრესისთვის სერიოზული განსჯის საგანი იყო. "იტერას" მიმართ გადაჭარბებულ "ჯენტლმენურ ჟესტებში" აღმოჩნდა შემჩნეული თავად "გაზპრომიც": მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის ბაზარზე შესასვლელი კვოტის მიღება რუსეთის მსხვილ ნავთობკომპანიებს, მათ შორის, "ლუკოილსა" და "იუკოსსაც," სურდათ, "გაზპრომისგან" პოლონეთისთვის გაზის მიწოდების უფლება მხოლოდ "იტერამ" მიიღო.

რუსეთში "იტერამ" დღემდე ვერ მოიშორა "გაზპრომის" ფულის სათეთრებელი მანქანის იმიჯი. ამის გამო "იტერას" გენერალური დირექტორი იგორ მაკაროვი აშშ-ს კონგრესმენებს ხვდება და საკუთარი აქციონერების სიის გამოქვეყნების პირობას დებს – მაკაროვი "იტერას" ამერიკული წარმომავლობის ხაზგასმას და რუსული "იმიჯის" ჩამოშორებას აქტიურად ცდილობს.

, სწორედ"იტერას" გაურკვეველი წარმომავლობა იქცა პოლიტიკოსთა წინააღმდეგობის მთავარ მოტივად. **"იტერას" სახით, საქართველოს ხელისუფლებას საქმე ექნება რუსულ სპეცსამსახურებთან დაკავშირებულ ორგანიზაციასთან, რომელიც მოქმედებს მათი მითითებებით და არა კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე. ამის გამო, ის რუსეთის ხელში საქართველოზე ზემოქმედებისთვის სერიოზულ სახელისუფლებო ბერკეტად იქცევა,"** – აცხადებდა პარლამენტარი გიორგი ბარამიძე.

თავისთავად, ეს მიზეზები უკვე საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ "იტერასთან" ურთიერთობას მთავრობაში დიდი სიფრთხილით მოჰკიდებოდნენ. თუმცა, როცა საქმე ერთობლივი საწარმოს ჩამოყალიბების კონკრეტულ დეტალებზე მიდგა, პრობლემებმა მხოლოდ მაშინ იჩინა თავი. გაირკვა, რომ "იტერა" თბილისის გაზის მეურნეობაში ინვესტიციის განხორციელებას არ აპირებდა – მას, საქართველოს მთავრობასთან ერთად, კრედიტის მოზიდვა ჰქონდა განზრახული. გარდა ამისა, "იტერამ" ქართულ მხარეს საგადასახადო შეღავათები და ერთობლივი საწარმოს სუბსიდირება მოსთხოვა. **"ჩვენი მხარე ფინანსურად არც ისე სახარბიელო მდგომარეობაშია, რომ "იტერა-ჯორჯიაში" რაიმე ინვესტიციები განახორციელოს,** – აცხადებს დღეს გიორგი ისაკაძე, **- ჩვენ ვერც იმაზე ვერ შევთანხმდით, თუ ვინ იყო ინვესტიციის განმახორციელებელი მხარე - ჩვენ, "იტერა" თუ ერთობლივი საწარმო."**

თუმცა, "იტერა-ჯორჯიას" საკითხის ჩაშლა "იტერასთან" ურთიერთობის დასრულებას არ ნიშნავს. უკვე გადაწყვეტილია, რომ "იტერას" პირდაპირი მიყიდვის წესით უნდა გადაეცეს "აზოტი". გარდა ამისა, უნდა მოხდეს ვალების რესტრუქტურიზაცია (ანუ უნდა დამუშავდეს "იტერასთვის" ვალების დაბრუნების შვიდწლიანი გეგმა).

"იტერა" საქართველოს გაზგამანაწილებელი სისტემის მიმართ ინტერესს კვლავაც არ კარგავს. ამას ისიც ადასტურებს, რომ დღის წესრიგში კომპანიასთან ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება დადგა.

რა ელის "თბილგაზს" ანუ, რა გველის ზამთარში

"ჩვენ ახლა ცენტრალურ ბიუჯეტში გაზის მეურნეობის სარემონტო სამუშაოებისთვის გარკვეული თანხა ჩავდეთ. საკმაოდ სერიოზულ თანხებს მოიზიდავს თბილისის მერიაც. "თბილგაზი" დარჩება ზუსტად იმავე მდგომარეობაში, რაშიც ადრე იყო. ანუ, ის დარჩება ასპროცენტიან სახელმწიფო კომპანიად. უახლოეს მომავალში კი "თბილგაზი" მენეჯმენტისთვის გადაეცემა სხვა სახელმწიფო სტრუქტურას, კერძოდ, ერთ-ერთ სამინისტროს. ის კვლავ საპრივატიზაციო ობიექტად დარჩება იმ ნორმალური კომპანიისთვის, რომელიც მზად იქნება, სოლიდური თანხებით შემოვიდეს მენეჯმენტში, მოახდინოს ტექნიკური გადაიარაღება, გამრიცხველიანება. იმისთვის კი, რომ "თბილგაზი" საინვესტიციოდ უფრო მიმზიდველი გახდეს, მუშაობა გაგრძელდება," – აცხადებს გიორგი ისაკაძე.

სავარაუდოდ, წლევანდელი ზამთარიც ზუსტად ისეთივე პრობლემატური იქნება, როგორიც წინა ზამთრები იყო. ხელისუფლებას კვლავ მოუწევს თანხების მოძიება "თბილგაზისთვის" აირის შესაძენად. ბუნებრივია, ეს ხელს შეუშლის სისტემაში ჩასატარებელ აუცილებელ სარემონტო სამუშაოებს. არ მოხერხდება აღრიცხვიანობის მოწესრიგებაც. ამის გამო, "თბილგაზის" დანაკარგები კვლავ ასტრონომიულ მაჩვენებლებზე დარჩება, მაღალი იქნება უკონტროლო თანხების მოძრაობის დონეც. ცხადია, ამის გამო გაზმომარაგების პრობლემები კვლავ აქტიურად იჩენს თავს. "თბილგაზი" იძულებული გახდება, "არგადამხდელ მომხმარებელთა" ლოკალური გამორთვები მოახდინოს. სავარაუდოა, რომ აღნიშნული გამორთვები "იტერასთვის" ფულის გადარიცხვის წინა დღეებში იმატებს, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ "იტერასთან" მოლაპარაკება არ შედგა, 2005 წლამდე, ანუ შაჰდენიზის ამოქმედებამდე ეს კომპანია კვლავ გაზის იმ უალტერნატივო მომწოდებლად დარჩება, რომლის ხელშიც მნიშვნელოვანი სოციალური ბერკეტები იყრის თავს.

კიშინიოვის შეთანხმება - წუთშესვენება მორიგი რაუნდის წინ

პირველი გვერდიდან

ფაქტია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში მოსკოვსა და თბილისს შორის ორთაბრძოლა მიმდინარეობს, რომელშიც რუსეთს შემტევი პოზიცია უკავია, საქართველო, უფრო ზუსტად კი - მისი პრეზიდენტი და მთავრობა, თავს იცავს.

სექტემბერში რუსეთის საქართველოზე ზეწოლამ, ერთი შეხედვით, კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, რასაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა გარდატეხა ან რუსეთის, ან საქართველოს სასარგებლოდ. დღეს დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი გარდატეხა არ მომხდარა და რუსეთ-საქართველოს შორის კიშინიოვში მიღწეული შეთანხმება მხოლოდ წუთშესვენებაა ორთაბრძოლის მომავალი რაუნდის წინ.

შევარდნაძე კიშინიოვში პუტინის შემოსარიგებლად ჩავიდა.

საქინფორმი

რაზე ისაუბრეს და რა შეთანხმებას მიაღწიეს ვლადიმირ პუტინმა და ედუარდ შევარდნაძემ კიშინიოვში? პირველი, რომ რუსეთ-საქართველოს ეროვნული ნაკრებების საფეხბურთო მატჩი თბილისში აუცილებლად გაიმართება; მეორე, საქართველოსა და რუსეთის სპეცსამსახურები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებლად ითანამშრომლებენ; მესამე, რუსეთისა და საქართველოს მესაზღვრეების ურთიერთქმედება საზღვრის ერთობლივი პატრულირების სახეს მიიღებს; და ბოლოს, საქართველო რუსეთს საზღვარზე დაკავებულ ჩეჩენ მებრძოლებს გადასცემს.

რაზე არ ისაუბრეს და რაზე არ შეთანხმებულან რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტები? მათ მიერ გაკეთებული განცხადებებიდან ჩანს, რომ სიტყვაც არ თქმულა არც აფხაზეთზე, არც სამხრეთ ოსეთზე, არც რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანაზე, არც რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე და არც პანკისის ხეობაში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილების სამშობლოში უსაფრთხოდ დაბრუნებაზე – ერთი სიტყვით, მთავარზე.

მაშ, რატომ უწოდა ედუარდ შევარდნაძემ კიშინიოვის შეხვედრას "ისტორიული"? ნუთუ, სისხლისგან დაცლილი რამდენიმე ჩეჩენი მებრძოლის რუსეთისათვის გადაცემა (და ამის შედეგად ჩეჩნებს შორის მოპოვებული კეთილი სახელის დაკარგვა) ისეთი დიდი მიღწევაა, რომ მას "ისტორიული" ვუწოდოთ?

პასუხის გაცემა ამ კითხვაზე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ჯერ კიდევ გუშინ ვცადეთ – შევარდნაძესაც და პუტინსაც ხელს აძლევდათ ამ შეთანხმების მნიშვნელობის გაზვიადება, რაც რუსეთისა და საქართველოს შიდა პოლიტიკურ სიტუაციაზე იყო გათვლილი. ორი ქვეყნის ურთიერთობებისათვის მნიშვნელოვანია არა იმდენად შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმებები, არამედ ამ შეთანხმებების ინტერპრეტაცია. მიღწეული "ზავის" პირობები, ჩეჩნების ექსტრადირების პირობის გარდა, მეტისმეტად ბუნდოვანია და განსხვავებული ინტერპრეტირების შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, საქართველოსა და რუსეთის სპეცსამსახურები ხომ ადრეც "თანამშრომლობდნენ," როგორც ზოგადად, ისე პანკისის ხეობაში (ამას თავად შევარდნაძის ამასწინანდელი განცხადებებიც მოწმობს); მესაზღვრეებს შორისაც საკმაო "ურთიერთქმედება" იყო (საზღვრის ერთობლივი პატრულირება კი შეიძლება განიმარტოს, როგორც თავ-თავიანთი მონაკვეთების დაცვა, რაც ისედაც ხორციელდება). ის კი არა, ყველაზე "მყარი" შეთანხმებაც - საფეხბურთო მატჩის გამართვის თაობაზე, იმდენად პრეზიდენტების კომპეტენცია არაა, რამდენადაც რუსეთისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციებისა და უეფა-ს პრეროგატივა.

იმის გამო, რომ კიშინიოვში მიღწეული ყველა შეთანხმება განსხვავებული ინტერპრეტაციის ფართო შესაძლებლობებს ქმნის, გასაგებია, თუ რატომ ნერვიულობდა პუტინი პრესკონფერენციის დროს, როცა შეთანხმებაზე საუბრობდა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან შეთანხმებების სათანადოდ შესრულების იმედი აქვს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ როდესაც შეთანხმებები კონკრეტიკას მოკლებულია, მათი შესრულებაც ინტერპრეტაციაზე ხდება დამოკიდებული. ინტერპრეტირების ხელოვნებას კი შევარდნაძე უნაკლოდ ფლობს, რაც არაერთხელ უჩვენებია.

არ იქნება ზედმეტი, თუ დსთ-ს წინა სამიტების დროს შევარდნაძე-პუტინის შეხვედრებზე მიღწეული "გარდამტეხი" შეთანხმებების ბედსაც გავიხსენებთ: 2001 წლის ნოემბერში, გელაევის აფხაზეთში შეჭრიდან ერთ თვეში, პუტინ-შევარდნაძის მოსკოვის შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტი ზუსტად დღევანდელივით საუბრობდა "რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში გარდატეხის დასაწყისის" თაობაზე. სულ რაღაც ოთხი თვის შემდეგ, 2002 წლის მარტში კი ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის უკვე ისე დაიძაბა, რომ თავად პუტინ-შევარდნაძის შეხვედრის ფაქტიც კი ლამის სენსაციად შეფასდა. მარტში, ალმა-ატის შეხვედრაზე, პუტინმა საქართველოს სუვერენიტეტის პატივისცემა და ამერიკელი ინსტრუქტორების საქართველოში ყოფნის ლეგიტიმურობა დაადასტურა, რაც ორი ქვეყნის ურთიერთობებში მორიგ "გარდატეხად" შეფასდა. ამ მორიგ "გარდატეხას" კი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების არნახული გამწვავება მოჰყვა – პანკისის დაბომბვებითა და ულტიმატუმებით.

წარსული გამოცდილება ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ კიშინიოვის შეთანხმების შემდგომი ორთაბრძოლის მორიგი რაუნდი გველოდება. შევარდნაძის მიერ აფხაზეთის ომის დასასრულს ნათქვამი "საქართველო აღარ დაიჩოქებს" კვლავ ძალაშია.

რაც შეეხება პუტინ-შევარდნაძის შეთანხმების ყველაზე ხელშესახებ მუხლს – ჩეჩენი მებრძოლების ექსტრადირებას – ის პუტინის პრესტიჟის შენარჩუნებაზე იყო გათვლილი. ეს მუხლი რომ არა, მთელი შეხვედრა ცარიელ რიტორიკად ჩაითვლებოდა. საქართველოს მხრიდან ეს იყო ერთადერთი ნამდვილი დათმობა, რომელზე წასვლაც შევარდნაძეს მოუხდა.

თუმცა, ჩეჩნების გადაცემა უმტკივნეულოდ არ ჩაივლის. ამ ნაბიჯმა, შეიძლება, გარკვეული პრობლემები შეუქმნას ხელისუფლებას – ჯერ ერთი, ექსტრადირების ფაქტი აუცილებლად გამოიწვევს პანკისის ქისტი მოსახლეობისა და ჩეჩენი ლტოლვილების გაღიზიანებას (მათთვის სულ ერთია, რა პოლიტიკური და სამართლებრივი ნორმებით ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობა ჩეჩნების მოსკოვისათვის გადაცემისას); მეორე, გაზრდის ჩეჩენი საველე მეთაურების, მათ შორის, რუსლან გელაევისა და ასლან მასხადოვის უკმაყოფილებას, რაც საქართველოს, შეიძლება, პანკისში სერიოზულ სამხედრო პრობლემად შემოუბრუნდეს; მესამე, შევარდნაძის პოლიტიკურ ოპოზიციას პრეზიდენტის კრიტიკის ახალ საფუძველს მისცემს; და ბოლოს, საქართველოს ხელისუფლებას ევროპის საბჭოს კრიტიკის ობიექტად აქცევს (მით უმეტეს, თუ დამტკიცდება, რომ ჩეჩნების გადაცემა სამართლებრივი ნორმების დარღვევით მოხდა).

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების კიშინიოვის შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის არსებული ჩიხური მდგომარეობა დაფიქსირდა. რუსეთი საქართველოს თავს აღარ დაესხმება, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. ამ ვითარებაში, საქართველოს ხელისუფლების მიერ დროის მოგება, შეიძლება, დადებითი მოვლენაც იყოს, მაგრამ "გარდატეხად" ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეფასდება. რუსეთ-საქართველოს დროებითი "დაზავების" პერიოდში საქართველოსთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს დასავლეთის, პირველ რიგში კი, შეერთებული შტატების მხარდაჭერა. ამ მხარდაჭერის მთავარი პირობად კი კვლავ სერიოზული რეფორმების წამოწყება რჩება, რაც მთლიანად საქართველოს მთავრობისა და პირადად პრეზიდენტის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. საკითხავია, გაუძლებს თუ არა შევარდნაძის ხელისუფლების არსებული, არარეფორმირებული სტრუქტურა რუსეთთან კონფრონტაციის კიდევ ერთ რაუნდს?

ისრაელის არმიის იერიშს 12 პალესტინელი ემსხვერპლა

ისრაელის არმიის ბოლო დაბომბვის მსხვერპლი.

REUTERS

"ჩვენ ვიცოდით, რომ ქალაქში "ჰამასის" ყველაზე შეურიგებელი მებრძოლები იმყოფებოდნენ. თუ ჩვენი ქმედების შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობა დაზარალდა, ვწუხვართ, მაგრამ, რას იზამ, ომი – ომია," – განაცხადა ისრაელის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ვაიცმან შირიმ ისრაელის არმიის მიერ ღაზას სექტორში განხორციელებული მორიგი რეიდის შემდეგ, რომელსაც 12 პალესტინელი შეეწირა.

"მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობისათვის შურს მხოლოდ მშვიდობიან მოსახლეობაზე ვიძიებთ", – განაცხადა "ჰამასის" ერთ-ერთმა ლიდერმა.

ამგვარმა ლოგიკამ მხარეები იქამდე მიიყვანა, რომ 2000 წლიდან დღემდე 1600-მდე პალესტინელი და 600-ზე მეტი ებრაელი დაიღუპა.

ორშაბათს დილით განხორციელებულმა შეტევამ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული კრიტიკა დაიმსახურა, რადგან იგი პალესტინაში ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორის - ხავიერ სოლანას ვიზიტს დაემთხვა. სოლანა ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო ინიციატივით იმყოფებოდა. ამან პალესტინურ მხარეს საშუალება მისცა, ემტკიცებინა, რომ ისრაელის არმიის მიერ განხორციელებული დარტყმები სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩაშლას ისახავდა მიზნად. ეს მოსაზრება, გარკვეულწილად, სოლანამაც გაიზიარა და განაცხადა, რომ "ამხელა მსხვერპლი იმ დროს, როდესაც პალესტინის ადმინისტრაცია მშვიდობის დასამყარებლად სერიოზულ ნაბიჯებს დგამდა, გაუმართლებელია".

ამერიკის ადმინისტრაციის მიერ გაკეთებულ განცხადებაში კი ნათქვამია, რომ ისრაელმა უნდა იზრუნოს უდანაშაულო მსხვერპლის თავიდან აცილებაზე, თუმცა, "მას აქვს თავდაცვის უფლება".

ორშაბათს დილით, ისრაელის 40-მდე ტანკი და შვეულმფრენი ღაზას სექტორში შეიჭრა, სადაც, მათი ინფორმაციით, პალესტინელი ტერორისტები იმყოფებოდნენ და იარაღის საამქროები იყო განლაგებული. როდესაც მათ უკვე გასვლა დაიწყეს, ადგილობრივმა მოსახლეობამ სამალავები დატოვა და ქუჩაში გამოვიდა. სწორედ ამ დროს ხალხის ჯგუფს ესროლა ისრაელის შვეულმფრენმა, რასაც 10 კაცის დაღუპვა მოჰყვა; კიდევ ორი, სხვა იერიშის დროს მოკლეს.

რა კავშირია ტატუირებასა და სიტყვის თავისუფლებას შორის?

ამერიკელი რონალდ უაიტი სამხრეთ კაროლინას მცხოვრებლებს ადგილობრივი ტელევიზიით ტატუირების ხელოვნებას უჩვენებდა, როდესაც იგი პოლიციამ დააკავა. აღმოჩნდა, რომ იგი არღვევდა შტატის 1966 წლის კანონს, რომელიც ტატუირებას კრძალავს. უაიტს 500 დოლარის ჯარიმა და 5 წლით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა მიესაჯა.

"დამნაშავე" აცხადებს, რომ ტატუირება 8000 წელია, არსებობს და დანაშაულად არსად არ ითვლება. თანაც, "სხეულის მოხატვა" ხელოვნების ისეთივე ფორმაა, როგორც ყველა სხვა. შეერთებული შტატების კონსტიტუცია კი იცავს ადამიანის მიერ თავისი აზრებისა და გრძნობების გამოხატვის თავისუფლებას, განსაკუთრებით, როცა ეს ხელოვნების ფორმით ხდება.

იმ საზოგადოებაში, რომლისთვისაც სპირტიანი სასმელების რეკლამა და პორნოგრაფია მიღებულია, ტატუირების აკრძალვა ნამდვილი სისულელეა, - აცხადებს უაიტის ადვოკატი კენ სტარი. სხვათა შორის, ეს ის სტარია, რომელმაც კლინტონისა და მონიკა ლევინსკის "რომანი" მთელ მსოფლიოს გააცნო. როგორც ჩანს, იმ სკანდალის შემდეგ, მისი კარიერა მაინცდამაინც კარგად ვეღარ წავიდა.

უსამა ბინ ლადენი კვლავ გამოჩნდა

კვირას ერთბაშად ორი წყაროდან გახდა ცნობილი, რომ უსამა ბინ ლადენი კვლავ ცოცხალია და შეერთებულ შტატებზე თავდასხმების სერიის გაგრძელებას აპირებს.

საუდის არაბეთის დაზვერვის ყოფილმა ხელმძღვანელმა ფეისალ ათ-თურქმა ლიბანური ტელეკომპანია "ალ მუსთაქბალისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი ღრმა რწმენით, **"უსამა ბინ ლადენი ცოცხალია და საჭირო დროს ელოდება, რათა გამოჩნდეს, როგორც არაერთხელ გაუკეთებია".**

მეორე არაბულმა ტელეკომპანიამ "ალ ჯაზირამ" კი გადასცა აუდიოჩანაწერი, რომელზე ჩაწერილი ხმაც ძალიან წააგავს "ნომერ პირველი ტერორისტის" ხმას. ჩანაწერის მიხედვით, უსამა ბინ ლადენის ხმით მოსაუბრე რესპოდენტი შეერთებულ შტატებს თავდასხმების განმეორებით ემუქრება. "ალ ჯაზირას" თქმით, ტელეკომპანიის წარმომადგენლებმა ეს ჩანაწერი ერთ-ერთ ოფისში აღმოაჩინეს, მაგრამ მისი მფლობელი არ დაუსახელებიათ. ტელეკომპანიამ ჩანაწერის გადაცემა იმიტომ გადაწყვიტა, რომ მასზე ჩაწერილი ხმა ბინ ლადენისას წააგავდა.

"მუსლიმი ახალგაზრდობა გპირდება შენ, ამერიკა, რომ გულს შიშით აგივსებს და მიზანში ეყოლება ამოღებული შენი ეკონომიკის გული მანამ, სანამ არ შეწყვეტ უსამართლობასა და აგრესიას," – ნათქვამია აუდიოჩანაწერში. ჰიპოთეტური ბინ ლადენი ამერიკის ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ ნებისმიერი შეტევა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ "ორმაგ შურისძიებას" გამოიწვევს. იგი აშშ-ს მთავრობას უცნობი "სიონისტების ბრბოს" უწოდებს.

ხანგრძლივი და უნაყოფო შეხვედრები

კვირას, დსთ-ს სამიტის წინა დღეს, პუტინ-შევარდნაძის შეხვედრის პარალელურად, კიშინიოვში "ძველი მეგობრების" კიდევ ერთი წყვილის შეხვედრა გაიმართა. ამგვარი შეხვედრები "პრეზიდენტების კლუბად" ქცეული დსთ-ს არსებობის, ალბათ, ერთადერთ გამართლებად შეიძლება ჩაითვალოს.

ბოთა უტიაშვილი

თავიანთი რუსი და ქართველი კოლეგებისაგან განსხვავებით, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებს მოლაპარაკებისას მიღწეული პროგრესის ჟურნალისტებთან აფიშირებით თავი არ შეუწუხებიათ. ალიევი და კოჩარიანი, დიდი ხანია, სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს ერთი-ერთზე, რამდენიმე საათი საუბრობენ და შეხვედრიდან გამოსულები აცხადებენ, რომ, მართალია, კონკრეტული შედეგების მიღწევა ვერ ხერხდება, მაგრამ დიალოგის გაგრძელება აუცილებელია. რამდენიმე თვის წინ სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე სპეციალურად დადგმულ კონტეინერში მათ ოთხი საათი ისაუბრეს, რა თქმა უნდა, უშედეგოდ. ასევე ხანგრძლივი და უნაყოფო იყო კიშინიოვის შეხვედრაც.

ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში, ორი პრეზიდენტის გარდა აშშ, რუსეთი და საფრანგეთიც მონაწილეობენ. ამ სამი ქვეყნის წარმომადგენლები არიან ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები. თუმცა, საერთაშორისო შუამავალთა მცდელობები ისეთივე "წარმატებით" სრულდება, როგორც თავად დაპირისპირებულ მხარეთა მოლაპარაკებები.

1994 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგ მთიან ყარაბაღს ადგილობრივი სომხები აკონტროლებენ, რომელთაც, აფხაზების არ იყოს, ჯერ ვერ გაურკვევიათ, დამოუკიდებლობა სურთ თუ მათ მფარველ მეზობელთან შეერთება. გარდა თავად ყარაბაღისა, მათ მიერ ოკუპირებულია აზერბაიჯანის ტერიტორიის კიდევ 15 პროცენტი. ამ მიწებს სომხები "უსაფრთხოების ზონად" მიიჩნევენ და მის გათავისუფლებაზე კონფლიქტის საბოლოო მოგვარებამდე უარს ამბობენ.

თავის მხრივ, აზერბაიჯანელები უარს აცხადებენ უშუალოდ ყარაბაღის ხელისუფლების მოლაპარაკების პროცესში ჩართვაზე და ამბობენ, რომ მათ მთლიანად ერევანი აკონტროლებს. ბევრი უფრო შორსაც მიდის და ამბობს, რომ ერევნის უკან მოსკოვი დგას, რომელიც თავის სტრატეგიულ პარტნიორს იარაღითა და დესტრუქციული იდეებით ამარაგებს.

დღემდე კონფლიქტის დარეგულირებისადმი ორი მიდგომაა შემუშავებული - "პაკეტური" და "ეტაპობრივი". "პაკეტური" სომხური მიდგომის კოდური სახელწოდებაა და ოკუპირებული ტერიტორიის გათავისუფლებას მხოლოდ ყარაბაღის სტატუსისა და უსაფრთხოების გარანტიების განსაზღვრის შემდეგ ითვალისწინებს. რაც შეეხება ყარაბაღის სტატუსს, ყველასათვის აშკარაა, რომ იგი, ფორმალურად, აზერბაიჯანის ან საერთო სახელმწიფოს შემადგენლობაშიც რომ დარჩეს, ფაქტობრივად, მაინც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იქნება.

აზერბაიჯანის მხარე "ეტაპობრივი" მიდგომის მომხრეა, რაც ჯერ ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლებას, აზერბაიჯანისა და თურქეთის მხრიდან სომხეთის ბლოკადის მოხსნას, ეკონომიკური კავშირების აღდგენას და, მხოლოდ შემდეგ, სტატუსისა და გარანტიების განსაზღვრას გულისხმობს.

1994 წლიდან მოყოლებული, მხარეები, შუამავალთა დახმარებით, უშედეგოდ ცდილობენ იმის გარკვევას, რომელი მიდგომა უნდა აირჩიონ.

კომპრომისზე წასვლის მცდელობები ორივე მხრიდან უშედეგოდ დამთავრდა. როდესაც სომხეთის პირველმა პრეზიდენტმა - ლევონ ტერ-პეტროსიანმა გადაწყვიტა, დათმობებზე წასულიყო, იგი, სასახლის გადატრიალების შედეგად, ხელისუფლებას ჩამოაშორეს. ზოგიერთი წყაროს ცნობით, 1999 წლის 27 ოქტომბერს სომხეთის პარლამენტში დატრიალებული ტრაგედიაც (სპიკერის, პრემიერ-მინისტრისა და რამდენიმე დეპუტატის მკვლელობა) ყარაბაღის ირგვლივ სავარაუდო კომპრომისს უკავშირდება.

გასულ წელს, კი-უესტის სამიტის წინ, როგორც ამბობენ, უკვე ალიევმა "ჩაიქნია ხელი" და დათმობებზე წასვლა გადაწყვიტა, თუმცა მალევე გადაიფიქრა.

ბოლო წლებში არსებობდა დარეგულირების კიდევ ერთი იდეა, რომელიც ერთ დროს საკმაოდ პოპულარული იყო, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, უკვე დავიწყებას ეძლევა: ე.წ. "პარიზის პრინციპები", რომელიც "დერეფნების გაცვლას" გულისხმობს. ამ იდეის თანახმად, აზერბაიჯანმა სომხეთს უნდა გადასცეს ლაჩინის კორიდორი (აკავშირებს სომხეთსა და ყარაბაღს) და, სამაგიეროდ, მეგრის ოლქი (აკავშირებს აზერბაიჯანსა და ნახჭევანს) მიიღოს.

დღეისათვის სამშვიდობო პროცესი ჩიხშია შესული და არც ერთი მხარე ამ ჩიხიდან გამოსავლის ძიებაზე არ ფიქრობს. სომხებს თავიანთი სამხედრო ძლიერებისა და რუსეთის მხარდაჭერის იმედი აქვთ და ფიქრობენ, რომ აზერბაიჯანი მათზე თავდასხმას ვერ გაბედავს.

თავის მხრივ, ბაქოში ფიქრობენ, რომ დრო მათზე მუშაობს და ნავთობის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი საშუალებას მისცემთ, ძლიერი არმია შექმნან და რეგიონალური წონასწორობა მათთვის სასარგებლოდ შეცვალონ.

სიახლე

ეს პატარა პლანერი "შეირაღებული ძალების დაცვის საჰაერო დაზვერვის თვითმფრინავია". მართალია, იგი სათამაშოს ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება შეუძლია. მისი მეშვეობით ხდება ავღანეთში განლაგებულ ამერიკულ ბაზებზე საჰაერო მეთვალყურეობა. ბრძოლის დროსაც, ამ თვითმფრინავზე დამონტაჟებული კამერები გადასცემენ შტაბს ინფორმაციას ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ. მინიატურული ზომის გამო მისი ჩამოგდება თითქმის შეუძლებელია. თანაც იგი მრავალჯერადი გამოყენებისაა.

REUTERS

მოკლედ

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბლენკეტმა განაცხადა, რომ მის ქვეყანას განზრახული აქვს, უფრო მკაცრად მოეპყრას უკანონო იმიგრანტებს, განსაკუთრებით, მათ, ვინც ქვეყანაში არა დევნისაგან თავის დასაღწევად, არამედ სამუშაოს საშოვნელად ჩადიან. მინისტრის განცხადებით, შესაბამისი ცვლილებები მალე შევა საიმიგრაციო კანონმდებლობაში. მისი თქმით, ამ ზომების გატარება აუცილებელია იმისათვის, რომ ულტრამემარჯვენეებმა და ნაციონალისტებმა, იმიგრაციის საწინააღმდეგო ტალღაზე, პოლიტიკური პოზიციების განმტკიცება ვერ შეძლონ. ამჟამად ინგლისში მილიონი უკანონო ემიგრანტია, რაც მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილების მიზეზს წარმოადგენს.

■ ■ ■

თეირანი. ირანი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც პრეზიდენტი, ამავე დროს, ოპოზიციის ლიდერიცაა. მთელი რეალური ძალაუფლება კონსერვატორი სასულიერო პირების ხელშია კონცენტრირებული. მათი წინააღმდეგობის გამო, პრეზიდენტი დაპირებული რეფორმების გატარებას ვერ ახერხებს. უკანასკნელ ხანს იგი რისკზე მიდის და მოლების ხარჯზე საკუთარი ძალაუფლების გაზრდას ცდილობს. მისი ინიციატივით, პარლამენტში შეიტანეს კანონპროექტი, რომელიც კონსერვატიულ "რევოლუციის მცველთა საბჭოს" გაუუქმებს უფლებას, ნებისმიერ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამოართვას ნებისმიერ კანდიდატს. მეორე კანონპროექტი პრეზიდენტს საშუალებას აძლევს, სასამართლო სისტემაში საკადრო ცვლილებები გაატაროს. მოელიან, რომ ორივე კანონპროექტი დიდი შეხლა-შემოხლის საბაბი გახდება.

■ ■ ■

მოსკოვი. არაბთა გაერთიანებული საემიროები აპირებს, ხელი მოაწეროს რუსეთთან 4 მილიარდ დოლარიან კონტრაქტს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებების შესყიდვის თაობაზე, - იუწყება გაზეთი "კომერსანტი". გაზეთის ცნობით, საუბარია არა უკვე არსებული სისტემის შესყიდვაზე, არამედ რუსი კონსტრუქტორების მიერ ახალი სისტემის შექმნის დაფინანსებაზე, რომელიც შემდეგში აგს-ს გადაეცემა. აღსანიშნავია, რომ აქამდე ეს არაბული სახელმწიფო იარაღს, ძირითადად, ამერიკისაგან ყიდულობდა.

ქალებს ლიდერობა არ სურთ

ვასილ გულეური
გორიდან

შიდა ქართლის ასოციაცია "ქართლის დედამ", ქალთა გლობალური ფონდის (აშშ) ფინანსური დახმარებით, განახორციელა პროექტი, რომელიც რეგიონის ქალთა ორგანიზაციების ინფორმაციულ-ტექნიკური მომსახურებისათვის რესურს-ცენტრის შექმნას ითვალისწინებდა.

პროექტის განხორციელების დროს, ქალთა სოციალური აქტივობის გამოვლენის მიზნით, ორგანიზაციამ რეგიონში ჩაატარა გამოკითხვა. როგორც ასოციაციის პრეზიდენტმა ასმათ ბეჟანიშვილმა პროექტის პრეზენტაციაზე აღნიშნა, გამოკითხვა მრავალ საკითხს მოიცავდა, თუმცა, შედეგი დიდად სახარბიელო არ ყოფილა. გამოკითხულთა 78 პროცენტს არ სურს ლიდერის როლში ყოფნა. თანასწორობის მოსაპოვებლად ქალების პოლიტიკაში ჩართვა მხოლოდ 11 პროცენტს მიაჩნია აუცილებელ პირობად. გამოკითხულთა 36 პროცენტი კი თვლის, რომ თანასწორობისთვის საჭიროა ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობა და სოციალური პრობლემების გაუმჯობესება.

ასოციაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო არჩევნებში ქალთა პოლიტიკური აქტივობა, წინა წლებთან შედარებით, გაიზარდა, მაგრამ სასურველ დონეს მაინც ვერ აღწევს. შიდა ქართლში საკრებულოს წევრობის 1016 კანდიდატს შორის მხოლოდ 127 იყო ქალი, მათგან კი საკრებულოს წევრი გახდა 49.

"საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ მოუმწიფებელია ქალთა პოლიტიკური როლის ამაღლებისათვის, ამასთან, ლიდერი ქალების გამოვლენას უფრო ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება," – თვლის ასმთ ბეჟანიშვილი. ამ მიზნის მისაღწევად ასოციაცია "ქართლის დედა" აპირებს, შექმნას ქალთა საკონსულტაციო საბჭო ლიდერი ქალების გამოვლენისა და მომზადების, ასევე, ქალთა პრობლემების ფართოდ გაშუქების მიზნით.

"ტვინი გიმღერის ნანასა"

ნინო ციცვაძე

შესაძლებელია, ძილისპირული ჩაძინებაში უფროსებსაც კი დაეხმაროს. კანადელმა მეცნიერებმა ახლახან აღმოაჩინეს, რომ საკუთარი "სხეულის მელოდია" ადამიანს დაძინებას უადვილებს და ძილის პროცესს ახანგრძლივებს.

მათთვის, ვისაც დაძინება უჭირს, შუაღამისას ეღვიძება და მოუსვენრად ძინავს, ახალი იმედი გაჩნდა. ტორონტოს უნივერსიტეტის მეცნიერები ასეთ ადამიანებს ალტერნატიულ ძილისპირულს სთავაზობენ. პაციენტის ტვინის "ტალღებიდან" შექმნილი მუსიკა მას სამჯერ უფრო სწრაფად, ხანგრძლივად და ღრმად აძინებს.

მეცნიერები, გარკვეული მედიტაციური მდგომარეობის რიტმის დასადგენად, ელექტროენცეფალოგრამის საშუალებით ადამიანის ტვინის იმპულსების ელექტრორხევების სიხშირეს აფიქსირებენ. შემდეგ კი სპეციალური კომპიუტერული პროგრამა ამ ტალღებს ბგერით ტონებად გარდაქმნის. "ჩვენ ელექტრონულ სიხშირეს ისეთ მუსიკად გარდავქმნით, რომლის რითმი, ხმა და ტონის სიმაღლე ამ სიხშირის შესაბამისად იცვლება", - ამბობს ტორონტოს უნივერსიტეტის მეცნიერი ლეონიდ კაიუმოვი. ასე, შეიძლება, შეიქმნას ნებისმიერი ადამიანის ტვინის აკუსტიკური ჩანაწერი. ექსპერიმენტის დროს ათი პაციენტი, 30 დღის განმავლობაში, საკუთარი სხეულის ძილისპირულს უსმენდა.

ისინი არა მარტო სწრაფად იძინებდნენ, არამედ მათთვის ჩვეული ის შიშის შეგრძნებებიც იკლებდა, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ძილის რითმის დარღვევის გამომწვევი მიზეზია. კაიუმოვის დაკვირვებით, ზოგიერთი ადამიანის შინაგანი მუსიკა ჰარმონიულია, ზოგიერთისა კი, პირიქით, - კაკაფონია, მაგრამ საკუთარი მუსიკა პაციენტზე, ყველა შემთხვევაში, დადებითად მოქმედებს.

მოკლედ

თბილისი. გაერო-ს განვითარების პროგრამის 2001 წლის პუბლიკაციაში მოყვანილი ჰუმანური განთვითარების დონის მაჩვენებლებში 180 ქვეყნიდან საქართველოს 76-ე ადგილი უკავია.

სტანდარტულ ინდიკატორთა წრე მოიცავს 1000-ზე მეტ მაჩვენებელს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია, შეფასდეს ჰუმანური განვითარების პოტენციალის მნიშვნელობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისთვის. ბოლო მონაცემებით, ჰუმანური განვითარების ინდექსის მნიშვნელობა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისთვის 0,99-ის ფარგლებშია. განვითარებადი ქვეყნებისთვის 0,258-დან 0,49-მდეა. გარდამავალი ქვეყნების უმრავლესობას ამ მაჩვენებლით საშუალო დონე უკავია.

საქართველო ამ ინდექსით 76-ე ადგილზეა, რითაც უსწრებს აზერბაიჯანს (რომელიც 79-ე ადგილზეა), თურქმენეთს (83), ყირგიზეთს (92), უზბეკეთს (99). ამავე დროს, საქართველო ჩამორჩება რუსეთს (55) და ბულორუსს (53).

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს მოსახლეობის 14 პროცენტი უკიდურესი სიღატაკის ზღვარს ქვევითაა. ამგვარი დასკვნა სახელმწიფო დეპარტამენტში სპეციალური გამოკვლევების შემდეგ გაკეთდა.

მოსახლეობის 50 პროცენტი საარსებო მინიმუმის ქვემოთ იმყოფება. საქართველოში მხოლოდ 36 პროცენტს აქვს არსებობის საშუალება. ეს ის კატეგორიაა, რომელიც სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებშია დასაქმებული.

ექსპერტები საქართველოში არსებულ ვითარებას, სხვა განვითარებად ქვეყნებთან შედარებით, მძიმეს უწოდებენ. ეს განსაკუთრებით ეხება სოფლებს, სადაც ფულადი ერთეულის სიმცირე აღინიშნება და ანგარიშსწორება ნატურით ხდება.

■ ■ ■

თბილისი. ფინანსური პრობლემების გამო წლეულს თბილისში წლის საუკეთესო მასწავლებელი ვერ გამოავლინეს. ამის შესახებ კავკას-პრესს თბილისის განათლების განყოფილებაში აცნობეს.

საქართველოს განათლების სამინისტროს განცხადებით კი, საუკეთესო მასწავლებლის გამოსავლენი კონკურსის ჩატარებას არც ისე დიდი თანხა სჭირდება, რადგან ეს კონკურსი, ძირითადად, გაკვეთილებზე დასწრებას გულისხმობს. "შესაძლოა, ფინანსური პრობლემა იმაში გამოიხატებოდეს, რომ თბილისის მერიას საუკეთესო მასწავლებლის დასაჯილდოებლად საშუალება არა აქვს", - აცხადებენ განათლების სამინისტროში.

საქართველოს მასშტაბით წლის საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენის პრაქტიკა ჩვენთან საერთოდ არ არსებობს და, 40-დან 60 ლარამდე ხელფასის შემყურე ქართველი მასწავლებლები, წელიწადში თუნდაც ერთხელ, დამატებით მცირეოდენი საჩუქრის მიღების შესაძლებლობასაც მოკლებულნი არიან.

ცნობისთვის: წლის საუკეთესო მასწავლებელი გამოავლინეს აფხაზმა სეპარატისტებმა და მის დასაჯილდოებლადაც გამონახეს საჭირო სახსრები. რუსეთში საუკეთესო მასწავლებლებისთვის რუსეთის პრეზიდენტი ყოველწლიურად კრემლში წვეულებას მართავს, ხოლო 25 საუკეთესო მასწავლებელს რუსეთის პრეზიდენტი პირისპირ ხვდება და ერთი საათის განმავლობაში მათ შეკითხვებს პასუხობს.

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში ბავშვების 44,4 პროცენტი რეგისტრირებული ქორწინების გარეშე იბადება. ქორწინების გარეშე შობადობის ზრდა, ძირითად, განპირობებულია არარეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობის ზრდით. მხოლოდად დედის განცხადებით რეგისტრირებული ბავშვების წილი 10 წლის წინანდელ დონეზეა. განსაკუთრებით მაღალია ეს მაჩვენებელი 20 წლამდე ასაკის დედებში, სადაც ის 62,3 პროცენტს აღწევს.

2001 წლის განმავლობაში გრძელდებოდა საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტენდენცია, თუმცა, 90-იან წლებთან შედარებით - ნაკლები ინტენსივობით. მოსახლეობის ბუნებრივ და მექანიკურ მოძრაობაში ნეგატიური ტენდენციების (შობადობის შემცირება, მიგრანტთა შორის რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობის დიდი წილი) გამო გაიზარდა დაბერების დონე - 65 წელი და ზემოთ.

კავკას-პრესი

ქალური ისტორიები მერიის ფონზე

გუშინ მერიასთან უამრავ ქალს მოეყარა თავი. ისინი ითხოვდნენ - ზოგი სახელმძღვანელოებს, ზოგი სამსახურს, ზოგიც ფულს და ზოგიც ისე დამდგარიყო, - იქნებ, რამე გამოიმეტონ და ისე არ დავრჩეო.

დალი კუპრავა

ეს რომ ჩემს ქალაქში არ ხდებოდეს, წარმოვიდგენდი, რომ საუკეთესო ნეორეალისტურ ფილმს ვუყურებ...

ხანში შესული ქალბატონი ეთერი კითხულობს, ეს მრავალშვილიანების შეკრებაა თუ მარტოხელებისო. პასუხით უკმაყოფილო, აღშფოთებას ვერ მალავს: "ქმრები გყავთ, სიამოვნებას იღებთ და, არ მესმის, ამ სიამოვნებისთვის სახელმწიფოს რატომ სთხოვთ საფასურს?"

მერიის წინ თავმოყრილ ქალბატონებს მისი შენიშვნა არად ჩაუგდიათ, მხოლოდ ერთმა გამოხატა აღშფოთება: "სახელმწიფო ჩვენ შვილებს იყენებს და იმიტომ. აბა, რამე ატყდეს, პირველებს ჩვენებს გაიმეტებენ!"

ამბავი აღარ განვითარებულა, რადგან მერიიდან სახალხო დეპუტაციის წარმომადგენლები გამოვიდნენ და მათ შემოეხვივნენ.

წინა რიგებიდან წამოსული ახალი ინფორმაციის ნაწყვეტები უკანა რიგში კოწიწდებოდა.

"წარმოგიდგენია, ხუთშვილიანებს ასს მისცემენ და ხუთზე მეტი ვისაც ჰყავს, დამატებით თითოზე - ოც-ოცს"... "რა, ჩვიდმეტი წლის რომ არის, რჩენა არ უნდა"... "მე რომ ოთხი მყავს, დახმარება არ მინდა?" "მაგასაც არ მოგვცემენ, თორემ ვინ ჩივის..."

იქ ვინც იყო, ყველას უჭირდა.

მარინა

"ძალიან გიჭირთ"?

"თქვენ რა, კარგად ცხოვრობთ?"

"მე ვმუშაობ მაინც..."

"დღეს ორცხობილა დავტოვე სახლში. ეკლესიიდან რამდენიმე ნაჭერი პური მიმაქვს, ყოველდღე მაძლევენ. მეტი არც იმათ აქვთ. ხუთი შვილი მყავს. უფროსი თხუთმეტისაა და უმცროსები, ტყუპები – ოთხის. უფროსები სკოლაში სწავლობენ. მირჩევნია, აქ დავაღამო და რამე მივიღო, ვიდრე ჩემი შვილები ქუჩაში გავიდნენ".

"მეუღლე არ მუშაობს?"

ხელს უიმედოდ იქნევს.

მარინას ანა მანიანის თვალები და თხელი, ინდოელი ქალის მსგავსი კოჭები აქვს (რაც უჩანს, ეგაა!).

ნანა

"ქმარი?"

"პირველი ჯგუფის ინვალიდია. მე არ ვმუშაობ. ვიფიქრე, თბილისობისთვის იქნებ რამე მოგვცენ და ბავშვებს ნორმალური სადილი მოვუმზადო-მეთქი. რა ვქნა, აღარ ვიცი, არ გამეჩინა შვილები?!"

ნანა განათლებით ფრანგული ენის სპეციალისტია.

ქალების აქცია მერიასთან

ციცინო

"თქვენ მრავალშვილიანი დედა ბრძანდებით?"

"მე ინვალიდი შვილი მყავს. ვიდრე ჯგუფს დაადგენდნენ, არაფერს მაძლევდნენ. იანვარში დაუნიშნეს 22 ლარი და აპრილში და მაისში ძლივს ავიღე. ივნისიდან კი მოუხსნეს - თექვსმეტი წლისა გახდა და აღარ ეკუთვნისო(!). ახლა მეც ვფიქრობ, იქნებ თბილისობისთვის რამე გაიმეტონ. ვმუშაობ, მაგრამ ავადმყოფ ბავშვს რამდენი რამ უნდა. მეუღლე გამექცა - ვეღარ ამიტანა ასეთი დაძაბული და განერვიულებული. ზოგჯერ რაღაცას გვიგზავნის. არაფერს დავეძებ, ოღონდ ბავშვისთვის შევძლო იმის გაკეთება, რაც სჭირდება. ცოდოა ბიჭი, დამეჩაგრა..."

ლია

"განცხადებაში რას ითხოვთ?"

"25 წლის გოგო მყავს. უცხო ენები დაამთავრა. თავისით ჩააბარა და ძალიან კარგად სწავლობდა, მაგრამ სამსახური ვერ იშოვა. სკოლაშიც წავა, ოღონდ სახლში არ იჯდეს და ჩვენს გაჭირვებას არ უყურებდეს. ზოდელავას ვწერ, იქნებ რამე მოუძებნოს. ჩემთვის არაფერი მინდა".

ქალბატონი ლია 42 წლისაა.

მერიის წინ ყველა ასაკის ქალბატონს ნახავდით. მათ ერთი საფიქრალი აერთიანებდათ: როგორ გავზარდოთ შვილები ისე, რომ ქუჩას ასცდნენო. იმედიც ერთი კაცისა ჰქონდათ - ვანო ზოდელავასი.

"ახალი მემარჯვენეების" ქალთა კლუბი ერთი წლისაა

გუშინ ორთაჭალაში, ახალი მემარჯვენეების ცენტრალურ ოფისში, ჩატარდა ქალთა კლუბის წევრთა კრება, რომელზეც შეჯამდა ერთი წლის წინ დაფუძნებული კლუბის მუშაობის შედეგები.

ლელა მარგიანი

ქალთა კლუბის პრეზიდენტია ნონა გაფრინდაშვილი, თავმჯდომარე - მაია გეგია. მან ისაუბრა იმ სამუშაოს შესახებ, რაც გასული წლის განმავლობაში ჩატარდა. ეს იყო საქველმოქმედო ხასიათის ღონისძიებები: პროექტი "ბავშვები ეხმარებიან ბავშვებს" - თბილისისა და გორის სკოლების მოსწავლეებმა შეაგროვეს ტანსაცმელი, სათამაშოები, წიგნები თავიანთი თანატოლებისთვის და, კლუბის დახმარებით, ტკბილეულთან ერთად, საახალწლო საჩუქრად გადაეცათ სურამის, კაჭრეთისა და რუსთავის უპატრონო ბავშვთა სახლებს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და თბილისის ორ რაიონში პარტიის მხარდამჭერი ექიმებით დაკომპლექტებულმა ბრიგადებმა ჩაატარეს უფასო სამედიცინო გამოკვლევები. თბილისის ათივე რაიონს დაურიგდა "ალდაგის" 200-200 ცალი უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამთვიანი პოლისები.

ქალთა კლუბის წევრმა ქალბატონებმა შეხვედრაზე უმცირესობით წარმოდგენილი, პარტიის ლიდერი მამაკაცები არ დაჩაგრეს და სიტყვა მათაც მისცეს.

"ამიერიდან ქალთა კლუბი პოლიტიკური სტრუქტურა იქნება. მანდილოსნები საქართველოში ძალიან აქტიურები არიან და მათ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეუძლიათ", - თქვა დავით გამყრელიძემ, მემარჯვენეთა პარტიის თანათავმჯდომარემ.

"ჩვენ არ უნდა ვიყოთ პარტია, რომელიც მხოლოდ არჩევნების წინ აკეთებს საქმეებს", - აღნიშნა ვალერი კვარაცხელიამ და ქალთა კლუბის საქმიანი მხარდაჭერის დიდი მნიშვნელობა აღნიშნა.

მამაკაცი მემარჯვენეების საერთო განწყობა ძალიან ქართული და ტრადიციული იყო - არა საქმე არ გაკეთდება ქალთა მონაწილეობის გარეშე.

ქალთა კლუბის წევრებმა დასახეს მომავალი წლის სამოქმედო პროგრამა, რომელიც მოიცავს განათლების, ჯანდაცვის, სპორტის, რელიგიისა და კულტურის სფეროებს.

გრცხვენოდეთ თქვენი ძველი ტანსაცმლის

საქართველო უცხოელთა ნაგავსაყრელად იქცა, - აცხადებენ გარემოს დამცველები

მეორადი ტანსაცმელი ჩვენში უკვე ისე აღარ საღდება, როგორც რამდენიმე წლის წინათ. თუმცა, ეგრეთ წოდებული ძონძები საქართველოში მაინც ბლომად შემოდის. ბოლო დროს აქტიურად დაიწყეს ნახმარი ხალიჩების შემოტანაც. როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს, ამით უცხოელებიც არიან დაინტერესებულნი, ოღონდ არა ჰუმანურობის გამო.

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის ნაგავსაყრელების პრობლემას "24 საათმა" წერილების სერია მიუძღვნა. მათზე წარმოდგენის შესაქმნელად გაზეთში გამოქვეყნებული ფოტოებიც კმარა. ასეთ ნაგავსაყრელებს უცხოეთიდან ტონობით შემოსული ნახმარი ტანსაცმლის დამატება ნამდვილად აღარ სჭირდება. მართალია, სანაგვეზე გადაყრილ ტანსაცმელსაც თავისი მუშტარი ჰყავს, მაგრამ ეს შეღავათი არ უნდა იყოს. ევროპის ქვეყნებში (ვინც მეორადი ტანსაცმლით გვამარაგებს) ასეთ ნარჩენს მიწის ზემოთ არავინ დატოვებს. არადა, გადაყრილი ტანსაცმლისა და, მით უმეტეს, ხალიჩების გადამუშავება ძალზე ძვირი ჯდება. "ჩვენნაირ ქვეყანაში ნახმარი ტანსაცმლის გაგზავნა ნარჩენისგან გათავისუფლების საუკეთესო საშუალებაა - ჰუმანურობაშიც ეთვლებათ და საკუთარ გარემოსა და ბიუჯეტსაც უფრთხილდებიან. საქართველოში კი ნარჩენების გადამუშავებაზე ფიქრით თავს არავინ იკლავს", - აცხადებენ ჩვენი გარემოს დამცველები.

უახლოეს მომავალში ამ პრობლემის მოგვარებაზე ფიქრიც კი ზედმეტია, თუმცა, როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს, ნარჩენების შესახებ მის მიერ შემუშავებული კანონპროექტის კანონად ქცევა მაინც გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ამ კანონპროექტის მიხედვით, ნარჩენებისგან გასუფთავების ერთ-ერთ მექანიზმად მიიჩნევა მწარმოებლისა თუ ექსპორტიორის პასუხისმგებლობის გაფართოება, ანუ ისინი წარმოებული თუ შემოტანილი პროდუქციის ნარჩენის გაუვნებელყოფაზე თვითონვე იქნებიან პასუხისმგებელნი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონპროექტი მათი დასჯის მექანიზმებსაც ითვალისწინებს, რისთვისაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სერიოზული ცვლილებები შევა. კანონის დამრღვევი სოლიდური თანხით დაჯარიმდება. გარემოს დამცველები აცხადებენ, რომ ამ კანონპროექტის დაკანონება ქვეყნის დაბინძურების პრობლემას მნიშვნელოვნად მოაგვარებს, თუმცა, ეს სამომავლო პერსპექტივაა. ნარჩენების შესახებ კანონი საქართველოში, რეალურად, ალბათ, ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერების შემდეგ განხორციელდება, იმ დროს, როცა აღმასრულებელ უწყებებს იმდენი ხელფასი ექნებათ, რომ კანონის დამრღვევის დაჯარიმებით დაინტერესდებიან, როცა ნაგავსაყრელების მოვლასა და ნარჩენების გადამუშავებაში უსახსრობაც აღარ შეგვიშლის ხელს. მანამდე კი განვითარებული ქვეყნების ნაგავსაყრელის როლს შევასრულებთ.

მეორადი ტანსაცმლით ვაჭრობა

სხვათა შორის, ბოლო წლებში დიდ ბრიტანეთში მოძველებული ტექნიკის საწინააღმდეგო კამპანია ძალზე გააქტიურებულა. ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციით, ბრიტანეთის თითქმის ყველა ქალაქის მთავარ ქუჩებში შეხვდებით რეკლამებს, რომლებიც მოქალაქეებს ძველი (თუნდაც, ერთი-ორი წლის წინ ნაყიდი) ავეჯისა და ტექნიკის თანამედროვეთი შეცვლას ურჩევენ. "გრცხვენოდეთ თქვენი ძველი ავეჯის", – იუწყება სარეკლამო წარწერა. მოდას აყოლილ ბრიტანელებზე ამგვარი რეკლამები, თურმე, კარგად მოქმედებს - ორი წლის წინათ გამოშვებულ კომპიუტერებსა და ტელეფონებსაც აღარ კადრულობენ. აი, ასეთი ნარჩენები კი ნამდვილად არ გვაწყენდა. ბრიტანელები, ნახმარი ტანსაცმლის ნაცვლად, ვთქვათ, "პენტიუმ-4"-ის კლასის კომპიუტერებს თუ გამოგვიგზავნიან, ასეთ საჩუქარს ნაგავზე არავინ გადააგდებს.

გაზეთი "24 საათი" და მოდელების საგენტო "იმიჯ-ცენტრი" ატარებენ სილამაზის კონკურსს

მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

კანდიდატების ფოტოები განთავსდება გაზეთ "24 საათში" 6 დღის განმავლობაში და კვირის ბოლოს ხმათა უმრავლესობით შეირჩევა კვირის გამარჯვებული ანუ ნახევარფინალისტი. შემდეგ ნახევარფინალისტებიდან გამოვლინდება გამარჯვებული "მის ფოტო მოდელი 2002". კონკურსში გათვალისწინებულია შემდეგი ნომინაციები:

1.მის ფოტო მოდელი 2002
2.ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3.საუკეთესო სასცენო კოსტუმი

გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან ფასეული პრიზებით და მათ ელით უამრავი სიურპრიზი. კონკურსის ჟიურის წევრები იქნებიან თავად გაზეთის მკითხველები. იმისათვის, რომ ხმა მისცეთ თქვენთვის სასურველ კანდიდატურას, აუცილებელია შეიძინოთ გაზეთი "24 საათი", ამოჭრათ მასში მოთავსებული ხმის მისაცემი ბარათი, მონიშნოთ მასზე თქვენთვის სასურველი კანდიდატურა (ერთ ბარათზე მხოლოდ ერთი კანდიდატურის მონიშვნაა შესაძლებელი. იმ ბარათზე, რომელზეც ერთზე მეტი კანდიდატურა იქნება მონიშნული – ანულირდება.) შევსებული ბარათი მოიტანეთ გაზეთ "24 საათის" რედაქციაში (ვაჟა ფშაველას 45, მე-14 სართული) ან ჩააგდეთ გაზეთ "24 საათის" საფოსტო ყუთში ვაჟა (ფშაველას 45, პირველი სართული)

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მოგვაკითხეთ მისამართზე: ვაჟა ფშაველას 45, მე-15 სართული, მოდელების საგენტო "იმიჯ-ცენტრი", ტელ. 53 69 11

საქართველოში დარჩენილი რვა ჩეჩნის ვინაობა და მომავალი გაურკვეველია

პირველი გვერდიდან

"საერთოდ, მიკვირს კიდეც, რატომ ატყდა ასეთი აჟიოტაჟი ამ ცამეტ ჩეჩენთან მიმართებაში, როცა შარშან, ყოველგვარი ხმაურის გარეშე, რუსებს ასევე ცამეტი, წელს კი უკვე ორი დაკავებული ჩეჩენი გადავეცით, - განაცხადა ჩვენთან საუბარში პაატა მსხილიძემ, - **მიზეზები, ალბათ, ისევ პოლიტიკურ სიტუაციაში უნდა ვეძებოთ. ჩვენთვის კი პოლიტიკურ ბატალიებს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ექსტრადირებისთვის აუცილებელი სამართლებრივი საფუძვლები არსებობდეს"**.

გიორგი წკრიალაშვილი

მიუხედავად ამისა, პოლიტიკური მოტივები მაინც სახეზეა – ედუარდ შევარდნაძე ვლადიმირ პუტინს დაბადების დღისთვის საჩუქარს შეჰპირდა, ხუთი ჩეჩნის გადაცემა კი სწორედ რუსეთის პრეზიდენტის იუბილეს დაემთხვა, თანაც ექსტრადიცია სულ რაღაც ერთი დღით უსწრებდა წინ შევარდნაძე-პუტინის შეხვედრას კიშინიოვში.

თუმცა, გენერალური პროკურატურა ექსტრადირების საკითხის გადაწყვეტისას პოლიტიკური შეკვეთისთვის ანგარიშის გაწევას კატეგორიულად უარყოფს. ამ მტკიცების გასამაგრებლად მათ საკმაო არგუმენტებიც მოეპოვებათ. ამ არგუმენტებს შორისაა რუსეთისთვის ჩეჩნების ექსტრადირებაზე ნათქვამი რამდენიმე უარი, რომელიც სამართლებრივი დოკუმენტაციის არარსებობით იყო განპირობებული. მაგრამ უკვე მოგვიანებით – 12 სექტემბერს რუსეთიდან მიღებული 700-გვერდიანი დასკვნა, რომელიც სრულად ასახავს დაკავებულთა მიერ რუსეთში ჩადენილ დანაშაულებს, მსხილიძის თქმით, სამართლებრივად და პროცესუალურად უნაკლო დოკუმენტია. ამ დოკუმენტის თანახმად, საქართველოში დაკავებულ ჩეჩნებს რუსეთის ტერიტორიაზე სამხედრო მოსამსახურეთა და სამართალდამცველთა სიცოცხლის ხელყოფა, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-ტარება-გადაზიდვა, ტერორისტული აქტებისა და ბანდიტური თავდასხმების ჩადენა ბრალდებათ. **"რამდენად კანონიერად აქვთ მოპოვებული რუს სამართალდამცველებს სამხილები, ამის შემოწმება ჩვენ არც მოგვეთხოვება და არც საშუალება გაგვაჩნია"**, - ამბობს მსხილიძე.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მხარემ უზარმაზარი მოცულობის მასალების სკრუპულოზურად შესწავლას ორ კვირაზე მეტი მოანდომა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო დაკავებულთა ექსტრადირების გადაწყვეტილება. ჩეჩენ პატიმრებთან ერთად გადაიგზავნა რუსეთში მათ წინააღმდეგ საქართველოში აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რომლის გამოძიებაც, მსხილიძის თქმით, თითქმის ბოლომდე იყო მიყვანილი, მხოლოდ საბრალდებო დასკვნის დაწერაღა აკლდა.

მეხუთე საპყრობილეში დარჩენილი რვა ჩეჩენი პატიმრის ბედს კი ვერც ევროსაბჭოს რეკომენდაცია გადაწყვეტს და ვერც საპროტესტო აქციების სიმრავლე – ასეთია გენერალური პროკურატურის პოზიცია. გამოძიება კატეგორიულად უარყოფს პატიმართა ადვოკატების მიერ გავრცელებულ ხმებს, თითქოს რვა პატიმრიდან ოთხი საქართველოს მოქალაქეა და, შესაბამისად, ექსტრადირებას არ ექვემდებარებიან. თუმცა კი, იუსტიციის მინისტრის მოადგილის გიორგი წკრიალაშვილის თქმით, იუსტიციის სამინისტროს უკვე მიმართეს თხოვნით, გაერკვიათ, ერთ-ერთი დაკავებულთაგანი ხომ არ არის საქართველოს მოქალაქე. ეს საკითხი ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია.

გენერალური პროკურატურის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ჩეჩნების ნაწილ-ნაწილ ექსტრადიციას კი ასე ხსნის: **"უკვე ექსტრადირებული ხუთი თანამოძმისგან განსხვავებით, საქართველოში დარჩენილ რვა პატიმარს პირადობის დამადასტურებელი მოწმობები არ გააჩნიათ. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ რუსი სამართალდამცველების მიერ მოწოდებულ მასალებში მათი ამოცნობის თაობაზეც არსებობს ინფორმაცია, დაკავებულთა ზუსტ იდენტიფიკაციამდე ექსტრადირებაზე საუბარი ნაადრევია"**.

რაც შეეხება სტრასბურგის სასამართლოდან მოსულ დადგენილებას, ევროსასამართლოში საქმის შესწავლამდე ჩეჩნების ექსტრადირებისგან თავის შეკავების შესახებ, მსხილიძის თქმით, ეს მხოლოდ და მხოლოდ რეკომენდაციაა, რომლის შესრულების არავითარი ვალდებულება საქართველოს მხარეს არ აკისრია: **"გარდა ამისა, საქმე გვაქვს პროცესუალურ დარღვევასთან. ევროსასამართლო საჩივარს წარმოებაში მხოლოდ მას შემდეგ იღებს, რაც საქმეს მოვლილი აქვს მოპასუხე ქვეყნის ყველა სასამართლო ინსტანცია. ჩეჩნების ექსტრადირების საკითხი კი, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს არც ერთი ინსტანციის სასამართლოში არ გასაჩივრებულა"**, - ამბობს იგი.

მსხილიძის პრეტენზიას ევროსასამართლოს მიმართ საქართველოს ერთ-ერთ კოზირად მიიჩნევს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი წკრიალაშვილი. როგორც ცნობილია, ევროსასამართლოს გახმაურებული დადგენილების ადრესატი სწორედ იუსტიციის სამინისტრო გახლდათ და მათვე ჩეჩნების ექსტრადირების თაობაზე დეტალური ინფორმაცია სტრასბურგში 14 ოქტომბრამდე უნდა გააგზავნონ. ამ მიზნით იუსტიციის სამინისტრომ უკვე გადააგზავნა გენერალურ პროკურატურაში ევროსასამართლოს დადგენილების ასლი და მათგან ელის ყველა იმ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ექსტრადირება განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ 11 ჩეჩნის ინდივიდუალური საჩივრები სტრასბურგში ერთ საქმედ გაერთიანდა და რეგისტრაცია გაიარა სახელწოდებით - "აბდულშამაევი და ათი სხვა საქართველოს წინააღმდეგ". 11 მომჩივნის პრეტენზიების ობიექტი, საქართველოს გარდა, რუსეთიცაა. გიორგი წკრიალაშვილის თქმით, მხოლოდ საქართველოდან ვრცელი ინფორმაციის მიღების შემდეგ გადაწყვეტს სტრასბურგის სასამართლო, დაუშვას თუ არა საჩივრის არსებითი განხილვა.

"AES თელასით" პოლიცია დაინტერესდა

"AES თელასი", რომელიც ბოლო ხანებში სერიოზულ პრეტენზიებს უყენებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მათი კომპანიისა თუ თანამშრომელთა მიმართ გახშირებულ დანაშაულთა ვერგახსნის გამო, ამჯერად თავად გახდა პრეტენზიების ობიექტი.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თბილისის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსმა მერაბ მელუამ განაცხადა, რომ 28 ათასამდე ლარის დანაკლისის გამო, "AES თელასის" ნაძალადევის ბიზნეს-ცენტრში რევიზია ტარდება. სამართალდამცველთათვის ცნობილი გახდა, რომ ეს თანხა მოსახლეობამ ნამდვილად გადაიხადა, მაგრამ შესაბამისი ჩანაწერი სალაროს ჟურნალში არ აღმოჩნდა. მიმდინარე რევიზიის მიზანია, დაადგინოს, არის თუ არა სხვა დარღვევები ბიზნეს-ცენტრში. გამოძიებამ ისიც უნდა გაარკვიოს, კონკრეტულად ვინ მიითვისა თანხა. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროში ეჭვი აქვთ, რომ მსგავსი, და უფრო მსხვილი დარღვევებიც, "AES თელასის" სხვა ბიზნეს-ცენტრებშიც შეიძლება აღმოჩნდეს.

ანტიკორუფციონერი პოლიციელები ფალსიფიკატორებსა და მიმთვისებლებს ამხელენ.

გუშინდელი პრესკონფერენციის თემა მხოლოდ "AES თელასში" აღმოჩენილი დარღვევები არ გახლდათ. იმავე მერაბ მელუას ცნობით, პოლიციამ სულ ახლახან ამხილა ექვსკაციანი ჯგუფი, რომელიც ყალბ დოკუმენტაციას ამზადებდა. ჯგუფის ხელმძღვანელი, თბილისელი გარი ნაზაროვი დაკავებულია და მას სასამართლომ უკვე შეუფარდა კიდეც წინასწარი სამთვიანი პატიმრობა.

მელუას თქმით, ეს ჯგუფი ამზადებდა პოლიციის მუშაკების, პროკურატურისა და დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლების ყალბ მოწმობებს, უმაღლესი სასწავლებლების დიპლომებს, ქორწინებისა და დაბადების მოწმობებს. მელუას თქმით,

ყალბი დოკუმენტაციის მომზადება მაღალი დონის კომპიუტერული ტექნიკით ხდებოდა. დანაშაულებრივ ჯგუფს, სპეციალურად კომპიუტერული უზრუნველყოფისათვის, უმაღლესი დონის სპეციალისტი, ვინმე ანდრეი გუსევი ჰყავდა დაქირავებული. იგი ამჟამად თავდებითაა გათავისუფლებული.

გარდა საბუთების ფალსიფიკაციისა, პოლიციამ ღვინის ფალსიფიკატორიც ამხილა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ფალსიფიკაციასთან ბრძოლის სამმართველოს უფროსის დავით მამალაძის განცხადებით, მხილებულია შპს "სამამულეს" დირექტორი ნიკოლოზ ჩახვაშვილი, რომელიც კარდანახში ღვინის ჩამოსასხმელ საამქროში ფალსიფიცირებულ ღვინოს ასხამდა და შემდგომ სხვადასხვა ადგილებში ახდენდა რეალიზაციას.

მამალაძის თქმით, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 41 000 ლიტრი ფალსიფიცირებული ღვინო და ფალსიფიცირებისთვის საჭირო მასალები, კერძოდ - ლიმონმჟავა, შაქარი და სხვა. ამასთანავე, პოლიციამ თბილისში ბაზრობა "ილორი 2001"-ის ტერიტორიიდან ამოიღო "სამამულეს" მიერ წარმოებული თეთრი და წითელი ფალსიფიცირებული ღვინოები. აქვე აღმოჩნდა, რომ, ღვინის ფალსიფიკაციასთან ერთად, ჩახვაშვილი სამარკო ნიშნებსაც აყალბებდა. კერძოდ, ამზადებდა ისეთი ფირმების ეტიკეტებს, როგორებიცაა: "სამგორი-ალკო" "სარაჯიშვილი" და სხვ. ღვინოებიდან კი ის ფალსიფიცირებული წესით ამზადებდა "შუამთას", "კახეთს", "მანავს", "საფერავს".

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. ფალსიფიცირებული პროდუქცია ამოღებული და განადგურებულია.

მოკლედ

■ ■ ■

ქუთაისი. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ავტოქარხნის რაიონის პოლიციის, ამჟამად უკვე ყოფილი უფროსი ზურაბ ჩიტია საავტომობილო ქარხნიდან თითბერის მილების ქურდობის ფაქტის მიჩქმალვის გამო ამხილეს. მან დანაშაულის ფაქტი აღრიცხვიდან მოხსნა.

პროკურატურამ ჩიტიას მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და ძიების მსვლელობისას მის მიერ ჩადენილი კიდევ ერთი დანაშაული გამოავლინა. კერძოდ, ჩიტიამ მოქალაქეების - ბრეგაძისა და ბოჭორიშვილის მიმართ ძალადობა გამოიყენა და სამსახურებრივ უფლებამოსილებას გადაამეტა.

ჩიტიას პასუხისმგებლობის საკითხს იმერეთის საოლქო პროკურატურა, კარგა ხანია, აყენებდა, მაგრამ სამხარეო პროკურატურის სარწმუნო წყაროს განცხადებით, იმერეთის პოლიციის ყოფილი შეფის - რუბენ ასანიძის მხრიდან პროკურატურა აშკარა წინააღმდეგობას აწყდებოდა.

ასანიძემ ჩიტია, არასასურველი რეპუტაციის მიუხედავად, რაიონის პოლიციის უფროსად გადაიყვანა, რაც, ფაქტობრივად, მის დაწინაურებას ნიშნავდა. ამჟამად, ზურაბ ჩიტიას საქმეს ოლქის პროკურატურა იძიებს. **"ინტერპრესი"**

■ ■ ■

გურჯაანი. გუშინწინ გურჯაანში გაქურდეს ამერიკის არმიის გადამდგარი გენერლის ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის სახლ-მუზეუმი. შს სამინისტროს ცნობით, მუზეუმიდან გატანილია ექსპონატების ნაწილი. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დაწყებულია გამოძიება.

აღსანიშნავია, რომ მუზეუმის გაქურდვა მოხდა თბილისში ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის ძმის, აშშ-ს თავდაცვის მინისტრის თანაშემწის ოთარ შალიკაშვილის ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე. ოთარ შალიკაშვილი მონაწილეობას მიიღებს ქართველ და ამერიკელ სამხედრო ექსპერტთა შეხვედრაში. **"კავკასპრესი"**

■ ■ ■

თბილისი. დაღესტანში ქართველი სამართალდამცავების მიერ მკვლელობისათვის ძებნილი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის ცნობით, სამირ ახმედოვის დასაკავებლად ოპერატიული ღონისძიებები შსს-ს ძებნის მთავარმა სამმართველომ ჩაატარა.

თბილისელი სამირ ახმედოვი 2000 წლის 16 ივნისს ჩადენილი მკვლელობისათვის იძებნებოდა. მას ბრალად ედება ბლაგვი საგნის თავში ჩარტყმით თბილისელი დიმიტრი ვალოვის მკვლელობა. ამ ფაქტს თბილისის პროკურატურა იძიებს. **"კავკასპრესი"**

■ ■ ■

წეროვანი. წეროვანთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა და ოთხი დაშავდა. ავტომანქანა "ვაზ-2106", რომელსაც თბილისელი გოჩა მიქაძე მართავდა, წეროვანთან დაეჯახა ჭიათურელი ნუგზარ გუდაძის "ვაზ-21099" მარკის მანქანას. "ვაზ-2106"-ის ორი მგზავრი დაიღუპა. დაშავებულთა შორის, მძღოლის - გოჩა მიქაძის გარდა, კიდევ სამი მგზავრია. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, რომელსაც მცხეთის შს განყოფილება აწარმოებს. **"კავკასპრესი"**

■ ■ ■

მოსკოვი. რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის, ამჟამად კი საქართველოს პრეზიდენტის - ედუარდ შევარდნაძის ქმედებებში ე.წ. "შევარდნაძე-ბეიკერის" შეთანხმების ხელმოწერისას, რომელიც ეხებოდა ბერინგისა და ჩუკოტკის ზღვებზე საზღვრო სივრცის გამიჯვნას, დანაშაულის ნიშნები ვერ აღმოაჩინა.

"შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს ედუარდ შევარდნაძეს, აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერისას, თავისი უფლებამოსილებისათვის არ გადაუმეტებია," - განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ კონსტანტინე ჩაიკამ. **"კავკასპრესი"**

■ ■ ■

თბილისი. ეროვნული გალერეის ქანდაკების ფონდიდან ნამუშევრების გატაცება-გაქრობაში 9 წლის ორი მოზარდი ფიგურირებს. მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის ზაზა ჭაიას თქმით, ოპერატიულად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, პოლიციამ ფონდთან ახლოს, აბაშიძის ქუჩაზე მიაგნო 10-მდე ბიუსტისა და ქანდაკებების ნაწილებს, რომლებიც 9 წლის მოზარდების საცხოვრებელ სახლებში იყო გადამალული. მანვე აღნიშნა, რომ მარტ-აპრილში ასევე ადგილი ჰქონდა ქანდაკების ფონდიდან ნამუშევრების გატაცების ფაქტს. "სულ პოლიციამ უკვე იპოვა 16-20 ერთეული ბრინჯაოსა და თითბერის ნამუშევრები, რომლებსაც მძარცველები ლითონის მიმღებ პუნქტებს აბარებდნენ ", - განაცხადა ჭაიამ.

მანვე აღნიშნა, რომ 9 წლის მოზარდებს, ასაკის გამო, ბრალი არ წაეყენებათ. მიმდინარეობს გამოძიება და დგინდება დანაშაულში მონაწილე სხვა პირების ვინაობა. **"კავკასპრესი"**

ქურიოზი

50 ლარი ცალი ფეხსაცმლის ქურდობისათვის

თავისუფლების მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში ჩადენილი ქურდობისათვის იოსებ რაზმაძე მართლმსაჯულებამ 50-ლარით დააჯარიმა.

მთვრალ მდგომარეობაში მყოფ რაზმაძეს მიწისქვეშა გასასვლელში მდებარე ერთ-ერთ მაღაზიაში ქალის საზაფხულო ფეხსაცმელი მოეწონა. ორივეს მოპარვა ვერ მოახერხა, ამიტომ ცალი ფეხსაცმელი ჩუმად ჯიბეში ჩაიცურა. მაღაზიის მეპატრონემ დაკარგული ცალი ფეხსაცმელი მაშინვე მოიკითხა და ეჭვი რაზმაძეზე მიიტანა, თანაც, იქვე მყოფი პოლიციელიც სასწრაფოდ ჩართო საქმეში. ერთი სიტყვით, სამართალდამცველმა რაზმაძეს დანაშაულზე წაასწრო და იქვე დაიკავა. ქალის ცალი ფეხსაცმლის ქურდი იფიცებოდა, მე არაფერი მომიპარავს – რა ფეხსაცმელი, რის ფეხსაცმელიო; მაგრამ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, მას ჯიბიდან მართლაც ამოაცალეს საზაფხულო ფეხსაცმელი.

იოსებ რაზმაძემ სასამართლო პროცესზე ვერ ახსნა, ვისთვის, ან რისთვის დასჭირდა ქალის ცალი ფეხსაცმელი. თუმცა, დანაშაული ალალად მოინანია.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლომ რაზმაძეს ქურდობისათვის 50 ლარის გადახდა დააკისრა.

დაზარალებულები დამნაშავეებს სასამართლო პროცესზე ხელს აფარებენ

ისნის რაიონში, საექიმოს ქუჩაზე მცხოვრებმა სვეტლანა ბაირიკოვამ ბინის გაყიდვა გადაწყვიტა და ამისათვის ქალაქში განცხადებები გაავრცელა. რამდენიმე დღეში ბინის შეძენის მსურველიც გამოჩნდა. ლევან ტაბატაძემ სახლი დაათვალიერა და დიასახლისს ყიდვის თაობაზე გაურიგდა კიდეც. მართალია, ტაბატაძეს ბაირიკოვასთვის მეორე დღესვე ფული არ მიუტანია, მაგრამ შეგულებულ ბინაში სისტემატურად დადიოდა და დიასახლისს იმდენად გაუშინაურდა, რომ ბაირიკოვამ გაუმხილა – მეორე ბინა 15 ათას დოლარად გავყიდეო.

თამარ კაკიტაძე

ამ ინფორმაციის მიღებიდან რამდენიმე დღეში ტაბატაძე კვლავ ესტუმრა ბაირიკოვას. დიასახლისმა ახლობელს კარები დაუფიქრებლად გაუღო, მაგრამ სახლში, მასთან ერთად, კიდევ სამი შეიარაღებული პიროვნება შევარდა. თავდამსხმელებმა მარტოხელა დიასახლისი უმოწყალოდ იქამდე სცემეს, ვიდრე არ ათქმევინეს, სად ჰქონდა დამალული ფული და ძვირფასეულობა; შემდეგ ზეწარი დახიეს, ბაირიკოვა გაკოჭეს და სააბაზანოში დააგდეს.

15 ათასი დოლარისა და ოქროულობის ხელში ჩაგდების შემდეგ, ყაჩაღები გაიქცნენ და ბინის კარები ღია დატოვეს. შუაღამისას ღია კარებით დაეჭვებულმა მეზობლებმა ბაირიკოვა სააბაზანოში იპოვეს.

მომხდარ ყაჩაღობასთან დაკავშირებით საქმე ისანი-სამგორის საგამოძიებო სამსახურში აღიძრა, რომელსაც რაიონის პროკურორის მოადგილე დარეჯან სილაგაძე ხელმძღვანელობდა.

რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ სამართალდამცველებმა ბაირიკოვას კუთვნილი ოქროულობა ვაგზლის მოედანზე – "ოქროს ბირჟაზე" იპოვეს. მოპარულ ნივთებს ვინმე მაჩაიძე ყიდდა, რომლისთვისაც, თურმე, ცნობილი იყო ყაჩაღობის ფაქტი, მაგრამ პოლიციას დაუმალა. ამიტომ იგი დანაშაულის დაფარვის ბრალდებით დააკავეს. ცოტა ხანში, გამომძიებლებმა დაადგინეს ლევან ტაბატაძის სამეგობრო წრე, ვისთან ერთადაც შეეძლო მას დანაშაულის ჩადენა. საბოლოოდ კი, ოპერატიული ინფორმაციით, გამოიკვეთა იმ დამნაშავეთა ვინაობაც, ვინც ბაირიკოვას ბინაზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ. ესენი იყვნენ: ლევან ტაბატაძის ძმა - დავით ტაბატაძე, მალხაზ ჩიხელიძე და პავლე კუციტაძე. როგორც გამოძიებამ დაადგინა, აღნიშნული პიროვნებები ერთად იხდიდნენ სასჯელს და სწორედ ციხეში დამეგობრდნენ. დღეისათვის დაპატიმრებულია მალხაზ ჩიხელიძე, ჯგუფის დანარჩენ წევრებზე კი ძებნაა გამოცხადებული.

აღნიშნული საქმის გახსნისთვის გამომძიებლებს - ზურაბ პატარიძეს და დავით ხომერიკს ოფიციალურად გამოეცხადათ მადლობები. თუმცა, გამომძიებელთა საქმიანობაში არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც თვეობით ნაშრომი ერთი ხელის მოსმით წყალში იყრება.

გასული წლის აპრილში ოთხი შეიარაღებული პიროვნება თბილისში, თეთრი ხევის დასახლებაში მცხოვრებ ვიქტორ შენგელიას ოჯახს დაესხა თავს. დაყაჩაღების დროს სახლში იყო ვიქტორ შენგელია, თავის ცოლშვილთან, რძალთან და ორ მცირეწლოვან შვილიშვილთან ერთად. როგორც გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში შენგელიების ოჯახის წევრები აღნიშნავდნენ, ორ თავდამსხმელს ნიღაბი ეკეთა, ორიც უნიღბოდ იყო, ორი პიროვნება კი გარეთ იცდიდა. ერთ-ერთმა უნიღბო თავდამსხმელმა ვიქტორ შენგელია ცეცხლსასროლი იარაღის კონდახით ისე სცემა, რომ ყბები ჩაუმტვრია. ყაჩაღებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ოჯახის სხვა წევრებსაც. საბოლოოდ, თავდამსხმელებმა შენგელიების ბინიდან 4500 დოლარი, რვა ათასი ლარის ღირებულების ძვირფასეულობა და სანადირო თოფი წაიღეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ შენგელიების რძალმა "ოქროს ბირჟაზე" საკუთარი ბეჭედი და საყურე იცნო, რომელსაც ირმა ჯახია ყიდდა. როგორც ისანი-სამგორის საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებმა დაადგინეს, ჯახიას ოქროულობა მანანა წოწკოლაურმა მიუტანა, ამ უკანასკნელს კი - ცირა გიგლემიანმა. გიგლემიანს წოწკოლაურისთვის ძვირფასეულობა მიზერულ ფასში ჩაუბარებია – ჩემი დის ოქროულობაა და ფული წამლისთვის სჭირდებაო.

გიგლემიანის დაკითხვა რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა, მაგრამ იგი არ ასახელებდა იმ პიროვნების ვინაობას, რომელმაც ოქროულობა მიუტანა. ბოლოს პოლიცია იძულებული გახდა, გიგლემიანის ბინაში ჩხრეკა ჩაეტარებინა, საიდანაც საეჭვო პიროვნების ფოტოსურათები ამოიღო. გიგლემიანმა გამოძიებას დაუმალა ფოტოზე გამოსახული პიროვნების ნამდვილი ვინაობა და განაცხადა, – ლაშა ონიანიაო.

გამომძიებლებმა საქართველოში მცხოვრები 22 ლაშა ონიანის მონაცემები შეამოწმეს, მაგრამ არც ერთი მათგანი გარეგნობით ფოტოზე გამოსახულ ადამიანს არ დაემთხვა. როგორც საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელმა დარეჯან სილაგაძემ გვითხრა, გამომძიებლები იძულებულნი გამხდარან, სურათი ნაცნობი სვანებისთვის ეჩვენებინათ და ასე გაეგოთ მასზე გამოსახული პიროვნების ვინაობა. ამ ხერხმა მართლაც გაამართლა – იგი გიგლემიანის ახლობელი ივანე გუჯეჯიანი აღმოჩნდა, რომელიც იმჟამად, ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისთვის, რუსთავის პოლიციას ჰყავდა დაპატიმრებული.

ყაჩაღობისთვის, მანქანის გატაცებისთვის, ყალბი დოკუმენტების დამზადებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისათვის ადრე უკვე ნასამართლევმა გუჯეჯიანმა ჩვენების მიცემაზე თავიდანვე უარი განაცხადა და გამოძიების დასრულებამდე დუმილის უფლება გამოიყენა. არადა, დაზარალებული ოჯახის ყველა წევრმა გუჯეჯიანი ფოტოზეც და დაპირისპირებისასაც ამოიცო. ვიქტორ შენგელიამ ჩვენებაში ისიც კი დაწერა, რომ თავდასხმის დროს სწორედ გუჯეჯიანმა სცემა.

მართალია, გამოძიებამ შენგელიების ოჯახზე სხვა თავდამსხმელთა ვინაობის დადგენა ვერ შესძლო, მაგრამ გუჯეჯიანის ბრალეულობა აშკარად სახეზე იყო და საქმეც შემდგომი გამოძიებისთვის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში გადაიგზავნა. მაგრამ სასამართლოზე დაზარალებულებმა ერთხმად უარყვეს გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები და განაცხადეს, - შეგვეშალა, გუჯეჯიანი თავს არ დაგვსხმიაო. დანაშაული თავად განსასჯელმაც უარყო, ხოლო გიგლემიანმა "აღიარა" – ოქროულობა ივანე გუჯეჯიანის ძმამ მომიტანა და თავდასხმაშიც ის მონაწილეობდაო. სასამართლომ, გამოძიების დროს შეკრებილ მტკიცებულებებზე სარწმუნოდ, მოწმეთა ჩვენება მიიჩნია და გუჯეჯიანს ყაჩაღობის ბრალდება მოუხსნა. საბოლოოდ, იგი ნარკოტიკების მოხმარებისთვის გაასამართლეს და სამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. რატომღაც, მართლმსაჯულებას აზრადაც არ მოსვლია, გადაემოწმებინა გუჯეჯიანის ძმასთან დაკავშირებული ალიბი. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, შენგელიებზე თავდასხმის დროს გუჯეჯიანის ძმა რუსეთში იყო დაპატიმრებული და ციხეში გარდაიცვალა კიდევაც.

ასე დასრულდა ყაჩაღობის საქმის რამდენიმეთვიანი გამოძიება, რომელსაც, ფაქტობრივად,დამნაშავეთა სასარგებლოდ, სასამართლომ, თავად დაზარალებულთა ხელშეწყობით დაუსვა წერტილი. მიზეზი, ალბათ, ქართული საზოგადოებისთვის უცხო არ იქნება და ამას თავად მკითხველიც მიხვდება.

ხალხი იმსახურებს, რომ იცოდეს სიმართლე

პირველი გვერდიდან

ბაია გლაბაძელის ფოტო

მოსკოველი ჟურნალისტები სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.

რუსეთმა თუ ჩეჩნეთის ქაობს თავი არ დააღწია, არაფერი ეშველება და, შესაძლოა, სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდეს საქმე. საქართველოსთან ურთიერთობების გამწვავებაც უფრო რუსეთის შიდაპოლიტიკური ბრძოლის შედეგია, - თითქმის ერთხმად, ასე აფასებენ მოსკოველი ჟურნალისტები დღევანდელ ვითარებას. - საქართველოს არანაირად არ შეუძლია ამ ვითარების შეცვლა და, აქედან გამომდინარე, რუსეთის პრეტენზიებზე ნებისმიერი შემხვედრი ნაბიჯი, იქნება ეს ერთობლივი ოპერაცია თუ ჩეჩენი ტყვეების გადაცემა, დაძაბულობას მხოლოდ დროებით მოხსნის.

საქართველოდან საერთო სურათი ცოტა სხვაგვარად ჩანს. კი, სამხედროები რაღაც ცალკე კასტაა რუსეთში; კი, არსებობს რადიკალური კომუნისტური ოპოზიცია, სერიოზული ელექტორატით, მაგრამ პუტინმა - ახალგაზრდა და ენერგიულმა ლიდერმა - ხომ შეძლო ხელისუფლების ცენტრალიზება, ოლიგარქების ალაგმვა და ა.შ.

პუტინი

"პუტინი არის კაცი არავინ და არსაიდან, - ამბობს "მოსკოვსკიე ნოვოსტის" რედაქტორის მოადგილე მიხეილ შეველიოვი - **უბრალოდ, სხვათაგან იგი აირჩია კრემლის კასტამ. პუტინი ხელისუფლებაში თითქმის მარტო მოვიდა. გვერდში ერთადერთი კაცი - სერგეი ივანოვი, მაშინ - უშიშროების საბჭოს მდივანი - ედგა".**

"კრემლში ახლა ბევრს ლაპარაკობენ პრეზიდენტისა და სამხედროების დაპირისპირებაზე. ამ დაპირისპირებამ პუტინისთვის საშიში სახე მიიღო. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ სერგეი ივანოვიც კი გენერლების მხარეზეა. ერთ-ერთი დაპირისპირებისას პუტინი და ივანოვი სალანძღავ სიტყვებსაც არ მორიდებიან," - ამბობს "ეჟენედელნი ჟურნალის" (ამ ჟურნალს აკეთებენ ყოფილი "იტოგის" თანამშრომლები, რომლებმაც სახელმწიფოს მიერ "ნტვ"-ს და მედია ჰოლდინგის მონოპოლიზების შემდეგ შექმნეს ახალი გამოცემა) პოლიტიკური მიმომხილველი გალინა კოვალსკაია.

ომი თუ პატარ-პატარა დაბომბვები?

"საქართველო მსხვერპლია რუსეთის შიდაპოლიტიკური თამაშებისა. ერთი მხრივ, სამხედროებს ჩეჩნეთის კრახიდან ყურადღება საქართველოზე გადააქვთ, მეორე მხრივ, პუტინმა, თავისი განცხადებით, გენერლებს პატარა ძვალი გადაუგდო, მისთვის რომ ცოტა ხანს მაინც დაენებებინათ თავი. ომი არ იქნება - რუსეთს, უბრალოდ, ამის სამხედრო პოტენციალი არ გააჩნია, პატარ-პატარა დაბომბვები კი, ალბათ, განმეორდება," - ირონიულად იღიმის პაველ ფელგენგაუერი, მოსკოველ ჟურნალისტებს შორის საუკეთესო სამხედრო ექსპერტად აღიარებული.

"... ააჰ, არ დაიჯეროთ, რომ შევარდნაძისთვის რუსეთი ომს დაგიწყებთ. კი, პიროვნული ანტიპატია ედუარდ ამბროსოვიჩის მიმართ რუსეთში ბევრს აქვს. საერთოდ, ის უკვე, მგონი, თქვენთანაც ბევრს ამოუვიდა ყელში, მაგრამ ომი?! - არა, არა, ამისთვის სხვა ტექნოლოგიები არსებობს. ისე, აგერ ნახავთ - თუ პუტინი და შევარდნაძე კიშინიოვში რამეზე მაინც შეთანხმდნენ, რუსეთის პროკურატურაც მოხსნის ბერინგის ზღვის გაყიდვის ბრალდებას და სერგეი ივანოვიც სხვა მელოდიაზე ამღერდება. არც ის გაგიკვირდეთ, თუ ტელეარხი "როსია" დიდ ფილმს გადასცემს რუსების და ქართველების სიყვარულზე", - პროგნოზს აკეთებს "კომერსანტის" საერთაშორისო მიმომხილველი გენადი სიხოევი.

ყველაფერი სახელმწიფოებრივი სისუსტის ბრალია

"მართალს ამბობდა ბატონი გია (პოლიტოლოგი გია ნოდია), **ყველაფერი სახელმწიფოებრივი სისუსტის ბრალია, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში,** - ხმამაღლა ფიქრობს ანა პოლიტკოვსკაი, "ნოვაია გაზეტას" მიმომხილველი, - **მე საკუთარი თვალით ვნახე ჩეჩნეთში, თუ როგორ იღვრება სისასტიკედ რუსეთის სახელმწიფოს უსუსურობა - სამხედრო უძლურება, პოლიტიკური უმწიფრობა".**

თურმე, როცა უკიდურესად გამწვავდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, კრემლში ფილოსოფიურად ხუმრობდნენ: ჩეჩნეთის ქაობში ჩვენი სამხედროები იმდენად შორს შევიდნენ, რომ იმავე გზით უკან დაბრუნების ძალა ნამდვილად აღარ აქვთ, ურჩევნიათ, ისევ წინ იარონო. წინ კი საქართველოა.

... და ხელისუფლება

არაერთგზის წარმოითქვა სიმწრით, როგორც ქართველებისგან, ისე რუსებისგან, რასაც ვიმსახურებთ, ის ხელისუფლება გვყავსო. რუსებსაც და ქართველებსაც უჭირდათ ალტერნატივაზე საუბარი და სურვილების დონეს ვერ სცდებოდა - ამა და ამ პოლიტიკოსს ეს რომ არ აკლდეს და ამ მხრივ რომ არ მოისუსტებდეს... მაგრამ არჩევნები? - ეეჰ...

ზაზა აბზიანიძემ ("ლიტერატურნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორი), ერთი სადღაც ამოკითხული ამბავი გაიხსენა:

"აფრიკაში არის ტომი, რომელსაც ასეთი ტრადიცია აქვს: ტომის არაფრისმაქნის და მოხუცებულ წევრებს ყველაზე მაღალი პალმის კენწეროზე არეკავენ. შემდეგ ახალგაზრდები იწყებენ ამ პალმის რხევას. ვინც თავს ვერ შეიმაგრებს და ჩამოვარდება, მოგჭამა ჭირი, ვინც კენწეროს შერჩება, მომდევნო წლის იმავე რიტუალამდე თავისუფალია".

საბელვეიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი

ჯორჯიან რისარჩი

ჯორჯიან რისარჩი საბელვეიზიო რეკლამების მონიტორინგს აწარმოებს 1997 წლის მაისიდან. ამ პერიოდიდან ჩვენ მოგვეროვება სრული მონაცემები საქართველოს საბელვეიზიო სარეკლამო ბაზრის შესახებ.

- რამდენი სარეკლამო რგოლიდან გამშვებლიოქტენიოს საინტერესო არხზე ერთი დღის/კვირის/თვის/წლის განმავლობაში
- რამდენწამიან/წუთიანი ეკრანი მოცემული არხის ეთერში დროის მოცემულ შეალედის რეკლამის
- როგორი იყო ამ მონაცემთა პროცენტული განაწილება არხებზე რომელ საბელვეიზიო გადაცემაში მოზიდული რეკლამის მაქსიმალურმოდენობა (მაღალრეიტინგული გადაცემები)
- რომელ არხზე გავიდა ყველაზე მეტი რეკლამა
- რომელი არხის ეთერში უფასოდ რეკლამის ყველაზე დიდი დროდა ა.შ.

ეს მონაცემები დაგვმარებდა სარეკლამო კომპანიის სწორად დაგეგმვასა და წარმართვაში. ჩვენი შედეგების მიღება შესაძლებელია ყოველკვირეულად ან 10 დღეში ერთხელ, ან ყოველთვიურად. ეს შესაძლებელს ხდის, ოპერატიულად შეცვალოთ სარეკლამო პოლიტიკა და უფრო მოგებიანი გახადოთ იგი.

ჩვენი ტელეფონებია: 25-35-48; (899) 51-19-94

კომენტარი

კიშინიოვის შეხვედრას ქართველი პოლიტიკოსები სხვადასხვანაირად აფასებენ

მემარცხენე პარტიები, ასევე ძალები, რომლებიც "ზომიერი ოპოზიციის" რეპუტაციით სარგებლობენ, მოლდოვას დედაქალაქში გამართულ შეხვედრას საქართველოსთვის სასარგებლოდ მიიჩნევენ. თუმცა, საუბარი კონკრეტულ შედეგებზე ჭირს, თუ არ ჩავთვლით აშკარად გამოხატული რუსული აგრესიის შესუსტებას - მოკლედ და კონკრეტულად რომ ვთქვათ, რუსეთის მიერ საქართველოს დაბომბვის დღის წესრიგიდან მოხსნას. რადიკალური ოპოზიციის აზრით, სამიტმა, შეიძლება, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უარესობისკენ შეცვალოს, ხოლო საქართველოს პრეზიდენტისადმი ოპოზიციის ნდობის ხარისხი ნულამდე დაიყვანოს.

ვერიკო თევზაძე

ზურაბ ჟვანია, საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატის" თავმჯდომარე:

ყველაზე სახიფათო და კრიზისული მომენტი უკვე გავიარეთ. პუტინის პოზიციის ცვლილება აშკარად თვალში საცემია. დღის წესრიგიდან რუსეთის პრეზიდენტის ყველა მუქარა მოხსნილია. რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოები დაპირისპირების მარყუჟიდან გათავისუფლდნენ. ორ ქვეყანას შორის სახიფათო დაძაბულობა შენელდა.

ვახტანგ რჩეულიშვილი, ფრაქცია "სოციალისტის" ლიდერი:

რუსი და ქართველი ანალიტიკოსები ამ შეხვედრისადმი სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი. მათ არ სჯეროდათ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი დადებითად გადაწყდებოდა. სინამდვილეში ყველაფერი პირიქით მოხდა. სერიოზული ნაბიჯები გადავდგით საზღვარზე ერთობლივი თანამშრომლობის, რუსეთისა და საქართველოს სპეცსამსახურების კოორდინაციის გაუმჯობესების თვალსაზრისით. მისასალმებელია ორი ქვეყნის პრეზიდენტების ინიციატივა, რომ მათ ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდეთ.

ერთი სიტყვით, შევარდნაძემ და პუტინმა ურთიერთობები ისე მოაგვარეს, როგორც ამას თავიანთი ხალხი, ქართული და რუსული მართლმადიდებლური ეკლესიები მოითხოვდნენ.

აკაკი ასათიანი, ფრაქცია "ტრადიციონალისტის" თავმჯდომარე:

შევარდნაძე ხელმძღვანელობს შუა საუკუნეების ლოგიკით, როცა სულთანს ხუთ კაცს ჩუქნიდნენ, რათა თავად მჩუქნელს არაფერი დაშავებოდა. მართალი გითხრათ, ამ შეხვედრიდან თავიდანვე სასიკეთოს არაფერს ველოდი, მაგრამ ჩემს გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტი სამიტს ისტორიულს უწოდებს.

ამ შეხვედრით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კიდევ უფრო გაუარესდება, რადგან რუსები მიხვდნენ, რომ აშკარა მუქარით ვერაფერს გახდებიან და შეფარულ აგრესიაზე გადავლენ. რაც მთავარია, შევარდნაძემ კიშინოვის შეხვედრის შემდეგ ოპოზიციის ნდობა საბოლოოდ დაკარგა.

დავით გამყრელიძე, ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარე:

ამ ეტაპზე სიტუაცია განიმუხტა, რუსული აგრესიის საფრთხე მოხსნილია. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ რუსეთმა ტაქტიკა შეცვალოს და ფარულ ბრძოლაზე გადავიდეს (ეკონომიკური ბლოკადა, ცხელი წერტილების გამოყენება და ა.შ.). მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც სერიოზულ გამარჯვებას მივაღწიეთ, რუსეთთან ერთი ეტაპი მოვიგეთ. ეს არის პრეზიდენტ შევარდნაძისა და თეთრი სახლის უშუალო დამსახურება – რუსეთმა, პუტინის სახით, უკან დაიხია.

ქრისტეფორე კოლუმბის ნეშტის საიდუმლო

მელორ სტურუა
აშშ, მინეაპოლისი

კოლუმბის ძეგლი ვაშინგტონის მთავარ სადგურზე

А он мятежный ищет бури, Как будто в буре есть покой... თეთრ იალქანზე თქმული ლერმონტოვის ეს სიტყვები ზუსტად მიესადაგება უდიდეს მოგზაურს ქრისტეფორე კოლუმბს, ანუ, ქრისტობარ კოლონს, როგორც მას თანამემამულე-ესპანელები უწოდებენ. კოლუმბი, რომელმაც მთელი ცხოვრება ვოიაჟებში გაატარა, სიკვდილის შემდეგაც არ გადაჩვეულა გადაადგილებას. მოსვენება არ ეღირსა არც მას შემდეგ, რაც სამუდამოდ დახუჭა თვალი.

საყოველთაო პატივისცემითა და აღფრთოვანებით განებივრებული ადმირალი კოლუმბი, ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდში, 1506 წლის 20 მაისს გარდაიცვალა. ანდერძის მიხედვით, მან, სამუდამო განსასვენებლად, ამერიკის მიწა აირჩია, მაგრამ იმ დროისთვის ამერიკაში ჯერ არ არსებობდა ისეთი კათოლიკური ეკლესია, რომელიც ღირსეულად მიიღებდა დიდი მეზღვაურის ნეშტს. ამიტომ კოლუმბი დროებით ვალიადოლიდის ფრანცისკანულ ეკლესიაში დაკრძალეს. სამი წლის შემდეგ მისი ნეშტი სევილიაში, კუნძულ კარტუხაზე მდებარე მის საგვარეულო სამარხში გადაასვენეს.

1537 წელს კოლუმბის რძალმა, მარია დე როხასმა, დედოფლის უზენაესი ნებართვით, კოლუმბისა და მისი შვილის - დიეგო კოლონის (რომელიც მარიას ქმარი იყო) ნეშტები დომინიკანელთა რესპუბლიკაში გადაასვენა და სანტო-დომინგოს ახლად აშენებულ საკათედრო ტაძარში დაკრძალა. არც ეს ტაძარი აღმოჩნდა ახალი სამყაროს აღმომჩენისთვის უკანასკნელი ნავსაყუდელი. 1795 წელს ესპანეთმა, როცა დომინიკანელთა რესპუბლიკა საფრანგეთს დაუთმო, საკუთარი და კოლუმბის ღირსების შელახვად მიიჩნია, მოგზაურის წმინდა ნაწილები უცხოტომელებს ჩავარდნოდათ ხელში და სანტო-დომინგოდან ჰავანაში გადააბრძანა. ჰავანაში მამაშვილ კოლონების ნეშტები მხოლოდ 1898 წლამდე დარჩა, რადგან ამერიკა-ესპანეთის ომში დამარცხების შემდეგ მადრიდში გადაწყვიტეს, რომ ნეშტი ჰავანიდან კვლავ სევილიაში გადაეტანათ.

აი, აქ კი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. სანტო-დომინგოს დანგრეული ტაძრის ნანგრევების გათხრებისას აღმოაჩინეს ტყვიის კუბო წარწერით - "სახელგანთქმული და გამოჩენილი დონ ქრისტობალ კოლონი!" კუბოში ძვლის 13 დიდი და 28 პატარა ფრაგმენტი ეწყო. იქვე ეგდო ტყვიაც, რომელსაც კოლუმბი ახალგაზრდობიდან ატარებდა. ეს ნარჩენები დღეს დომინიკანელთა რესპუბლიკაში აღმართულ მონუმენტში "ფაროდე კოლონ"-ში ინახება.

და თქვენ გგონიათ, რომ კოლუმბის უკანასკნელ სასუფეველზე მხოლოდ სევილია და სანტო-დომინგო აცხადებენ პრეტენზიას? სულაც არა! პრეტენდენტი სამია! 1950 წელს ასევე სევილიაში მდებარე კარტუზიანული მონასტრის (სადაც ოდესღაც დროებით იყო დაკრძალული კოლუმბი) მფლობელთა შთამომავლებმა აღმოაჩინეს კუბო დიდი მოგზაურის ნეშტით! ბოლოს და ბოლოს, სანტო-დომინგოში ამერიკის აღმომჩენის შვილიშვილის, ლუის კოლონის ნეშტი იპოვეს. ამ აღმოჩენამ დომინიკანელებს განუმტკიცა აზრი იმის შესახებ, რომ ესპანელებმა კუბაში შეცდომით, სხვა ადამიანთა ნეშტი გადაასვენეს.

და როგორც საბერძნეთის ქალაქები დღემდე იბრძვიან ჰომეროსის მშობლიურ ქალაქად წოდებისთვის, ლათინური სამყარო დავობს ქრისტეფორე კოლუმბის უკანასკნელი განსასვენებლის სახელის მოსაპოვებლად.

საუკუნო დავის გადასაჭრელად ესპანელ მეცნიერთა ჯგუფმა გადაწყვიტა, საბოლოოდ დაედგინა კოლუმბის დაკრძალვის ადგილი. ამ ღონისძიების სულისჩამდგმელები - ისტორიკოსი, პროფესორი მარსიალ კასტრო და სასამართლო მედიცინის დოქტორი ხოსე ანტონიო ლორენტე ამბობენ: "ჩვენ ორი და, შესაძლოა, სამი კოლუმბიც კი მოგვეპოვება. სინამდვილის დასადგენად თავს ვიმტვრევთ და მხოლოდ ერთ დასკვნამდე მივედით - საკითხის გადაჭრა გენეტიკოსების საქმე უფროა, ვიდრე ისტორიკოსებისა".

კოლუმბის ჭეშმარიტი სამარხის დასადგენად აუცილებელია მოგზაურის შთამომავალთა "დია"-ს გარკვევა. თვალსაჩინოებისთვის პროფესორმა კასტრომ აიღო კოლუმბის უკანონო შვილის ხერიანდოს "დია" (კორიანდო კოლუმბისა და ანდალუზიელი ქალბატონის სიყვარულის ნაყოფია და ამაზე არავინ კამათობს) და დანარჩენი "სამი" კოლუმბის "დია"-ს შეადარა. ამ გეგმის განხორციელება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ამისთვის ესპანეთისა და დომინიკელთა რესპუბლიკის მთავრობების თანხმობა იყო საჭირო. ესეც არაფერი, ყველა "მეტოქე კოლუმბის" ეგზგუმაციისთვის, საჭიროა ვატიკანის ნებართვას პლუს უკანონო ხარიანდოს ნებართვაც...

პროფესორი კასტრო და მისი ბიოლოგი კოლეგა ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. მათ იმედი აქვთ, რომ კვლევა 2006 წლისთვის მაინც გამოიღებს სასურველ შედეგს.

ამ წელს კაცობრიობა ქრისტეფორე კოლუმბის გარდაცვალებიდან მეხუთასე წლისთავს აღნიშნავს.

არგენტინაში ძეგლს უდგამენ ტანგოს

სანამ ტანგოს ძეგლს დაუდგამდნენ

არგენტინაში, პირველად მსოფლიოში, ძეგლს დაუდგამენ მუსიკალურ ჟანრს. იდეის ავტორია ჟურნალისტი რუბენ რეალე, რომელსაც არგენტინელებისთვის პოპულარული რადიო გადაცემა "მუდამ ტანგო" მიჰყავს. იდეას ათეულობით ორგანიზაციამ, და კულტურის სამდივნომაც დაუჭირა მხარი. შეიქმნა სპეციალური კომიტეტიც, რომელიც ძეგლის აღმართვაზე იზრუნებს. მანამდე კი გამოცხადდება ღია კონკურსი. ჟიურიში ცნობილი კულტურის მოღვაწეები შევლენ. ახლადშექმნილი კომიტეტი ძეგლის აღმართვის კამპანიას კერძო პირებისგან და ორგანიზაციებისგან თანხების აგროვებით დაიწყებს, შემდეგი დევიზით "ერთი პესო ერთ ტანგოზე". გარდა ამისა გაიმართება ტანგოს საუკეთესო შემსრულებელთა და მუსიკოსთა კონცერტი. შემოსულ თანხას მთლიანად ძეგლის აღმართვას მოახმარენ.

არსებული კრიზისის მიუხედავად, მაინც არავის ეპარება ეჭვი რომ ტანგოს ძეგლისთვის თანხა აუცილებლად მოიძებნება არგენტინაში..

ნობელის პრემია სამ მკვლევარს გადაეცა

ამ კვირაში სტოკჰოლმში დიდი ვნებათაღელვაა – ორშაბათიდან წლევანდელი ნობელის პრემიის ლაურეატების სახელები გახდება ცნობილი.

სამედიცინო სფეროში ნობელის პრემიის ბედი უკვე გადაწყვეტილია. ის სამ მკვლევარს არგუნეს: ბრიტანელებს - სიდნეი ბრენერს, ჯონ ე. სალსტონს, და მათ ამერიკელ კოლეგას, რობერტ ჰორვიცს. თავისი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად სტოკჰოლმში, კაროლინსკა ინსტიტუტში შეკრებილმა საბჭომ განაცხადა, რომ ამ მკვლევარებს "ორგანოების განვითარების სფეროში გადამწყვეტი მნიშვნელობის აღმოჩენები ეკუთვნით და მათ პროგრამირებული უჯრედების კვდომის შესწავლა შეძლეს". წლევანდელი ნობელის ლაურეატი მკვლევარების ნაშრომები უაღრესად მნიშვნელოვანია რიგი ავადმყოფობების გაჩენის მიზეზების შესასწავლად.

დღეს გაირკვევა, თუ რომელი ფიზიკოსი მიიღებს პრემიას, ოთხშაბათს ქიმიისა და ეკონომიკის სფეროში გაცემული ჯილდოების მფლობელების სახელები გახდება ცნობილი, ხუთშაბათს ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატორის ვინაობას შევიტყობთ. 1,1 მილიონ ევროიანი პრემიები კი პარასკევს, ფონდის დამაარსებლის, ალფრედ ნობელის გარდაცვალების დღეს გაიცემა.

რობერტ ჰორვიცი
REUTERS


ჯონ ე. სალსტონი
REUTERS

სიდნეი ბრენერი
REUTERS

სპორტი

ჩემპიონთა ლიგა უქართველებოდ გაგრძელდება

თბილისის სპორტის სასახლეში გუშინ მინი-ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ჯგუფური ტურნირის მეორე დღის თამაშები გაიმართა. იმისათვის, რომ საქართველოს ჩემპიონს, თბილისის "იბერია 2000"-ს ქვეჯგუფიდან გასვლის შანსი შეენარჩუნებინა, პორტუგალიის საუკეთესო გუნდთან, "ფრეიშეირასთან" შეხვედრა, სულ მცირე, ფრედ მაინც უნდა დაესრულებინა. სამწუხაროდ, ჩვენმა გუნდმა ეს არც თუ იოლი ამოცანა ვერ გადაჭრა.

მიხეილ აბაიშვილი

"იბერია 2000" - "ფრეიშეირა"
იერი ლიტვინოვის ფოტო

პორტუგალიის ჩემპიონი "ფრეიშეირა" ევროპის მინი-ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. ეს გუნდი სისტემატურად მონაწილეობს ჩემპიონთა ლიგის მსგავს ტურნირებში და დიდი საერთაშორისო გამოცდილებაც დაუგროვდა. ამჟამად "ფრეიშეირას" რიგებს პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ხუთი წევრი იცავს, რომელთა გარდა, გუნდში რამდენიმე ლეგიონერი, მათ შორის, ორი ბრაზილიელი თამაშობს. ასეთ გუნდთან მოუხდა ჭიდილი "იბერია 2000"-ს, რომლისთვისაც ეს ტურნირი, პრაქტიკულად, პირველი საერთაშორისო ნათლობაა.

მართალია, სტუმრებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ქართველი ფეხბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს მათზე გაცილებით გამოცდილ და ბევრისმნახველ მეტოქეს. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში პორტუგალიელები მასპინძლებს მოედნის საკუთარი ნახევრიდან ბურთის გამოტანის საშუალებასაც არ აძლევდნენ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მასპინძლები საკმაოდ ორგანიზებულად იცავდნენ თავს, ხოლო მეკარე ზვიად კუპატაძე, რომელიც გუშინ საუკეთესო იყო ორივე გუნდის შემადგენლობაში, უშეცდომოდ თამაშობდა.

სტუმრებმა ანგარიშის გახსნა ტაიმის მიწურულს მოახერხეს, რასაც უმალ ქართველების საგოლე კომბინაცია მოჰყვა: სარქისიანმა კარგი პასით დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა კბილაძე, რომელსაც ანგარიშის გათანაბრება არ გასჭირვებია.

გაგრძელება B7 გვერდზე

კახა კალაძე: "მე ფეხბურთელი ვარ"

რუსეთან 12 ოქტომბრის მატჩის წინ, იტალიური "მილანისა" და ეროვნული ნაკრების მცველმა კახა კალაძემ "იზვესტიის" კორესპონდენტს ინტერვიუ მისცა. ვფიქრობთ, ქართველი გულშემატკივრისთვის ამ ინტერვიუს ფრაგმენტები საინტერესო იქნება.

– რუსეთის წინააღმდეგ შაბათის მატჩი თქვენთვის განსაკუთრებული იქნება, თუ საშემოდგომო კალენდრის ერთი ჩვეულებრივი შეხვედრა?

– განსაკუთრებული? შეიძლება, თუ სატურნირო მდგომარეობას გავითვალისწინებთ. ჩვენ შესარჩევი ციკლის პირველი მატჩი უკვე დავთმეთ, ამიტომ წაგების უფლება აღარ გვაქვს. სხვა მხრივ, განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. ჩვეულებრივი თამაში იქნება, სადაც, არც მეტი, არც ნაკლები - სამი ქულა გათამაშდება.

– ნუთუ ფიქრობთ, რომ ამ მატჩის პოლიტიზება არ მოხდება? ალბათ, ახალ ამბებს თვალყურს ადევნებთ და იმასაც წარმოიდგენთ, თუ ტრიბუნებიდან რას დაიყვირებენ.

– პოლიტიზება შეიძლება მოხდეს, მაგრამ ამ საქმეში ჩართვა არ მსურს. რუსეთის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, გარდა იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი კონკურენტია. პოლიტიკა პოლიტიკოსებს დავუთმოთ. მე ფეხბურთელი ვარ.

– რუსეთის ახალ ნაკრებზე წარმოდგენა თუ გაქვთ?

– ჯერჯერობით ძალიან ზოგადი. ვიცნობ თითოეული ფეხბურთელის თამაშის მანერას, გაზაევისეულ ტაქტიკურ შეხედულებებს და იმ თავგანწირვას, რომლითაც რუსეთის ახალი ნაკრები მოქმედებს. მისი თამაშის ნახვას კი, ვფიქრობ, შეკრებაზე კიდევ მოვასწრებ.

– მას შემდეგ, რაც თქვენი ძმა ლევანი ყაჩაღებმა გაიტაცეს, საქართველოს ნაკრებში თამაშზე უარი გაცხადეთ. რატომ შეცვალეთ გადაწყვეტილება?

– ეს უაღრესად რთული გადაწყვეტილება იყო. დიდხანს ვიფიქრე და ვყოყმანობდი. მინდოდა, ლევანის გათავისუფლებასთან დაკავშირებით საქმე ადგილიდან დამეძრა, მაგრამ ჩემმა დემარშმა შედეგი არ გამოიღო. ამჟამად სხვა გზებს ვეძებთ. ესეც რომ არა, ქართველ გულშემატკივარს ჩემთვის არაფერი დაუშავებია. პირიქით, გაჭირვების ჟამს გვერდში ამომიდგა და მსურს, სიკეთე სიკეთით გადავუხადო.

გაგრძელება B7 გვერდზე

დიპლომატიური ჯაზი

თბილისის ფესტივალი სახელდახელოდ შექმნილმა ქართულ-ამერიკულმა კვარტეტმა დაასრულა

თბილისში მორიგი ჯაზ-ფესტივალი დასრულდა. ადგილობრივ მუსიკოსებთან ერთად ბრიტანელი, შვედი თუ ჰოლანდიელი შემსრულებლების შემდეგ, მშობლიური კულტურა წუხელ თავად ამერიკელებმა წარმოადგინეს. სამწუხაროდ, მათ შორის არ იყო ფესტივალის ყველაზე ავტორიტეტული სტუმარი, დევიდ გილმორი...

ვერა ნეფარიძე

ჰოლანდიური "ნიუ ქულ კოლექტივი"

ამერიკელი მუსიკოსები: ედი ალენი და მარკ პეტერსონი

ბესო ბაღლაბელიშვილის ფოტოები

არადა, თბილისელი ჯაზის მოყვარულები ყველაზე მეტად სწორედ მას ელოდნენ. ამერიკელი გიტარისტის სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, თბილისში ჩამოუსვლელობას, ფესტივალის ღირსებაზე დიდად არ უმოქმედია, რაც ძირითადად, ბრიტანელი და ჰოლანდიელი ჯაზმენების დამსახურებაა. მათ კი, ვისაც გაცილებით სერიოზული მუსიკის მოსმენა სურდა ამ ფესტივალზე, შვედი ევან სვენსონსონისა და ფრანგი პიანისტის, ანტუან ჰერვეს პროფესიონალიზმითაც ისიამოვნეს.

ხუთდღიანი შესვენების შემდეგ, კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ფესტივალის მეორე ნაწილი ახალგაზრდა ჰოლანდიელმა ჯაზმენებმა საკმაოდ ენერგიულად გახსნეს. კორტნი პაინის ბენდის შემდეგ ასეთი მხიარულება კონსერვატორიაში არავის გამოუწვევია. რვა, შარვალ-კოსტუმში გამოწყობილმა ქერა ჰოლანდიელმა ცეკვა-ცეკვით დაიკავა სცენა. ბენდის ლიდერი, ბენჯამინ ჰერმანი საკმაოდ ხალისიანი საქსოფონისტი აღმოჩნდა. იგი თითოეულ კომპოზიციას აუდიტორიასთან გასაუბრებით იწყებდა; განსაკუთრებული კომპლიმენტები არ დაიშურა ფესტივალის ორგანიზატორისა და სპონსორებისადმი. შიგადაშიგ ახლადნასწავლ ქართულ სიტყვას, "მადლობასაც" (რომელსაც ხშირად ბენდის წევრები ახსენებდნენ) იმეორებდა.

"ნიუ ქულ კოლექტივის" ჯაზი ფანკითა და ლათინო-აფრიკული რიტმებით გაჯერებული ახალგაზრდული, საკლუბო მუსიკა აღმოჩნდა. აფრიკული ეგზოტიკა საკმაოდ პროფესიონალურად შემოჰქონდა კონგებზე შემსრულებელს, ფრენკ ვან დოკს, რომელიც გაურკვეველ, აფრიკულ ფრაზებსაც მღეროდა. გიტარისტმა ანტონ ჰოუდსმიტმა თავის გამოჩენა ბევრჯერ მოახერხა, განსაკუთრებით კი, როკის რითმებზე აგებული კომპოზიციისას გამოუვიდა; თბილისელების სრულიად სამართლიანი აპლოდისმენტები ბასისტმა ლესლი ლოპესმა მიიღო – თანამედროვე, დრამ-ენდ-ბეისისა და ჯაზის ტრანს-კომპოზიცია თითქმის მთლიანად მის "სინდისზე" იყო. საბოლოოდ, სცენიდან წამოსული ემოცია მთელ დარბაზს გადაედო და მსმენელმა აფრიკულ რიტმებზე დაიწყო ცეკვა. ამ ყველაფრის შედეგად "ნიუ ქულ კოლექტივი" იმ დღეს კონსერვატორიაში ბისზე გამოიძახეს. ხელმეორედ გამოსვლისას ჰოლანდიელებმა ერთი მუსიკალური ნომერი იკმარეს, დანარჩენს კი იმ ღამითვე კლუბ "16 რაუნდში" დაგეგმილ სეიშენზე შეპირდნენ თბილისელებს.

ფესტივალი "ჯაზი თბილისში" ექვს ოქტომბერს ამერიკელ ჯაზმენებს, "გილმორ ალენ პეტერსონ ტრიოს" უნდა დაესრულებინა. მათ ნაცვლად კი კონსერვატორიის სცენაზე სახელდახელოდ შექმნილი ქართულ-ამერიკული კვარტეტი გამოჩნდა. საქართველოში აშშ-ის ელჩის, რიჩარდ მაილსის განმარტებით, ცნობილი ამერიკელი გიტარისტი დევიდ გილმორი ბიშკეკში ავად გახდა, რის გამოც მუსიკოსმა თბილისში ჩამობრძანება ვერ შეძლო. რიჩარდ მაილსის გამოსვლა ამით არ დასრულებულა. ელჩმა მიზანშეწონილად მიიჩნია, ცოტა ჯაზის მნიშვნელობაზეც ესაუბრა: "ჯაზს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამერიკელთა გულებში. ჯაზმენები არიან ელჩები, რომლებიც მოვალეობის შესასრულებლად სიტყვების ნაცვლად მუსიკას იყენებენ". თბილისის ჯაზ-ფესტივალმა დევიდ გილმორის სახით, სწორედ ასეთი მუსიკალური ელჩის გარეშე ჩაიარა.

უეცარი ცვლილების გამო, ფესტივალი დაგეგმილის ნცავლად ცხადია, განსხვავებული მუსიკით დასრულდა. მოხერხებულ ელჩს არ გაუჭირდა სიტუაციის უხერხულობიდან გამოყვანა და დღის მუსიკალური პროგრამა იოლად "გაამართლა": "ქართველი და ამერიკელი მუსიკოსები დღეს არმსტრონგის მუსიკას შეასრულებენ. წელს ხომ მსოფლიო მუსიკალური საზოგადოება არმსტრონგის 100 წლისთავს აღნიშნავს". არმსტრონგის თითქმის, საუკუნოვანი კომპოზიციები ამერიკელმა მუსიკოსებმა, გილმორის ტრიოს წევრებმა: ედი ალენმა და მარკ პეტერსონმა ადგილობრივ, გამოცდილ შემსრულებლებთან, გია სალაღიშვილთან და დათო მაზანაშვლთან ერთად შეასრულეს. მართალია, პირველ ნომერზე ედი ალენის გიტარა უცნაურ, საყვირის ხმას გამოსცემდა, მაგრამ ამის ნიადაგზე ამერიკელი მუსიკოსის მცირე მხიარულებისა და ხმის გასწორების შემდეგ, კონცერტი ჩვეულებრივად გაგრძელდა. კონსერვატორიის აუდიტორიამ კი, ვფიქრობ, ნაცნობი მელოდიებით ნამდვილად ისიამოვნა.

გუშინ კვარტეტმა კონცერტი თელავშიც გამართა. დღეს კი ამერიკელი მუსიკოსები უმცროსი კოლეგებისთვის კონსერვატორიაში მასტერ-კლასებს გამართავენ.

თბილისში ორი იატაკქვეშა ჩამწერი სტუდია დაიხურა

ქართული პოლიცია აქტიურად ებრძვის ფალსიფიცირებული აუდიო და ვიდეოპროდუქციის მწარმოებლებს. შს სამინისტროს ინტელექტუალური საკუთრების მითვისებასთან ბრძოლის სამმართველოს უფროსის, გიორგი ერმაკოვის თქმით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში 11 ათასი აუდიო და ვიდეოკასეტაა ამოღებული.

გამოვლენილია რამდენიმე სტუდია, სადაც უკანონო აუდიო და ვიდეო პროდუქციას აწარმოებდნენ. იატაკქვეშა სტუდიებიდან, - "ექო" და "ბლუზბოქსი", ამოღებულია 118 მაგნიტაფონი და თანმხლები ჩასაწერი აპარატურა. ერმაკოვის თქმით, ქართული პოლიცია ძირითადად, არაკანონიერ ქართულ პროდუქციაზე მუშაობს. "კონტრაბანდული გზით შემოსულ პროდუქციასთან არავითარი კავშირი არ გვაქვს. ეს მებაჟეების პრობლემაა" – თქვა სამმართველოს უფროსმა ერმაკოვმა.

ბოლო დროს ქართულ მხარეს მიმართა ფონოგრამების მწარმოებელთა საერთაშორისო ფედერაციამ. მათი ინფორმაციით, საქართველოში როსტოვიდან კონტრაბანდული პროდუქცია შემოაქვთ. სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე დაიხურა სტუდიები "ექო" და "ბლუზბოქსი".

კასეტების იატაკქვეშა მწარმოებლებს კანონმდებლობით ემუქრებათ ჯარიმა ან 2 წლიანი პირობითი სასჯელი. რეციდივის შემთხვევაში კი 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. გიორგი ერმაკოვის თქმით, ამგვარი პრეცენდენტი საქართველოში არ ყოფილა, რადგანაც სასამართლოები მხოლოდ ჯარიმას სჯერდებიან.

კავკას-პრესი

ფანტასტებმა გიორგი დანელია "ლეგენდად" გამოაცხადეს

რუსი ფანტასტების VII კონგრესზე "მწირი" (странник), რომელიც სანკტ-პეტერბურგში ჩატარდა, პრემია "ფანტასტიკური კინემატოგრაფის ლეგენდა" გიორგი დანელიას მიანიჭეს.

ასეთი მოულოდნელი გადაწყვეტილების მიზეზი დანელიას საკულტო ფილმი "ქინ-ძა-ძა" გახდა. თვითონ ბატონი გიორგი ამ ჯილდოს იუმორით შეხვდა: "მე ბევრი ფანტასტიკური ფილმი გადავიღე – ამბობს რეჟისორი – მაგალითად "მივაბიჯებ მოსკოვში". ესეც ფანტასტიკაა, მაშინ ასეთი მოსკოვი ხომ არ არსებობდა...", რაც შეეხება "ქინ-ძა-ძას" - დანელიამ ყველაზე ფანტასტიკური საიდუმლო გაამხილა ამ ფილმის შექმნის ისტორიიდან: "იმ დროს "მოსფილმში" – იხსენებს რეჟისორი – "ბორის გოდუნოვს" იღებდნენ და ჩვენ კოსტიუმების შექმნის საშუალებაც კი არ გვქონდა. კოსტიუმებს გადაღების პროცესშივე, ყარაყუმის უდაბნოს 60 გრადუსიან სიცხეში ვიგონებდით. ახლოს აეროდრომი იყო, სადაც დაჟანგული ჯართის დიდი რაოდენობა ეყარა. ჩვენ ვიცოდით, რომ ამერიკულ ფილმებს, რომლებშიც რობოტებს და მსგავსს თანამედროვე ტექნიკას იყენებდნენ კონკურენციას ვერ გავუწევდით - აი ჟანგიან მასალაში კი სცადონ მათ ჩვენი დაწევა".

კალენდარი

8 ოქტომბერი

ლექსების წერა შვიდი წლიდან დაიწყო. წერდა ბოლომდე. ოღონდ, ლექსებთან ერთად, უკვე თხოვნით სავსე წერილებსაც. "გთხოვთ, მიმიღოთ ჭურჭლის მრეცხავად ლიტფონდის სასადილოში, რომელიც მალე უნდა გაიხსნას", - ეს წერილი ცვეტაევამ ლიტფონდის საბჭოს, 1941 წლის 26 აგვისტოს მისწერა. სასადილო შემოდგომამდე არ გახსნილა. სულიერად დაცემულმა და გაღატაკებულმა პოეტმა კი თავი 1941 წლის 31 აგვისტოს ჩამოიხრჩო, როცა შინ არავინ იყო.

სვამდა ყავას, ეწეოდა მაგარ სიგარეტს, ეხმარებოდა დამწყებ პოეტებს. ფანტასტიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის გარდა, არანაკლებ საინტერესოა ცვეტაევას პირადი წერილებიც. მანდელშტამი, რილკე, პასტერნაკი, ახმატოვა – ბარათებს ამ ადამიანებისადმი ცვეტაევა ისევე აღიქვამდა, როგორც პროზას. ის ჯერ "შავად" წერდა, დღიურის სახით. შემდეგ ნააზრევი ხან ნაწარმოებებში გადაჰქონდა, ხანაც პირადი წერილებისთვის იყენებდა.

შიმშილით დაღუპული პატარა ქალიშვილი, დაპატიმრებული ქმარ-შვილი, სიღატაკე, დევნა და ცენზურა, თუმცა, მეორეს მხრივ, სიყვარული, სიკეთის ნიჭი და რომანტიკა – აი, ის გარემო რაშიც ცვეტაევას ლიტერატურული სამყარო იშვა.

მარინა ცვეტაევა 1892 წლის 8 ოქტომბერს დაიბადა.

გაქვავებული ცა

ტულუზაში ქართველი მოქანდაკის გამოფენა გაიხსნა

დავით ანდრიაძე

ქართველი მოქანდაკე ჯემალ ბჟალავა უკვე ათი წელია, რაც საფრანგეთში ცხოვრობს. ამასობაში მან უკვე მოასწრო იქაური არტისტული პუბლიკის გულის მონადირება და არაერთი გამოფენითა თუ სივრცეში გამოტანილი ქანდაკებით (ოღონდ, არა ყბადაღებული "მონუმენტით") სამშობლოდან შორსაც მოიპოვა მაღალი შემოქმედებითი "მოსწრების" მქონე მოქანდაკის იმიჯი.

ჯემალ ბჟალავას ნამუშევრები

სექტემბრის ბოლოს ტულუზაში ჯემალ ბჟალავას მორიგი გამოფენა გაიხსნა, სადაც მან კვლავინდებურად მყარ მასალაში, კერძოდ ქვაში გამოკვეთილი ოპუსები წარმოადგინა.

ერთ დროს ეს მოქანდაკე სამშობლოში, კავკასიონის კლდეების გამოქანდაკებაზეც ოცნებობდა, მერე ოცნება ოცნებად დარჩა და ხელი მიჰყო კლდის ბუნებრივი ბლოკების მოთვინიერებას.

თანამედროვე რუსი პოეტის - ლეონიდ ვინოგრადოვის ერთ მინიმალისტურ პოეტურ ოპუსში იკითხება: "Небо наклонилось, льет, как из ведра".

გალაკტიონისეული ტირიფივით "სასაცილო" ცაა...

ვედროც ირონიულადაა პოეტიზირებული, ისიც "გადმოხრილია ზედმიწევნით, მსუბუქი და ირიბი"...

თითქოსდა, ამ "ვედროდან" გადმოღვრილ წყალს სვამს ჯემალ ბჟალავაც, წვიმის წყალს დალევს, მერე ცას ახედავს და... ცა კი, უკვე გაქვავებულია...

"Я вижу каменное небо" - ეს უკვე მანდელშტამია. მისეული ცა კი მიწაზე ეცემა, ოღონდ არკი ინგრევა.

არაერთგზის მეორდება ქვის დაცემა...

ქვა ბჟალავას სამყაროშიც არაერთხელ ჩამოვარდნილა.

ეს ქვაც სიმბოლოა, წარსულთან რომ ასოცირდება; და ეს არცაა შემთხვევითი. "ის, რაც იყო" - ასე უწოდებს ნიცშესეული ზარატუსტრა ქვას, რომელსაც აღარ ძალუძს და-რწევა.

ქვას ჩეხოვისეულ "ალუბლის ბაღშიც" წარსულად მოიაზრებენ.

ბჟალავასეული "ქვებიც" წარსულიდან მოდიან, წარსულიდან ეცემიან; მერე მოქანდაკე აქუჩებს ამ ქვებს და ადგილს მიუჩენს.

მას არასოდეს უთქვამს: ქანდაკება დავდგიო, უბრალოდ ამბობს - ქვა დავდეო...

"ქვის დადება" მონუმენტის აღმართვის საპირისპირო აქტია, მონუმენტისა, რომელიც ჩვენი უახლესი ტოტალიტარული წარსულის ოფიციალურ ხელოვნებაში მუდამ ატარებდა ქვაში გამოკვეთილი (თუ ბრინჯაოში ჩამოსხმული) სკანდალის ფორმას და პოტენციური დამხობისთვის იყო განწირული.

ბოლოს და ბოლოს, კერპი ადრე თუ გვიან უნდა დაემხოს. "დადებულ" ქვას კი, არავინ დაამხობს, ის უკვე დამხობილია; და ესაა ქვის, როგორც ქანდაკების თვითგადარჩენის ინსტინქტი.

ჯემალ ბჟალავასეული "პორტრეტებიდან", ანდა უფრო ზუსტად, თავებიდან გვიცქერიან დროში გარინდებული სახეები, ცოცხალ მითოსსა და ცოცხალ ისტორიას რომ აღბეჭდავენ. მათში ესოდენ საგრძნობია მიღმური ყოფიერების თვისებები: სიცივე, უძრაობა, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული, ანდა უბრალოდ - გაქვავებული მდგომარეობა. მოქანდაკის მიზანია, წაშალოს ყოველგვარი გრძნობად-რეალური სახიერება და ამით ქანდაკება მიუახლოვოს კოლოსს, რომელსაც არა აქვს არც თვალები და არც სახე, ანდა როგორც ესქილე იტყვის თავის "აგამემნონში", "ცარიელი თვალებით" წარმოგვიდგინოს იგი.

ძველბერძნული წარმოდგენებითაც ხომ, მიცვალებულსა და ჰადესს სახე არა აქვთ და სიკვდილიც, ხშირად ამის გამო აღიწერება, როგორც საკუთრივ სახის გაქრობა და მისი ნიღბით ანდა სიცარიელით აღნიშვნა.

აი, ასეთი, "ცარიელი თვალებით" იმზირებიან ჩვენი მოქანდაკის მიერ გამოკვეთილი ანტიკური პერსონაჟები. მათ უსახობაშია ჭეშმარიტი სახიერება!

ბჟალავა ყველა ღონეს ხმარობს, რათა გააუქმოს ობიექტის დროითობა, შეწყვიტოს მეტამორფოზის ციკლი, აღკვეთოს "ხსოვნის" მდინარება.

ასე აჯადოებს მოქანდაკე დროს და "ცარიელი თვალების" უპერსპექტივო მზერით ახალ, ზეისტორიულ სტატუსს ანიჭებს თავის ნახევრად მითოლოგიურ, ნახევრად ფოლკლორულ ობიექტებს.

არის რაღაც წარმართული, თუნდაც - "ანტიკური" ამგვარ პოზიციაში!

ასეა თუ ისე, ქვა მოქანდაკეში პოეტს აღვიძებს, და პირიქით - პოეტში მთვლემარე მოქანდაკეს უხელს თვალებს.

ძნელი სათქმელია, ტულუზაში როგორ "წაიკითხეს" ქართველი მოქანდაკის ნამუშევრები, თუმცა, რატომღაც მგონია, რომ იქაც დალიეს წვიმის წყალი და... ცას ახედეს...

ცა კი, გაქვავებული დაუხვდათ...

თბილისის მუსიკალური კვირა ორი რექვიემით აღინიშნა

ამ კვირას ქართველ მსმენელს თბილისში ორი რექვიემის მოსმენის საშუალება მიეცა. 5 ოქტომბერს ოპერის თეატრში ვერდის რექვიემი დასავლეთში მოღვაწე ქართველმა საოპერო ვარსკვლავებმა წარმოადგინეს, ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. გუშინ, სიმფონიური მუსიკის ცენტრში კი მოცარტის რექვიემი შესრულდა. თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა ამჯერად სახელმწიფო საგუნდო კაპელას, ბიჭუნათა გუნდსა და კონსერვატორიის სტუდენტ, სრულიად ახალგაზრდა სოლისტებს უმასპინძლა. ორი თავისთავად შესანიშნავი მუსიკალური მოვლენის შედარებამ ცხადჰყო, რომ სახელოვანი შემადგენლობა წარმატების ერთადერთი გზა არის.

მადი სერებრიაკოვა

ვერდის რექვიემმა, რომლისთვისაც თბილისში სპეციალურად პაატა ბურჭულაძე, მაყვალა ქასრაშვილი, თეა დემურიშვილი და ლაშა ნიქაბაძე ჩამოვიდნენ, საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ჟორებს, გაუგებრობებსა და საკმაოდ ძვირადღირებულ ბილეთებს არ შეუშლია ხელი, რომ დარბაზი ბოლომდე გაჭედილიყო მსმენელით. საქმე ზოგიერთი დამსწრის გულის წასვლამდეც კი მივიდა. მიუხედავად ყველაფრისა (პაუზების დროს მობილურების ხმაშეწყობილი წკრიალის, გაუთავებელი ჩოჩქოლისა და უადგილოდ წამოსროლილი ოვაციებისა) რექვიემი მაინც წარმატებით დასრულდა. უმაღლესი კლასის ოსტატებმა (პაატა ბურჭულაძემ და მაყვალა ქასრაშვილმა) შესაფარისად წარმართეს საკუთარი პარტიები. ვარსკვლავ პარტნიორებთან ერთად არაჩვეულებრივად წარსდგა მეცო-სოპრანო თეა დემურიშვილი, რომელმაც გარდა ბრწყინვალე ვოკალური შესაძლებლობისა, სასიმღერო ოსტატობითაც გამოიჩინა თავი. ძალზე ლამაზი ხმით მოხიბლა მსმენელი ლაშა ნიქაბაძემაც. ერთადერთი პრობლემა არასრულფასოვანი ანსამბლი იყო. რამდენადაც კარგად ჟღერდა სოლისტების სოლო ეპიზოდები, იმდენად შეუფერებელი იყო მათი რანგის მუსიკოსებისათვის შეუწყობელი ანსამბლები. შესაძლოა, ამის გამართლება ვარსკვლავების მოუცლელობითა და ვერშემდგარი რეპეტიციებით ვცადოთ.

საწინააღმდეგო შეიძლება ითქვას გუშინ "შემოდგომის თბილისზე" წარმოდგენილი მოცარტის რექვიემის შესახებ. ბრწყინვლე სახელებით იგი ვერ დაიკვეხნის: სოლისტები ძირითადად ახალგაზრდა, გამოუცდელი მუსიკოსები იყვნენ: თეა დანელია და ქეთევან ქემოკლიძე კონსერვატორიის სტუდენტები არიან. გია მახარაძე უკვე ოპერის სოლისტია (თუმცა ისიც ჯერ-ჯერობით სტუდენტია), ხოლო გოჩა დათუსანი სწავლას ზალცბურგის მუსიკალურ აკადემიაში ("მოცარტეუმში") აგრძელებს.

მიუხედავად ამისა, ანსამბლისა და საერთო განწყობის თვალსაზრისით მოცარტის რექვიემის გუშინდელი შესრულება, ძალზედ მაღალ შეფასებას იმსახურებს. თავისთავად საინტერესო სოლისტთა შემადგენლობამ თავი არა მხოლოდ სოლო ეპიზოდებით, არამედ შეწყობილი ანსამბლითაც გამოიჩინა. არცთუ ურიგოდ ჟღერდა კაპელაც, თუმცა "კარმინა ბურანას" შემდეგ მათგან უფრო მეტს მოველოდით.

აღსანიშნავია თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის ბიჭუნათა გუნდის გამოსვლაც. აღნიშნულ სოლისტებთან ერთად, მათ გუშინ მოცარტისავე Missa brevis შეასრულეს (ეს ნაწარმოები პირველად შესრულდა ჩვენში). საერთო ჯამში, რექვიემშიც და Missa brevis-შიც შესანიშნავად იყო დაცული სტილი და ხასიათი. გუშინდელმა კონცერტმა გარკვეულწილად შეამზადა ნიადაგი "შემოდგომის თბილისის" ტრიუმფალური ფინალისათვის. ვერდის "მაკბეტის" ფრაგმენტებს საკონცერტო შესრულებით, დასავლეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი ბარიტონი – ლადო ათანელი შეასრულებს (თბილისის ოპერის სოლისტ ირმა ბერძენიშვილთან ერთად), რომელიც თბილისს ა.შ.შ-ში პლასიდო დომინგოსთან ერთად გამართული საკონცერტო ტურნედან დაუბრუნდება.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დელეგაციები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით გარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ემიგრანტები

„საქართველოსთან იდეალისტური დამოკიდებულება აღარ მაქვს„

სულ ცოტა ხნის წინ საქართველო დატოვა გერმანელმა კინოდოკუმენტალისტმა შტეფან ტოლცმა. გამგზავრების წინ საქართველოში ათწლიანი მოღვაწეობის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ, რაზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა და გულწრფელად მოგვითხრო ჩვენივე ქვეყნისა და ხალხის შესახებ. ეს არის უცხოელის თვალით დანახული ქართული ყოფა და ხასიათი.

კინოსთვის აუცილებელია მრავალ ადამიანთან ურთიერთობა და ბევრი ადგილის მონახულება. შტეფანისთვის პირველი სასწავლებელი მიუნხენის ტელე-კინო ინსტიტუტი, ხოლო შემდეგ თბილისის თეატრალური ინსტიტუტი იყო და მისი საქართველოსთან ურთიერთობაც აქედან იწყება.

"როდესაც პირველად ჩამოვედი, არც კი ვიცოდი, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ამ დროის განმავლობაში მე უამრავი ნაცნობი გავიჩინე და მათი გაუსაძლისი ყოფაც გავიზიარე. ეს ის დრო იყო, როდესაც თავისუფლების ცნება ვითარდებოდა. კარგად მახსოვს მოსკოვის პუტჩის დღეები და კინოსტუდიაში შეკრებილი ხალხი. ისინი მეუბნებოდნენ, რომ გერმანიაში დავბრუნებულიყავი. ყველგან უიმედობა იყო გამეფებული", - იხსენებს შტეფან ტოლცი.

სამოქალაქო ომის მთელმა სიმძიმემ, თავისთავად, დიდი გავლენა იქონია მასზე. საქართველოში ტოლცის შემდგომი მოღვაწეობა ამ ფაქტმაც განაპირობა. საარსებო წყაროზე ზრუნვამ, გერმანული პირველი არხისთვის, პატარ-პატარა ნარკვევების კეთებაც დააწყებინა. თავდაპირველად გადაცემები გამსახურდიას, კიტოვანის, სიგუასა და სხვების ინტერვიუებით შემოიფარგლა, შემდეგ კი მოკლემეტრაჟიანი ფილმების გადაღებასაც მიჰყო ხელი.

"ამ დროის განმავლობაში ძალზე ახლოს განვიცადე ყველაფერი. ამ შემთხვევაში ეროვნებას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ზღვარი ქართველსა და გერმანელს შორის ნელ-ნელა გაჰქრა. როდესაც უბედურება ხდება, მნიშვნელობა არა აქვს, რა ეროვნებას განეკუთვნები. აფხაზეთის ომში, ქართველებთან ერთად, მეც დავკარგე ახლობლები. ჩემი აქ დარჩენა ამითაც იყო განპირობებული. ამასთან, გერმანიაში პერიოდულად ყოფნისას, საქართველოზე საშინელი ამბები მესმოდა და მიმაჩნდა, რომ აქ უნდა ვყოფილიყავი.

ჩემიანები გერმანიაში დაბრუნებას მირჩევდნენ, ჩემს მაგივრად კი ამას ბევრი ქართველი აკეთებდა. ისინი, ქვეყნის უბედურებას გაქცეულები, ათასგვარი მაქინაციებით ირჩენდნენ თავს. გერმანიაში მეტწილად ანტიკვარის გასაყიდად, ავტომობილის იაფად ყიდვისა და როგორმე ვინმესთან ოჯახში მუდმივი საცხოვრებლის საშოვნად ჩადიოდნენ. მათ არ ჰქონდათ ფული, მაგრამ სიმდიდრეზე ოცნებობდნენ. თუმცა, რა გზით - ამაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. მუდამ გრანდიოზული გეგმებით ჩამოდიოდნენ, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, არაფერი გამოსდიოდათ.

საქართველოსთან იდეალისტური დამოკიდებულება აღარ მაქვს. მე აღარ ვარ გერმანელი იდეალისტი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო გერმანიასავით მიყვარს, არ მგონია, რომ ახლა დიდი ენთუზიაზმით ვიცხოვრებდი საქართველოში.

- ამ ხნის განმავლობაში,ალბათ, ჩამოგიყალიბდებოდათ ქართული ხასიათის შესახებ მკაფიო შეხედულებები.

- უპირველესად მინდა აღვნიშნო, რომ ქართველები ძალზე თავშეკავებულები და შეზღუდულები არიან. ძალზე განიცდიან, რას ფიქრობენ მათ შესახებ. ყველას ეჭვის თვალითა და უნდობლობით უყურებენ. მათთვის მთავარია, საზოგადოებაში როგორ გამოიყურებიან ე.ი. მხოლოდ გარეგნული მხარე ადარდებთ. ამიტომაცაა, რომ ერთმანეთს თითოეულ ნაბიჯს უზომავენ და თითოეული სიტყვაც აწონილი აქვთ. ეს მარტო საქართველოში კი არა, აზერბაიჯანშიც ასეა. სწორედ ეს მიშლის თავისუფლად ყოფნაში ხელს. ასეთი ურთიერთობები ძალიან მაბრკოლებს და მზღუდავს. ჩვენთვის ეს ძალიან გაუგებარია, რადგან გერმანიაში ურთიერთობები მკაფიო და გასაგებია. აქ დროის ფასიც არავინ იცის. მე კი დროის კატასტროფულ ნაკლებობას განვიცდი და ასეთი დამოკიდებულება ვერ წარმომიდგენია.

აქ ის მომეწონა, რომ მიუხედავად ნგრევისა და უბედურებებისა, აქაურებს მაინც შენარჩუნებული აქვთ ოპტიმისტური განწყობა და ყველაფერს ხალისით უყურებენ. ალბათ, ესეც კარგი თვისებაა, რაც სხვა ერებს არ გააჩნიათ. ეს ნამდვილი სიმდიდრეა.

- თქვენი ბოლო ფილმის გმირები - სვანები, უსინათლოები, აზერბაიჯანელი მენავთობეები თუ დაღესტნელი ისლამისტები ერთ კონტექსტში გყავთ მოაზრებული. რა აკავშირებთ მათ ერთმანეთთან?

- ჩემთვის გადამწყვეტი იყო, რომ თითოეულს საკუთარი სადარდებელი ჰქონდა. ასეთი პრობლემები მხოლოდ კავკასიაში კი არა, გარდამავალ პერიოდის ყველა ყოფილ საბჭოთა ქვეყანაშია. თითოეულმა ადამიანმა რაღაც დაკარგა: ვინ თვალის ჩინი, ზოგმა მშობლიური ოჯახი. როდესაც მათ ეკრანზე ვუცქერთ, მაყურებელს აზრადაც არ მოსდის, რომ ეს ადამიანები გაცილებით უარესად არიან, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. არ მინდოდა, მათზე მხოლოდ მშრალი ინფორმაცია მიგვეღო. მინდოდა, მათგან რაიმე კარგიც გვესწავლა. ამიტომ ფილმში ეროვნებაზე არ იყო აქცენტი.

მაგალითად, გერმანელებისთვის საინტერესო იქნება სვანური ოჯახის ურთიერთობა: საუბარი მკაცრი სუბორდინაციის დაცვით, აგრეთვე მათი საუბრის ფორმა და შინაარსი. მაგრამ, ამ ოთხ ტიპს შორის განსხვავებაა. ქართველს კავკასიაში მაინც გაბატონებული მდგომარეობა უკავია. განათლებითა და კულტურითაც განსხვავდებით სხვა კავკასიური ეთნოსებისაგან.

ბოლოს კი ერთ რამეზეც მწყდება გული - ჩემს აქ ყოფნაში ბევრი რამ დაინგრა და ბევრიც დასანგრევადაა განწირული. ძალიან ძნელი წარმოსადგენია, საბოლოოდ რა ბედი ეწევა საქართველოს.

შტეფან ტოლცი — ლევან ხერხეულიძის ფოტო

მზერა

„საქართველოში მზად არიან, ერთმანეთი ლეგენდებით კვებონ„

ლაშა ბაქრაძის აზრით, ქართველებს უცხოეთშიც არავინ ელის

ქართველები უცხოეთში დღეს სიახლეს აღარ წარმოადგენენ. იყო დრო, საზღვარგარეთ მოხვედრა დიდ პრობლემას უკავშირდებოდა. მაგრამ გამონაკლისებიც ხდებოდა.ისეთებიც არსებობდნენ, ვინც საბჭოთა პერიოდშიც ახერხებდა, ოდნავ მაინც შეევლო თვალი ევროპისთვის. ერთ-ერთი ასეთი იყო ახალგაზრდა მეცნიერი, ლაშა ბაქრაძე. მიუხედავად იმისა, რომ იგი დღესაც გარკვეულ დროს გერმანიაში ატარებს, მაინც ნუ შეიქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ლაშა იქ დამკვიდრდა და სამშობლოში იშვიათად ჩამოდის. თავდაპირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ-ევროპული ენების ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა, ხოლო შემდეგ იენისა და თბილისის უნივერსიტეტების დაახლოების წყალობითა და საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტროს ხელშეწყობით, მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა, მაინც მოხვდა გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად წამსვლელ სტუდენტთა მცირე კონტიგენტში და იენის უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა.

- გასაგებია, იმ დროს რითაც აიხსნებოდა საბჭოთა სტუდენტების სიმცირე საზღვარგარეთ, მაგრამ დღეს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და ევროპას ჭარბი კონტიგენტი მიაწყდა. ამ მხრივ რა მდგომარეობაა გერმანიაში?

- მაშინ ცოტანი მოხვდნენ გერმანიაში სასწავლებლად. სასიხარულოა, რომ დღეს ასეთი ბარიერების გადალახვა აღარ გვიწევს და იქ სასწავლებლად მოხვედრა ადვილია, სამომავლოდ - კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდება. მართალია, დღეს აღარ არსებობს საბჭოთა შემაფერხებელი ბერკეტები, მაგრამ ვიზებთან დაკავშირებით მრავალი პრობლემა იქმნება. საელჩოები წამსვლელებისაგან ითხოვენ მყარ საფინანსო გარანტიას. მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც ახერხებს წასვლას. ის ფაქტი, რომ ქართველები იქ იღებენ განათლებას, ძალიან კარგი და მისასალმებელია. თუმცა, ძალზე ბევრი ახალგაზრდაა, ვინც თითქოს სასწავლებლად ან სამუშაოდ არის წასული, მაგრამ სინამდვილეში სხვა საქმიანობითაა დაკავებული.

გერმანულ გაზეთებში საქართველოს შესახებ, ოფიციალური პოლიტიკური და ეკონომიკური სტატიების გარდა, ძალიან ხშირად ნახავთ კრიმინალურ ქრონიკას იქ "მოღვაწე" ქართველი პერსონაჟებით. გერმანიასა და საფრანგეთში ქართველების სიმცირის მიუხედავად, კრიმინალური ენერგია, ეტყობა, ძალზე მოჭარბებულია. ეს არ არის დიდი, ორგანიზებული კრიმინალი. ძირითადად, ქურდბაცაცობა ან პატარ-პატარა ძარცვის შემთხვევებია. ხშირია ლტოლვილთა თავშესაფრებში საქმის გარჩევები, რაც ხშირად ჩხუბითა და მკვლელობითაც კი სრულდება.

შემხვედრიან ქართველები, რომლებსაც ძალიან უჭირთ. ისინი სხვადასხვა მაქინაციებით მოხვედრილან ამ ქვეყანაში, მაგრამ ვერა და ვერ შეერწყნენ გერმანულ წყობას. მათ ჯერ კიდევ არა აქვთ პოლიტიკური თავშესაფარი, არც არავინ აძლევს მოქალაქეობას. არადა, დღემდე ელიან. მათი უმრავლესობა საქართველოში არსებული ე.წ. საზღვარგარეთ დასაქმების ფირმების მეშვეობით არის იქ მოხვედრილი. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ ევროპაში, თითქმის, შეუძლებელია სამუშაოს პოვნა, რაღაც განსაკუთრებული სპეციალობის ან მაღალი კვალიფიკაციის გარეშე. უბრალოდ, საქართველოში უმეტესობამ ეს არ იცის. ამის შედეგია, რომ ეს ადამიანები ხშირად ნამდვილ მონურ სამუშაოზე ხვდებიან.

ლაშა ბაქრაძე — მარიკა ამერველაგვილის ფოტო

> *როდესაც თითოეული ადამიანი მიხვდება, რომ სწორედ მასზეა დამოკიდებული ცხოვრების დონის ამაღლება, მხოლოდ მაშინ გამოსწორდება ჩვენში მდგომარეობა.*

თანამედროვე მონობის საკითხი კი, საერთოდ, ძალიან რთული და აქტუალური პრობლემაა მთელ მსოფლიოში. მილიონობით ადამიანი სხვადასხვა ქვეყნებიდან მიედინება მდიდარ ქვეყნებში სამუშოსა და კარგი ცხოვრების ძიებაში. არსებობს უზარმაზარი ორგანიზაციები, რომლებიც ამ ადამიანებს ყიდიან და პროცესიც შუასაუკუნეების დროინდელ მონათა ვაჭრობას ემსგავსება. სიმართლე რომ ითქვას, მათ შორის განსხვავებაც აღარ არსებობს. აბსოლუტურად უუფლებონი არიან ისინი, ვინც ამ მახეში ებმება. ხშირია, როდესაც პასპორტსაც ართმევენ და ამრიგად ისინი არალეგარულებიც ხდებიან.ამის მერე ეს ადამიანები მთლიანად დამოკიდებულები არიან გაურკვეველ პიროვნებებზე, მათ შორის ბევრ ქართველზეც. გასაგებია, რომ ეს გაჭირვებითაა გამოწვეული, მათ უკან ხომ საქართველოში დარჩენილი ოჯახებია,რომელთა სარჩენად ყოველ ღონეს ხმარობენ. მაგრამ უცხოეთში მათ ოცნებას განხორციელება არ უწერია.

- რა აიძულებს აქედან ჩასულებს, ხელი მოჰკიდონ ძარცვას, ნარკოტიკებს? როგორია მათი ადაპტაციის პროცესი?

- ბევრი ქართველი, ალბათ, მაინც ფიქრობს, რომ საზღვრის გარეთ უამრავი გულუბრყვილო ადამიანი ცხოვრობს და მათი მოტყუება ადვილია. მაგრამ, იცით რა ხდება? იქ სამართლებრივი სახელმწიფოა და ადამიანებს მეტი ყურადღებით ეკიდებიან. ამ სტუმართმოყვარეობით, რა თქმა უნდა, მარტო ქართველი არ სარგებლობს ბოროტად. თურქები, ალბანელები და ალჟირელებიც არ აკლებენ ხელს. თავისთავად, ამ კეთილმოწყობილი და წყნარი ევროპისთვის ეს უკვე დიდი პრობლემაა. ეკონომიკური თუ მატერიალური კეთილდღეობის გამო, ევროპის ქვეყნებს მიზიდულობის დიდი ძალა აქვთ. მაგრამ, ამხელა მასის გასაძღომად რესურსები მათაც აღარ აქვთ. შესაძლებელია, რომ ეს პროცესი თვით ევროპელების ბრალიც იყოს. მათ ვერ შეძლეს საკუთარი კოლონიები დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ სტაბილურ მდგომარეობაში დაეტოვებინათ. ამ შეცდომას ახლა ხვდებიან, თუმცა პრობლემას ეს ვერ შველის.

მომავალში კიდევ უფრო რომ გაძნელდება ღარიბი ქვეყნებიდან განვითარებულ ევროპაში მოხვედრა, ესეც ფაქტია. ოღონდ ეს მასა უკვე აღარავის სჭირდება (მითუმეტეს, თავისივე ქვეყნებში, საიდანაც გარბიან) და ამიტომაც არიან გადასულები კრიმინალზე, ამით ირჩენენ თავს. მათ შორის არიან ქართველებიც. ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა დღევანდელი ევროპისთვის. ისინი ვერ ჩაიკეტებიან საბჭოთა კავშირივით. არადა, ამხელა ურდოების მიღებაც არ სურთ.

საბოლოოდ, ეს ფაქტიც კონფრონტაციას იწვევს.ეს, ნაწილობრივ, სექტემბრის ტერაქტითაც გამოვლინდა. რაც მაშინ მოხდა, იმ მომავლის მაჩვენებელია, რომელიც შეიძლება ჩვენ გველოდეს. დასავლეთის კულტურა უკვე შეუფერხებლად შედის ყველგან. წინათ ამის საშუალება არ არსებობდა. მსოფლიოს ნებისმიერ ბნელ წერტილში ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა, ყველაფერი ნახოს და გაიგოს. ეს პროცესი ამ ხალხებში გაღიზიანებას იწვევს. არაბული კულტურაც კი, რომელიც საუკუნეებს ითვლის, ვერ უძლებს ცივილიზაციის ამ წნეხს და ადამიანებში იწვევს ისეთ შინაგან წინააღმდეგობას, რომელიც, შეიძლება, სექტემბერში მომხდარი ტერორისტული აქტით გამომჟღავნდეს.

- ხალხის გარდა, ქვეყნიდან ე.წ. კულტურული პოტენციალიც ხომ გაედინება. მე მგონია, რომ ისინი იქ დიდი იმედებით ჩადიან, მათ მიაჩნიათ, რომ მათთვის ყველა კარი ღიაა - საკმარისია, ევროპულ მიწაზე მხოლოდ ფეხი დადგან და ყველაფერი მაშინვე მოგვარდება.

- რასაკვირველია, კარგი გამონაკლისებიც არის. თითო-ოროლა ადამიანი თუ ახერხებს, ოდნავ მაინც მიაღწიოს თავისას. აქ იმედები ახსენეთ. მინდა, ეს იმედები ბევრს გავუცრუო და განვაცხადო, რომ ევროპაში მათ არავინ ელოდებათ. აქ თავიანთი პრობლემებიც ძალზე ბევრი აქვთ და რაც მთავარია, საკუთარი ხელოვანებიც მრავლად ჰყავთ, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში ხშირად ვერ აღწევენ წარმატებას. მაგრამ, გარკვეულწილად, რამდენიმე ქართველმა მაინც შეძლო დამკვიდრება, როგორც ფრანგულ კინოში ისე გერმანულ სცენაზე. ვგულისხმობ მერაბ ნინიძესა და რეზო ჩხიკვიშვილს. ბოლო უფროსი თაობიდან კი - ოთარ იოსელიანისა და გია ყანჩელს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს ის მცირე გამონაკლისია, ვისაც უცხოეთში გაუმართლა.

- ნორმალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება და მისი მართვა ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ეს არის მთელი რიგი კანონების მიღება, კონსტიტუციის მუხლების შემუშავება და რაც მთავარია, მათი დაცვა; კორუფციასთან ბრძოლა და სტაბილურობის შენარჩუნება; სასამართლო თუ მორალური ღირებულებების დაცვა. ეს ყველაფერი ძალზე ძნელად განსახორციელებელია და ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საქართველოსთვის და ქართველებისთვის ეს ძალიან დიდი ტვირთია?

- თუ საქართველო ვერ გაუძლებს, მაშინ სახელმწიფოდაც ვერასდროს ჩამოყალიბდება. მაგრამ ქართველებს ერთი ცუდი სენი სჭირთ - ჰგონიათ, რომ მათ არაფერი არ მოეკითხებათ, ეს მათი პრობლემა არ არის. რასაკვირველია, ძალიან ხშირია და საჭიროც არის ხელისუფლების კრიტიკა, მაგრამ მარტო ხელისუფლების კრიტიკით ვერ შემოიფარგლები. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა აკეთოს რაიმე კარგი, თუნდაც გარშემომყოფთათვის. მაგალითად, ძალზე ელემენტარულია ის, რომ სადარბაზოში ნაგავი არ დაყარო. შეიძლება, ეს ძალზე მარტივ მაგალითად მოგეჩვენოთ, მაგრამ როდესაც თითოეული ადამიანი მიხვდება, რომ სწორედ მასზეა დამოკიდებული ცხოვრების დონის ამაღლება, მხოლოდ მაშინ გამოსწორდება ჩვენში მდგომარეობა. საქართველოში რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა არსებობს და ქვეყანა უკვე ხალხისა და საზოგადოების სამართავია, ქართველებს ეს ჯერჯერობით შეგნებული და გააზრებული არ აქვთ. ამის გამოა,რომ ჩვენი ქვეყნის ბედი არასაიმედოა.

- შესაძლებელია, ამ ყველაფერს ღრმა ფესვები ჰქონდეს. ვგულისხმობ მუდმივ უპრინციპობასა და პრაგმატულობას. ჩვენ კარგად გვახსოვს საქართველოში არნახული რუსოფილია. ქვეყანა იმ დროს რუსული იარაღისა და სპორტსმენთა სიძლიერით ამაყობდა. დღეს სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. რუსულიდან ამერიკულ ყაიდაზე შესაშური სისწრაფით გადავერთეთ. დღეს ხშირად გაიგონებთ, რომ ეკონომიკას ამერიკა ააღორძინებს, ფინანსებიც მათი ხელით მოგვარდება, კონფლიქტებშიც საზღვაო ქვეითები მიიღებენ მონაწილეობას ე.ი ყველაფერი სხვისი -ამერიკელების ხელით უნდათ მოაგვარონ. ასეთი პოლიტიკა არასრულფასოვნების კომპლექსს აჩენს და პატრონყმულ ურთიერთობას ემსგავსება. ავიღოთ, თუნდაც, ბოლო მაგალითი. პუტინის ულტიმატუმს რაიმე თვითმყოფადი, ერთიანი სულისკვეთება კი არ დაუპირისპირეს, არამედ ბუშის გამოგზავნილი რეზოლუცია, რითაც თავს იწონებენ და უხარიათ კიდეც.

- ეს მოვლენა არც პროამერიკულობით და არც ამერიკანიზმით არ აიხსნება. ეს არის შეშინებული, უნიათო ადამიანის კლასიკური მაგალითი. ჩემი აზრით, საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ქვეყანას მაინც არაფრის თავი არა აქვს და თუ ვინმე არ დაგვეხმარება, არაფერი გვეშველება.

არავინ ჩვენ არ დაგვეხმარება. არც ამერიკაა ჩვენი პატრონი და არც მსოფლიოს ნებისმიერი სხვა ქვეყანა. საქართველოში, სამწუხაროდ, ეს სახელმწიფო პოლიტიკაა – ყოველთვის ვიღაცის იმედზე ყოფნა.შესაბამისად, ხალხიც ასეა განწყობილი და ტოტალური უიმედობის კომპლექსიც აქედან მოდის. ქართულ ხასიათს საუკუნოვანმა კოლონიზაციამაც დაასვა თავისი დაღი. ალბათ, ამის გამოვლინებაა დღემდე გამეფებული განწყობა - "ვინც გვაჭმევს, ჩვენი პატრონიც ის იქნება". ჩვენ ჯარს ვერ შევქმნით, სამაგიეროდ, ამერიკელები თავის სისხლის ფასად დაგვიბრუნებენ აფხაზეთს. რასაკვირველია, ეს არ მოხდება, რადგან ეს ისეთივე ილუზიაა, როგორც, თითქოს, ნავთობსადენი იყოს ჩვენი ბედნიერების მომტანი.

სასაცილოდ მეჩვენება ეს მოსაზრება, რადგან, წესით,იმ ქვეყანაში სადაც ნავთობი მოედინება, ჩვენზე გაცილებით უკეთ უნდა ცხოვრობდნენ,არადა ასე არ ხდება. ნავთობი ერთ სახელმწიფოზე გადის, ხოლო მეორეში მოიპოვებენ. ილუზიაა იმის ფიქრი, რომ ჩვენ უფრო უკეთესი ცხოვრება გვექნება, ვიდრე იმ ქვეყანას, სადაც ეს ნავთობი მოიპოვება. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ საქართველო ჯერ კიდევ არ არის დამოუკიდებლად სამართავი ქვეყანა. მაგალითად, დაუჯერებელია, რომ ჩვენთან ვერასგზით ვერ იშოვნი საქართველოს სახელმწიფო დროშას. მოვიძიე, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში ეროვნული სიმბოლიკისადმი არანაირი პატივისცემა არ არსებობს. ამ სიმბოლიკის უკან ჩვენი აზროვნებაც დგას. ეს სახელმწიფოს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მაჩვენებელია. ასეთივე განწყობაა შეიარაღებული ძალების მიმართაც. ეროვნულ ფორმირებებზე ისეთივე შეხედულებები არსებობს, როგორიც საბჭოთა არმიის მიმართ არსებობდა. თითქოს, ჩვენი ჯარი სხვა სახელმწიფოსი იყოს. რა თქმა უნდა, არმიაში განვევას თვით უსახური სამხედრო სისტემაც უწყობს ხელს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ საქართველოში შეიარაღებული ძალებისადმი პატივისცემა და სიყვარული არ არის. ვფიქრობ, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია. რადგანაც თუ შეიარაღებულ ძალებს ხალხის სიყვარული და თანადგომა ექნება, ამ თანადგომით ზურგგამაგრებული უკეთ იბრძოლებს - ისევე, როგორც ჩეჩნები. მათგან გადმოსაღები ბევრი გვაქვს.

> *ნავთობი ერთ სახელმწიფოზე გადის, ხოლო მეორეში მოიპოვებენ. ილუზიაა იმის ფიქრი, რომ ჩვენ უფრო უკეთესი ცხოვრება გვექნება, ვიდრე იმ ქვეყანას, სადაც ეს ნავთობი მოიპოვება.*

- მიმდინარეობს რუსეთ - საქართველოს კონფლიქტი. საშიშროება მხოლოდ ის არაა, რომ რამდენიმე მილიონი რუსი ჯარისკაცი დაგვატყდება თავს (თუმცა, არც ესაა გამორიცხული), არამედ რუსეთი საქართველოში მრავალ სადესტაბილიზაციო კერას ფლობს. თვალსაჩინოებისთვის სამაჩაბლოსა და აფხაზეთიც კმარა. ასევე არსებობს საშიშროება პანკისსა და, რაც მართლაც ძალზე საშიშია, მესხეთ - ჯავახეთში. რუსეთი მიუხედავად ყველაფრისა, მრავალ წინააღმდეგობრივ ბერკეტს ფლობს. გასაგებია, რომ არსებობს დასავლეთის, განსაკუთრებით შეერთებული შტატების, მხარდაჭერა, მაგრამ ამ შემთხვევაში რამდენად კონკურენტუნარიანია ამერიკა ამ კონფლიქტებში?

- კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ არც ერთი ამერიკელი თავს არ მოიკლავს, თუ არ დაინახა კონფლიქტის მოგვარებაში ჩაბმული სრულიად საქართველო, მთელი თავისი ხალხითა და რესურსებით. მართალია, რუსეთი საკონფლიქტო კერებს ფლობს, მაგრამ ამ კერების აღმოსაფხვრელად ჩვენ არაფერს არ ვაკეთებთ. არაფერი კეთდება საიმისოდ, რომ არაქართველებით დასახლებულ რეგიონებში, სახელმწიფომ იქაურებს თავი მოიქალაქეებად აგრძნობინოს და ყველანაირი პირობა შეუქმნას მათ. ამ პრობლემის მოსაგვარებლად კი არანაირი სახელმწიფო პოლიტიკა არ არსებობს. ათი წლის განმავლობაში ვერ შეიქმნა ელემენტარული სახელმძღვანელო ქართულ ენაზე იმ ადამიანებისთვის, ვინც ოდნავ მაინც დაინტერესებულია ქართულით. ამით კი ჩვენ, სამწუხაროდ, შეგნებულად ხელს ვუწყობთ რუსეთის პოლიტიკას.

დღეს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტზე მსჯელობა მიმდინარეობს. მინდა განვაცხადო, რომ ეს ომი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან გაჩაღდა. საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი რუსეთს აქვს დაკავებული. ეს იმ ანექსიის შედეგია, რომელიც 90-იანი წლებიდან დაიწყო და ბოლო აღარ უჩანს. აუცილებელი არაა, რომ საომარი მდგომარეობა თბილისის დაბომბვით ცხადდებოდეს. ცხინვალიც (რომელიც დავიწყებას მიეცა) და აფხაზეთიც - საქართველოა. თუმცა, ამ მხრივ თბილისიც არ არის დაცული.

- ალბათ, სიტუაციას ისიც ართულებს, რომ არ არსებობს ამ კონფლიქტის მიმართ სერიოზული მიდგომა და დამოკიდებულობა. ხშირად გაიგონებთ, რომ რუსეთი სულს ღაფავს, მისი არმია აღარ არსებობს, მისი ბიუჯეტი ნულზეა დასული და ამას ისეთი თავდაჯერებით ამბობენ, თითქოს რუსეთს ორი კვირაღა დარჩენოდეს საარსებოდ. მართალია, რუსეთის სახელმწიფო ვეღარასდროს დაუპირისპირდება ამერიკას, ის ევროპისთვის საშიშროებას ვერ შექმნის, მაგრამ ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, იგი ყოველთვის გამონახავს შესაბამის ძალას, რაც, პრინციპში, სახეზე გვაქვს. მიმაჩნია, რომ ასეთი შეხედულებებით საქმე გვაქვს ან შეგნებულ პროვოკაციასთან ან უნიჭო პოლიტოლოგიასთან - ერთიც და მეორეც დამღუპველია საქართველოსთვის, რადგან ამით ისევ ის ილუზიური სიტუაცია იქმნება, რასაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით ნებისმიერ დარგში. ეს კი, საბოლოოდ, საქართველოს უძრაობა-უნიათობისკენ უბიძგებს.

- გეთანხმებით, რომ ასე თუ გაგრძელდა, ჩვენ აუცილებლად დავიღუპეპით. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ საქართველოს იმიჯი საზღვარგარეთ უფრო გადაჭარბებულია, ვიდრე სინამდვილეშია. დღემდე ძალიან ბევრმა არ იცის საქართველოს არსებობის შესახებ. ერთის მხრივ, აქ მართლაც არსებობს დიდი რუსეთისა და ასევე აქაური ეროვნული უმცირესობების მიმართ შიში. ამ შიშის საპირისპიროდ კი მრავალი ლეგენდა

გაგრძელება B5 გვერდზე

სტუმარი

საქართველო ორი ცივილიზაციის მიჯნაზე

ქალბატონი შერონ ჰადსონ-დინი უკვე ორი წელია, რაც საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს კულტურისა და პრესის ატაშედ მუშაობს. ჰყავს მეუღლე, ამავე საელჩოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განყოფილების ხელმძღვანელი და პატარა ვაჟიშვილი, რომელიც ქართულ ბაღში დადის. ქალბატონ ჰადსონ-დინის განმარტებით, მისი ბიჭუნა ქართულად საკმაოდ კარგად ლაპარაკობს.
აქ დანიშვნამდე მოსკოვში აშშ-ს საელჩოში მუშაობდა, სადაც ახალგაზრდების განათლების გაცვლით პროგრამას ხელმძღვანელობდა. საქართველოში კი იგი მასწავლებლებს, ხელოვნების მუშაკებს, სტუდენტებს, უბრალო ხალხს ხვდება და საქმისადმი უკეთ მიდგომასა თუ პროფესიონალად ჩამოყალიბებაში ეხმარება.

დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში იმყოფებით, მაგრამ, ალბათ, მაინც ჩამოგიყალიბდათ შეხედულება ქართველებზე, მათ კულტურაზე.

რაც მხიბლავს, ეს არის ქართველების გახსნილი ბუნება. მათთან ადვილია კონტაქტი და ნებისმიერ თემაზე საუბარი. ეს ძალიან სასიამოვნოა. ურთიერთობა მარტო კომპიუტერით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. ქართველები შემოქმედებითი ხალხია. მათ ყოველთვის აქვთ ამოუწურავი, გრანდიოზული გეგმები. მე კი ხშირად მიწევს, ამ გიგანტური

შერონ ჰადსონ-დინი მარიკა ამერველაგვილის ფოტო

იდეებიდან ყურადღება უფრო კონკრეტულზე გადავატანინო და უფრო ადვილად განსახორციელებელი თუ ხელმისაწვდომი პროექტები შევთავაზო. ამ მხრივ ამერიკელები ქართველებისგან ძალზე განვსხვავდებით, რადგან ჩვენ პრაქტიკული ერი ვართ. ჩვენი აზროვნებაც სხვაგვარადაა მოწყობილი. თუ გსურს, რომ რაიმე გააკეთო და კარგად გამოვიდეს, ყველაფერს დეტალურად შესწავლა და რაციონალური გამოყენება უნდა. ჩვენი წარმატებაც ამის დამსახურებაა.ამ ორი წლის განმავლობაში ქართველებთან ერთად მრავალი კონკრეტული პროექტი განვახორციელეთ, საქმესთან სწორედ ასეთი მიდგომით.

დიდი კულტურული სხვაობის მიუხედავად, არსებობს რაიმე მსგავსება ამერიკელსა და ქართველს შორის?

ვფიქრობ, ბევრი რამ შეიძლება მოიძებნოს საერთო. მე ქართველებში იუმორის დიდი გრძნობა შევამჩნიე. კარგად ვგრძნობ თავს, როდესაც ადამიანებს იუმორის გრძნობა აქვთ.ქართველებს ხუმრობის ნიჭი საკმაოდ მოჭარბებულად აქვთ, რასაც ზოგიერთ ერზე ვერ ვიტყვი. ჩვენ სხვა ადამიანური თვისებებიც გვაერთიანებს: ყველას უნდა მომავალი გაიუმჯობესოს, კარიერა შეიქმნას, იზრუნოს შვილებზე, ოჯახზე. ალბათ, ეს გვაერთიანებს.

მომავალზე ზრუნვა და ოჯახის შენება ჩინებულია, მაგრამ ამ ყველაფერს დიდი შრომა და ძალისხმევა სჭირდება. საქართველოში ბოლომდე გააზრებულიც კი არ არის, რას ნიშნავს კორუფცია, ან მასთან ბრძოლა. სამწუხაროდ, ეს ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება და ჩვენი ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილია.

საინტერესო თემაა და იგი სპეციალური კვლევის საგნადაც იქცა. ამით კი მართლაც განვსხვავდებით. დიახ, არსებობს ოჯახური თუ მეგობრული მჭიდრო ურთიერთობები და დასაშვებია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, პრინციპულობისა თუ მორალური შეხედულებების მიუხედავად, პროტექცია გაუწიო ახლობელს. ასეთი მოვლენები ყველა ქვეყანაში, მათ შორის ამერიკაშიც, ხდება. მაგრამ ამ მოვლენას სხვა საფუძველი აქვს. როდესაც არსებობს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ადამიანთა ჯგუფი, ისინი ერთმანეთის დაწინაურებაზე ზრუნავენ, მაგრამ პროტექცია მათ კვალიფიკაციასა და პროფესიულ დონეს შეესაბამება. საქართველოში კი პირიქითაა. აქ პროფესიული მონაცემების გვერდის ავლით ხდება პიროვნების დაწინაურება. სამწუხაროდ, ქართულ კომპანიებში მომუშავე ბევრი ჩემი კოლეგა უკმაყოფილოა, რომ ქართველი თანამშრომლებებში, შეიძლება, წნეხს ველარ გაუძლოთ და გავქრეთ.

მე უფრო ოპტიმისტურად ვუყურებ ამ საკითხს, რადგან ქართულ თვითმყოფად კულტურას ვხედავ. მისი კონტურები მკაფიოდ არის გამოკვეთილი. ეს ის ფენომენია, რომლის სპეციფიურ გამოხატულებას არაფერი დაემუქრება. გარდა იმისა, რომ არსებობს ტრადიცია, მდიდარი ფოლკლორი, ასევე არსებობენ კულტურის სფეროში გამოკვეთილი ლიდერები. ისინი საკმაო თავდაჯერებითა და მიზანდასახულობით განაგრძობენ ქართული კულტურის აღორძინებას.

ამერიკაში, როგორც წესი, მთავრობა მინიმალურად ეხმარება კულტურას. კულტურის მუშაკები მათგან დახმარებას არც მოელიან და უფრო კერძო სექტორზე ამყარებენ იმედს. აქ მთავრობას სურვილიც რომ ჰქონდეს, უსახსრობის გამო მაინც ვერ დაეხმარება კულტურას. ამიტომ ვფიქრობ, რომ ქართული კულტურის მუშაკებმა თვითონ უნდა მიიზიდონ სახსრები კერძო სექტორიდან. საჭიროა ფინანსურად დაინტერესებული ჯგუფების ჩაბმა. ჩემი დაკვირვებით, ასეთები ნელნელა ჩნდებიან კიდეც. სულ უფრო მეტ ადამიანს ვხვდები, რომლებიც ფესტივალებსა თუ გამოფენებს აფინანსებენ. ეს კარგი ნიშანია და მთელი ყურადღებაც ამაზე უნდა იყოს გადატანილი.

თქვენ რით გაგვახარებთ ახლო მომავალში?

ამერიკული კულტურის წარდგენა კამერული კვინტეტით, სახელწოდებით "ორი ამერიკის კვინტეტი"-ით დავიწყეთ. ახლა საქართველოში ცნობილი ჯაზბენდი იმყოფება, რომელიც თბილისის ფესტივალში იღებს მონაწილეობას. ოქტომბრის ბოლოს დაგეგმილია კლასიკური კამერული ორკესტრის კონცერტი კონსერვატორიაში. ასევე ჩატარდება ბათუმში მუზეუმების შესახებ სემინარი. ფოტოგამოფენა, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტის ამსახველ მასალას შეიცავს, ამ თვიდან ქუთაისშიც გაიმართება. რაც შეეხება კლასიკური კინოფილმების ჩვენებას, ცოტათი შეფერხებულია, საავტორო უფლებების საკითხის მოუგვარებლობის გამო.

არ მინდოდა ამ თემას შევხებოდი, მაგრამ 11 სექტემბრის ტერაქტს მხოლოდ პოლიტიკური მოტივით არ ხსნიან. ხომ არ არის ეს მართლაც ე.წ. ცივილიზაციათა ომი. ძალიან ხშირად სურთ, რომ კონფლიქტი პრიმიტიულად ახსნან. თითქოს არაბულ სამყაროს, სადაც პატრიარქატი და შარიათის კანონებია გამეფებული, არ სურს, იხილოს დასავლური ე.წ. პოპ-არტი. მაგრამ, მიზეზი ხომ უფრო ღრმაა?

თუ ვლაპარაკობთ ისლამურ სამყაროზე, უნდა დავკონკრეტდეთ. ისლამური სამყარო დიდი და არაერთგვაროვანია. თუ ამ ფაქტს ვუკავშირებთ 11 სექტემბერს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისლამურ სამყაროში ტერორისტთა მხოლოდ მცირე ჯგუფი არსებობს. ზოგადად, ეს სამყარო ანტიამერიკული არ არის. საქმე არც იქამდეა მისული, რომ თითოეულ არაბს ყველა ამერიკელის განადგურება უნდოდეს. ამ ადამიანებს სურთ ელემენტარულ პირობებში ცხოვრება. მათაც უნდათ მიაღებინონ შვილებს განათლება, ჰქონდეთ სამუშაო და რაც მთავარია, დიდი სურვილი აქვთ, რომ გაემიჯნონ ტალიბების მაგვარ რეჟიმებს.

ისლამური სამყაროს ინტელექტუალური ნაწილი საკუთარი ქვეყნების აღმშენებლობითაა დაკავებული. ისინი ძალიან შორს არიან ქალების დისკრიმინაციისაგან და ხშირად აკრიტიკებენ შარიათისა თუ ჯიჰადის კანონებს. ჩემი აზრით, დაპირისპირება იმაში მდგომარეობს, რომ ფართო მასებს არ აქვთ ის შესაძლებლობები, რაც ამერიკისა და ევროპის კონტინენტებზე არსებობს. ფაქტია, რომ მათთვის მიუწვდომელია განათლება, სამუშაო. მძიმე ეკონომიკურ პირობებში, სოციალურად დაუცველი ფენებით კი, სამწუხაროდ, ადვილად სარგებლობენ სხვადასხვა ექსტრემისტული დაჯგუფებები. არსებობდა ასეთი ალტერნატივა, აღგვემართა კედელი და იზოლირებაში დაგვეტოვებინა ეს ქვეყნები. მაგრამ, ასეთი პოლიტიკა დაპირისპირებას კიდევ უფრო გაამძაფრებდა. ამიტომ კონტაქტების გაღრმავებით ჩვენ უფრო მომგებიან პოლიტიკას ვაწარმოებთ. ეს ადვილად მოსაგვარებელი არ არის და ყველაფერი დრომ უნდა გადაწყვიტოს.

ემიგრანტები

„ჩემთვის ძალიან ძვირფასი რამ დავკარგე...“

"ნურც მო-ფრინ-დები, ნურც გა-ფრინ-დები დელიავ რა-ნუ-ნი!..." ერთად, ჩუმად გუგუნებდა დარბაზი... სტუმრად მოწვეული გერმანელების ნაწილი გაოცებით, ნაწილი კი, ისინი, რომლებიც უკვე კარგად იცნობდნენ ქართულ მენტალიტეტს, თანაგრძნობით შეჰყურებდნენ უეცრად დასევდიანებულ ადამიანებს.

არ ვიცი, რატომ გამახსენდა გასული წლის 26 მაისს, ქალაქ მინდენში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართული საზეიმო საღამო. იქნებ იმიტომ, რომ წელს, დარბაზის უქონლობის გამო, მსგავსი ღონისძიება აღარ ჩატარებულა, ან იქნებ იმიტომ, რომ ახლაც მინდენისკენ, მერაბ ჯაფარიძისთან შესახვედრად, მიმაქროლებდა ჩემი "გოლფი".

კარები თავად მერაბმა გამიღო და მისთვის ჩვეული, მეგობრული ღიმილით შემიპატიჟა სახლში. ოთახში შესულს თვალი კვლავ მარჯვენა კედელზე დაკიდებული ნახატისკენ გამექცა – სევდიანი სახის, ჭაღარაშერეულ მამაკაცს თვალები ვედრებით აღეპრო ცისკენ... **"ეს ჩემი ავტოპორტრეტია, -"** გამახსენდა მერაბის ნათქვამი.

სამზარეულოში გავედით სასაუბროდ: **"როდესაც ჰოლანდიაში, მიმღებგამანაწილებელი პუნქტის ფართო სარკმელებიან, გამწვანებულ, მოზრდილ ოთახში შეგვიყვანეს და ზურგს უკან კარები მოგვიკეტეს, პირველად მაშინ ვიგრძენი, რომ რაღაცა დიდი, ჩემთვის ძალიან ძვირფასი რამ დავკარგე",-** იხსენებს მერაბი და თან სიგარეტს აბოლებს.

ჰოლანდიაში დიდხანს არ გაუჩერებიათ. რაკი მას და მის მეუღლეს გერმანული ვიზები ჰქონდათ, გერმანიაში გამოუშვეს. აქ, მათ კიდევ ერთხელ მოუხდათ დაკითხვის საკმაოდ უსიამოვნო ცერემონიალის გავლა, რის შემდეგაც მინდენის ლტოლვილთა ბანაკში გაანაწილეს. მოძალებული სევდის გასაქარვებლად ფუნჯი აიღო ხელში და ცხოვრებაში პირველად სცადა საკუთარი გრძნობებისა და განცდების ფერებით გამოხატვა. გამოუვიდა. მოუწონეს და მალე რამდენიმე კედლის მოხატვაც სთხოვეს. ასე დაიწყო მისი სამხატვრო კარიერა. რამოდენიმე ხნის შემდეგ კი, ბანაკის ხელმძღვანელობის შუამდგომლობით, მათ იმავე ქალაქში ბინა მისცეს.

მას პოლიტიკური თავშესაფრის შესახებ თხოვნა არ დაუკმაყოფილეს და გერმანიისთვის დამახასიათებელი ბიუროკრატიის ყველანაირ წნეხშიც გაატარეს, რათა ყველაფერზე გული აეცრუებინა და იძულებული გამხდარიყო, ქვეყანა დაეტოვებინა.

"მე, რომ გულზე ხელი დავიკრიფო და ველოდო, როდის მაიძულებენ ქვეყნის დატოვებას, ეს ვერაფერი ბედენა იქნება. სანამ აქ ვარ, ყველა ღონეს ვიხმარ, მცირედი წვლილი მაინც შევიტანო ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში..." თქვა და სიტყვა საქმედ აქცია.

ქალაქ მინდენში თეატრალური დასი ჩამოაყალიბა და მიუხედავად სუსტი ჯანმრთელობისა, სრული დატვირთვით დაიწყო მუშაობა. მრავალწლოვანმა სამსახიობო და სარეჟისორო გამოცდილებამ შედეგი გამოიღო: 1998 წელს, მინდენის თეატრალურ კაფეში წარმატებით დადგა მალხაზ ვარდიაშვილის სპექტაკლი "ერთ წვიმიან ღამეს". მსახიობები გერმანელები იყვნენ, რომლებმაც თეატრის ანბანი მერაბ ჯაფარიძის დასში შეისწავლეს და იმდენად კარგად, რომ რამდენიმე მათგანმა თეატრალური ინსტიტუტის საკმაოდ რთული მისაღები გამოცდები უპრობლემოდ ჩააბარა.

ცოტა ხნის შემდეგ მისი მეუღლე, ქალბატონი ლონდა, დედის ავადმყოფობის გამო, იძულებული შეიქნა მცირე ხნით საქართველოში დაბრუნებულიყო. მარტოდ დარჩენილმა მერაბმა, ხატვასთან ერთად, ლექსის სტრიქონებს გაანდო თავისი სატკივარი.

მერაბ ჯაფარიძის მიერ დადგმულმა გოეთეს საღამომ, რომელიც მის მიერ ნათარგმნი გოეთეს ლექსების კრებულის წარდგინებაზე გაიმართა და ერთდროულად ორ ენაზე მიმდინარეობდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. როგორც ქართველი, ისე გერმანელი მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს და ყვავილებით ამკობდა გერმანიის ამ პატარა ქალაქში უკვე საკმაოდ ცნობილ რეჟისორს, პოეტსა და მხატვარს. მერაბმა მინდენი ქართული კულტურის კერად აქცია და გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში მიმოფანტულ ქართულ ოჯახებს საშუალება მისცა, ამგვარ ღონისძიებებსა თუ ყოველწლიურად, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო საღამოებზე შეხვედროდნენ და ერთმანეთისთვის თავიანთი დარდი თუ სიხარული გაეზიარებინათ. მალე ის მინდენში, თავის ქართველ და გერმანელ მეგობრებთან ერთად, ქართულ-გერმანულ კულტურულ ურთიერთობათა ხელშემწყობ საზოგადოებას "ოქროს საწმისს" აფუძნებს, რომლის თავმჯდომარედაც მას ერთხმად ირჩევენ.

"რა ვქნა, ყოველ ღონისძიებაზე ყველას ვუგზავნი მოსაწვევს. ერთმანეთის მიმართ მეტი შემწყნარებლობა გვმართებს და კონკრეტული საქმიანობით უნდა დავამტკიცოთ მამულის სიყვარული. გული მწყდება, რომ ბევრი ქართველი ისე არიდებს ამგვარ ღონისძიებებს თავს, თითქოს ამას ჩემთვის ვაკეთებდე. ზოგი თავისი ცხოვრების წესის, ზოგიც პოლიტიკური შეხედულებების გამო ცდილობს ან საერთოდ აარიდოს სხვა ქართველებთან ურთიერთობას თავი, ან მხოლოდ გარკვეულ პიროვნებებთან იმეგობროს. რამდენად სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ერთ დიდ ქალაქში რამდენიმე ქართულ-გერმანული საზოგადოება არსებობს, მაგრამ ისინი ერთმანეთის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს არ ესწრებიან," - არაერთხელ გამოუთქვამს თავისი გულისტკივილი მერაბს.

დასანანია, რომ ბევრმა ბავშვმა საერთოდ დაივიწყა ქართული: ზოგმა მშობლების დაუდევრობით, ზოგმაც მშობლების მოუცლელობით. გერმანელებზე გათხოვილ ზოგიერთ ქალს კი ოჯახში ბავშვთან ქართულად საუბარს სასტიკად

მერაბ ჯაფარიძე და მ წლის დავით გიორგობიანი მინდენში, შარშან, 26 მაისს.

უკრძალავენ, რასაც ისინი მონური მორჩილებით ასრულებენ. აქ, გერმანიაში არც თუ ისე ხშირად გაიგონებთ ქართულ ნანინას.

სწორედ, ამის გამო მერაბ ჯაფარიძეს თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია ქართველ ბავშვებთან მიზანმიმართული მუშაობა. შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ გამართულ ღონისძიებებში რაც შეიძლება მეტ ბავშვს მიაღებინოს მონაწილეობა: ზოგს ლექსი ნააკითხოს, ზოგი ამღეროს და ზოგიც აცეკვოს, რათა ამ გზით მაინც გაუძლიეროს მათ სიყვარული ქართული კულტურისა და ყოველივე ქართულის მიმართ.

ამჯერად კი, მას შემდეგ რაც ქალაქ მინდენში წარმატებით დადგა კიდევ ერთი ქართველი მწერლისა და დრამატურგის მამუკა დოლიძის პიესა "მდგმურები", განზრახული აქვს, დადგას "იავნანამ რა ჰქმნა" და გერმანელი მწერლის ანდრეას გრიფიუსის მიერ მეჩვიდმეტე საუკუნეში დაწერილი ნაწარმოები "კატარინა ქართველი, ანუ გაუტეხელი სიწმინდე", რომელიც ქეთევან წამებულის ცხოვრებას ეძღვნება.

"იმედი მაქვს, რომ ეს სპექტაკლები ბევრს დააფიქრებს ჩვენს დღევანდელ ყოფაზე და შეახსენებს მოვალეობას, რისი უგულვებელყოფაც არცერთ ჩვენგანს არ ეპატიება," - საუბარი დაასრულა მერაბმა და ნამლის დასალევად ოთახში გავიდა.

ჩანართი მოამზადეს: *გია ცარციძემ (თბილისი) და ჯიმშერ ბედიანაშვილი (გერმანია)*

„საქართველოში მზად არიან, ერთმანეთი ლეგენდებით კვებონ„

B4 გვერდიდან

იქმნება. ვიმეორებ, რომ ჩვენი გადარჩენა ჩვენ ხელთაა. გასაგებია, რომ ამერიკა, თავისივე ინტერესებიდან გამომდინარე, მხარში გვიდგას, მაგრამ რა დონის ინტერესებია ეს და სადამდე გასტანს, კიდევ საკითხავია. ასევე არავინ იცის, როდის დაკარგავს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენისადმი ინტერესს, რადგან ამერიკას სხვა მრავალი ასეთი ობიექტი აქვს. ერაყთან მოსალოდნელი კონფლიქტიც მხოლოდ 11 სექტემბრის შურისგებით არ შემოიფარგლება. ასე რომ, ამ ფსევდო-გეოსტრატეგიული იმედების ქონა სრულიად ზედმეტია. აქვე აბრეშუმის გზაზე მოგონილი ზღაპარიც მაგონდება. ეს ყველაფერი კი იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენში საზოგადოება შრომაზე კი არა, არამედ რაღაც დახმარებებისა და შემწეობების მოპოვებაზეა გამეცადინებული. ხოლო დახმარების მოლოდინში ყველანაირ გამართლებას მოუნახავენ არსებულ პრობლემას და მზად არიან, ერთმანეთი კვებონ ლეგენდებით, რაც, სამწუხაროდ, არამარტო პოლიტიკაში, არამედ კულტურაშიც აისახება. ამ ყველაფერს ბევრი უარყოფითი შედეგი მოაქვს.

- ლეგენდების გარეშე რა კეთდება იმისათვის, რომ ქართული კულტურა ღირსეულად იქნეს წარდგენილი საზღვარგარეთ? მოგეხსენებათ, ჩვენთან არსებობს გოეთეს ინსტიტუტი, რომლის წარმომადგენელიც თქვენ იყავით. თუ არსებობს ასეთივე ქართული კულტურული ცენტრი გერმანიაში ან, საერთოდ, ევროპაში?

- გოეთეს ინსტიტუტი (და არა მარტო მისი) ძალიან ბევრ სახელმწიფოში არსებობს. ყველა დიდ სახელმწიფოს აქვს ასეთი ორგანიზაცია. იგი არსებობს იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში. ასეთ ორგანიზაციებს დიდი ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება, რადგან ეს კომერციული ორგანიზაციები არაა, მათ არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ და არც შეიძლება ჰქონდეთ. სანამ საქართველო გაჭირვებული ქვეყანაა, ბუნებრივია, ასეთ ორგანიზაციებს ვერ დააფინანსებს. ამაში სახელმწიფოს ვერ დაადანაშაულებ, ხოლო თუ რატომაა დუხჭირი, ამის თაობაზე მთელი რიგი ბრალდებები შეიძლება წარუდგინო დღევანდელ მთავრობას. თუმცა, რაზეა საუბარი, როცა აქ არსებული კულტურის

ათი წლის განმავლობაში ვერ შეიქმნა ელემენტარული სახელმძღვანელო ქართულ ენაზე იმ ადამიანებისთვის, ვინც ოდნავ მაინც დაინტერესებულია ქართულით.

რჩენასაც ვერ ახერხებენ. არადა, სანამ ასეთი ცენტრები არ შეიქმნება, სახელმწიფო სათანადოდ ვერ იქნება წარდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის გარკვეულ წრეებში საქართველოსადმი დაინტერესება უკვე არსებობს, ამ ინტერესების კიდევ უფრო გაღრმავება შეიძლება, მაგრამ სანამ საქართველო ასეთ სიღარიბეშია, ეს ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება.

- მიმდინარეობს გამალებული გლობალიზაციის პროცესი. როგორ წარმოგიდგენიათ ამ პროცესში საქართველოს კულტურის, პოლიტიკისა, ეთნოსის როლი და ადგილი?

